წელიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი“-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში —ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

დღიური

- ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტის საბჭოთა პროექტის განხილვა ჟენევაში.
- კუნძულ კიპროსზე აჯანყება ძლიერდება.
- ინგლისის მუნიციპალურ არჩევნებში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს.

პარასკევი, 6 ნოემბერი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი № 256 (3211) ფასი 5 კაპ.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმის შედეგების და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის მოხსენებათა გამო მიღებულ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილების დამუშავების წესის შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აძლევს რა უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილებას საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. ც. კ.-ის მოხსენებათა გამო, — აუცილებელ საჭიროდ სცნობს:

ჩატარებულ იქნას აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ფართო მასიური დამუშავება ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, მუშების, კოლმეურნეთა, ღარიბ და საშუალო გლეხების მასიურ კრებებზე.

საკ. კ. პ. (ბ) გადაწყვეტილებათა განხილვას და დამუშავებას თან უნდა სდევდეს კონკრეტულ ამოცანების და ღონისძიებათა დასახვა აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გასატარებლად საწარმოებში, სამქროებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სოფლად, კოოპერაციაში, ტრნსპორტზე და სხვ.

ცენტრალური კომიტეტი ამყარებს დამუშავების შემდეგ წესს:

1) 8 ნოემბერს მოწვეულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო-საქალაქო კრება, რომელზედაც დაისვას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) პლენუმის შედეგების შესახებ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენებათა გამო.

2. თბილისში 9-10 ნოემბერს ჩატარებულ იქნას კ. პ. (ბ) და ა. ლ. კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული სხდომები, რომლებზედაც დაისვას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებათა შესახებ. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის საქართველოს კ პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენებათა გამო.

3. 11-12 ნოემბერს იმავე კრებებზე ჩატარდეს მოხსენებები საკ. კ. პ. (ბ) ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს უზრუნველჰყოს კრებები კვალიფიციური მომხსენებლებით.

4. 9-დან 15 ნოემბრამდე საქართველოს ყველა რაიონებში ჩატარდეს ქალაქის და რაიონის პარტაქტივის კრებები, რომლებზეც დაისვას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებანი საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენებათა გამო.

5. წინადადება მიეცეს ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებს დააწესონ პარტაქტივის სხდომათა დღეები თითეული რაიონისათვის და უზრუნველჰყონ ისინი მომხსენებლებით.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს და რაიონულ კომიტეტებს დაამუშავონ კ.პ. (ბ) უჯრედების სხდომებზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი საკ. კ.პ. (ბ) ა.კ. სამხარეო კომიტეტის აზერბ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენებათა გამო, ამასთან მათი დამუშავება პარტიულ - კომკავშირულ კრებებზე დაამთავრონ 20 ნოემბერს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ყველა საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, თბილისის კომიტეტს და რაიონულ კომიტეტებს, უზრუნველჰყონ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ გადაწყვეტილებათა დამუშავება მუშების, კოლმეურნეების და სხვათა მასიურ კრებებზე.

8. წინადადება მიეცეს გაზეთებს: „კომუნისტს“, „მუშა“-ს „კოლექტივიზაცია“-ს „ახალგაზრდა კომუნისტს“ და ყველა რაიონულ გაზეთებს ჩაატარონ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ფართო ახსნა-განმარტება და პოპულიარიზაცია.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სცნობს, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებათა დამუშავება ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა ჩატარდეს პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების და ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობის გარშემო პარტიული მასის შემდგომი იდეურ - პოლიტიკური და ორგანიზაციული დარაზმვის ნიშნით.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი
მელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს 1931 წლის 5 ნოემბრის დადგენილება

1. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მოხსენებათა გამო, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების დასამუშავებლად 8 ნოემბერს მოწვეულ იქნას საერთო საქალაქო აქტივი.

2. 9 და 10 ნოემბერს მოწვეულ იქნას პარტუჯრედების რიგს გარეშე კრებები, რომელზედაც დაისვას მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ.

3. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის დადგენილების დასამუშავებლად 12 და 13 ნოემბერს მოწვეულ იქნას პარტაქტივის რაიონული კრებები.

4. მორიგ პარტდღეს, 15 ნოემბერს, ყველა უჯრედებში დაისვას მოხსენებები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის პლენუმის შედეგების შესახებ.

5. თბილისის კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებამ გაანაწილოს მომხსენებლები რაიონებს შორის და სათანადო მომხსენებლებით უზრუნველჰყოს პარტაქტივის რაიონული კრებები.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი
ფანცულაია

ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი ანტი-საბჭოთა პროვოკატორებს

იაპონიის მხედრობა განუწყვეტლად განაგრძობს სამხედრო ოკუპაციის ზონის გაფართოებას მანჯურიაში. ის გეგმები, რომლებსაც ამუშავებდნენ და აზუსტებდნენ გენერალურ შტაბში, ეხლა სრულდება.

მანჯურიაში განუწყვეტლივ იგზავნება იაპონიის ჯარი, საიდუმლო პოლიციის აგენტები, ჟანდარმები, პოლიციელები და ადვილად გამდიდრების მაძიებელნი. მანჯურიის ოკუპაცია აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით წარმოადგენს ჭეშმარიტად საზიზღარი ძალმომრეობის, პროვოკაციის და მასიური მკვლელობის ჯაჭვს, იმპერიალისტური პოლიტიკის ტიპიურ ნიმუშს.

მანჯურიის ოკუპაცია არ წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ამბავს, როგორც ამას გვიხატავს კაპიტალისტური პრესა განსაკუთრებით თავგამოდებით ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იცავს იმ თვალსაზრისს, რომ მანჯურიის ამბებს ადგილობრივი ხასიათი აქვთ. ამ ბურჟუაზიის ამოცანას შეადგენს დაფაროს მანჯურიის ოკუპაციის ყაჩაღური ხასიათი, რათა უფრო ადვილად და დამშვიდებით წაუჭიროს თოკი ყელში თავის კოლონიებს აზიაში, ამერიკაში და აფრიკაში.

მხოლოდ ვირებს ეგრეთწოდებული ბურჟუაზიული საზოგადოებრივობიდან შეიძლება მოეჩვენოს, რომ ისინი მოახერხებენ დაუმალონ მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს მანჯურიის ამბების ჭეშმარიტი ხასიათი, რომელთაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ.

ბრძოლა მანჯურიისათვის მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიალისტების ბრძოლასთან ჰეგემონიისათვის წყნარ ოკეანეზე. ამ ბრძოლის მთავარ მონაწილეებს წარმოადგენენ ჩრ. - ამერ. შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და იაპონია. ბრძოლას საფუძვლად უდევს იმპერიალისტების მისწრაფება მსოფლიოს ხელახალი განაწილებისაკენ, ბრძოლას ჰეგემონიისათვის წყნარ ოკეანეს ბასეინში მსოფლიო ხასიათი აქვს და იგი აუცილებლად არის დაკავშირებული ახალი მსოფლიო ხოცვა - ჟლეტის მომზადებასთან. ეს გარემოება, კერძოდ, საბაბს აძლევს საფრანგეთის იმპერიალიზმს გამოიჩინოს დიდი დაინტერესება წყნარ ოკეანესათვის ბრძოლაში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს ხელახალი დაყოფისათვის ბრძოლის ნაწილს.

იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიული მისწრაფება არ განისაზღვრება ჩინეთით; იაპონიის იმპერიალისტები მიისწრაფიან არა მარტო „დიდ“, არამედ „უდიდეს იაპონიისაკენ“, რომელიც უნდა შეიცავდეს ფილიპინის კუნძულებს, მალაის არხიპელაგს, გუამს, ტაიტს, სამოას და ავსტრალიას. იაპონიის ყოფილ პრემიერ - მინისტრის, იაპონიის იმპერიალიზმის ცნობილი სულისჩამდგმელის ბარონ ტანაკას მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა იაპონიის პოლიტიკის ამოცანებს მანჯურიასა და მონღოლეთში, ვპოულობთ იაპონიის იმპერიალისტური ექსპანსიის ყველა ამ ობიექტების ზუსტად ჩამოთვლას.

„სამი აღმოსავლეთის პროვინცია—ვკითხულობთ ჩვენ მოხსენებაში — წარმოადგენს პოლიტიკურად უქმველ ლაქას შორეულ აღმოსავლეთში. თავდაცვის მოსაზრებით იაპონიამ უნდა მოსპოს თავისი დაბრკოლებანი აღმოსავლეთ აზიაში „სისხლისა და რკინის“ პოლიტიკის გატარების საშუალებით. მაგრამ ამ პოლიტიკის გატარებით ჩვენ პირისპირ წარმდგარი აღმოვჩნდებით შეერთებული შტატების წინაშე... იმისათვის, რომ დავიპყროთ ჩინეთი, ჩვენ უწინ უნდა დავიპყროთ მანჯურია და მონღოლეთი... ეს არა მარტო ძაჭირებს თვით ჩინეთის სამრეწველო განვითარებას, არამედ ევროპის სახელმწიფოებს წაართმევს იქ შეჭრის საშუალებას“.

იაპონიის იმპერიალისტები ცდილობენ „დაასაბუთონ“ ეს პოლიტიკა თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დაცვის ვერსიით ჩინეთსა და მანჯურიაში. მიუხედავად ამ ვერსიის აშკარა თვალთმაქცური ხასიათისა, მან მაინც ითამაშა ერთგვარი როლი, როგორც არგუმენტმა ერთა ლიგისა და კაპიტალისტური საზოგადოებრივი აზრის წინაშე. მაგრამ ამჟამად ეს ვერსია საბოლოოდ ამოწურულია. იაპონიის იმპერიალისტებს ესაჭიროებათ ახალი მიზეზი ოკუპაციის ზონის შემდგომი გაფართოების გასამართლებლად „წითელი საფრთხის“ სახით, რაც ვითომ იმუქრება ჩრდილოეთიდან. ეს ვერსია უფრო ხელსაყრელია, რამდენადაც ის საშუალებას აძლევს იაპონიის იმპერიალიზმს იქონიოს დანარჩენი ქვეყნების იმპერიალიზმის მხარის დაჭერისა და თანაგრძნობის იმედი „დიდ“ იაპონია კისრულობს საერთაშორისო იმპერიალიზმის ჟანდარმის როლს მის ბრძოლაში ჩინეთის ხალხისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ მანჯურიაში მომხდარ ამბების დასაწყისიდანვე იმპერიალისტური პრესა, აქედან იაპონური პრესაც, ყოველნაირად ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირი ასე თუ ისე ჩაება მანჯურიის კონფლიქტში, მაგრამ ყველა პროვოკაციულ ჭორებს ერთი და იგივე ბედი ეწია: საბჭოთა მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკამ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებლობის პატივისცემის პოლიტიკამ მეტად ნათელი გახადა იაპონიის იმპერიალიზმის მიერ მანჯურიის ოკუპაციის მტაცებლური ხასიათი; იაპონური პრესა ფრონტს იცვლის. იწყება ჭორების ნაკადი იმის შესახებ თითქო საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდეს მანჯურიას, მხარს უჭერდეს... ხეილუნძიანელ გენერლებს. თანდათან ეს ცალკე, სავსებით სულელური ჭორები ღებულობენ მთელი იაპონური ბურჟუაზიული პრესის გააფთრებულ ანტი-საბჭოთა კამპანიის ხასიათს. წარამარა ლაპარაკობენ „წითელ საფრთხეზე“, ჭორი, ჭორს მოსდევს.

იაპონიის ყვითელი პრესის პროვოკაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხარბად ჩასჭიდა ხელი მსოფლიო რეაქციონურმა პრესამ, პირველ რიგში კი ფრანგულმა პრესამ. მთავარ როლს დაწყებულ ვაკხანალიაში თამაშობს ფრანგ შავრაზმელების ფინანსიური ოლიგარხიის ლეიბორგანო „ტან“-ი.

კამილ ეიმარი, ბნელი პიროვნება, რომლის ადგილი სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამასწორებელ სახლში უნდა იყოს, რედაქტორობს პარიზის უდიდეს პოლიციურ გაზეთს „ლიბერტე“-ს. ეს ბანდიტი თავის უკანასკნელ წერილში სწერს: „ყვითელი აღმოსავლეთის უზარმაზარ ქაოსში მარტო იაპონია წარმოადგენს მოწესრიგებულ სახელმწიფოს და ცივილიზაციის მომქმედ ძალას... მხოლოდ იაპონელ ჯარის - კაცს, ცივილიზაციის ჯარისკაცს შესწევს უნარი ბოლო მოუღოს უცნაურ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც, სდგას რა ერთი ფეხით ევროპაში მეორეთი — აზიაში, შეუძლია ორივე კონტინენტი გადააბრუნოს. საბჭოთა სახელმწიფოს სუსტი ადგილია ციმბირი. თუ ევროპა შეიგნებს თავის მოვალეობას ცივილიზაციის წინაშე, ციმბირის თვალუწვდენი ველები უახლოეს დღეში შეიძლება გადაიქცნენ იმ ბრძოლის ასპარეზად, რომელზედაც ბოლშევიზმი დაიღუპება“.

პოლიციურ „ლიბერტე“-ს ბანს აძლევს სოციალისტური „პოპიულერ“-ი; „არაფერი არ არის გამორკვეული, — სწერს გაზეთი, თუ როგორ იქცევა საბჭოთა მთავრობა, რომელიც კონფლიქტის დასაწყისიდანვე უცნაურად სდუმს. ხომ არ ფარავს საბჭოთა კავშირი თავის შუბს?“. შემდეგ ფრანგ სოციალ - ფაშისტების ორგანო ბოროტკილოთი სწერს იმაზე, რომ არის ხმები „საიდუმლო შეთანხმების შესახებ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის, მანჯურიის დაყოფის მიზნით, რუსეთის ჯარების გადაჯგუფების და მობილიზაციის შესახებაც კი“.

„პოპიულერ“-ის სახით პარიზელ „ტან“-ს ღირსეული მსახური ჰყავს. მეორე ინტერნაციონალი უჩვეულოდ ამოძრავდა, რაკი ანტი - საბჭოთა პროვოკაცია გაჩაღდა. მეორე ინტერნაციონალის პრესა თავისი ძალღონის მიხედვით თავის ხმას ურთებს იმპერიალისტური პრესის მძაფრ ღმუილს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მისი ადგილიც ხომ იქაა.

ინგლისის რეაქციონურმა პრესამ, განსაკუთრებით კონსერვატიულმა, „დეილი მეილ“-ის, „მორნინგ პოსტ“-ის, „დეილი ტელეგრაფ“-ის და სხვ. სახით ხელი ჩასჭიდა იაპონიის გაზეთების მიერ გავრცელებულ ჭორებს და საზიზღარ კამპანია დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ისევე, როგორც ამერიკულმა პრესამ.

„თუ რუსეთი ჩაბმულ იქნა ომში, — სწერს „დეილი ტელეგრაფ“-ი, — იგი იძულებული შეიქნება უარი განაცხადოს ხუთწლედზე“. ანტი - საბჭოთა კამპანიის ნამდვილი აზრი აქ გამოხატულია უფრო მკაფიოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ჭორი ომის შესახებ საბჭოთა კავშირის მონაწილეობით აგრეთვე ვრცელდება სათანადო წრეების მიერ, როგორც საბირჟო ხრიკები. ამერიკელ კაპიტალისტებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ მოითბეს მათ ხელი მსოფლიო ომის დროს.

მაგრამ უაღრესად დიდ სიცრუეს წარმოადგენს ამერიკის პარლამენტის სამხედრო - საზღვაო კომისიის თავმჯდომარის ბრიტონის განცხადება, იმ ბრიტონის, რომელიც ცდილობს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო შეიარაღების პროგრამის გაფართოებას. „ნამდვილი სამხედრო მოქმედება ეხლა სწარმოებს აზიაში, — განაცხადა მან, სადაც რუსეთი მობილიზაციას უშვება ხმელეთის, სამხედრო - საზღვაო და სამხედრო - საჰაერო ძალებს, ასე, რომ მთელი მსოფლიო ზის ვულკანზე, რომელსაც შეუძლია დაიწყოს მოქმედება ყოველ მომენტში“.

საერთაშორისო პროლეტარიატი ფხიზლად უნდა იყოს. ომის პროვოკატორების ანტი - საბჭოთა კამპანია გამომჟღავნებულ უნდა იქნას ბოლომდე.

ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი ომის ცეცხლის დამთებლებს — ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

„პრავდა“, 5 ნოემბერი.

ლოზუნგები ოქტომბრის მე-14 წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს ოქტომბრის მე-14 წლისთავს, გაუმარჯოს მომავალ მსოფლიო ოქტომბერს.

2. ყველა ქვეყნის მუშებო და მუშა - ქალებო, კოლონიების მშრომელნო და ჩაგრულნო, უფრო მაღლა ასწიეთ ლენინის დროშა ოქტომბრის რევოლიუციის მე-14 წლისთავის დღეს.

3. მთელი ქვეყნის პროლეტარებო და დაჩაგრულნო ხალხნო, უფრო ძლიერ დასცხეთ ძირმომპალ კაპიტალიზმს, უფრო ძლიერ გააჩაღეთ ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, გაუმარჯოს კომინტერნს — მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მებრძოლ შტაბს.

4. მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობა და სოციალიზმის გამარჯვება იხსნის მუშათა კლასს კრიზისისა, უმუშევრობისა და სიღატაკისაგან. ძირს კაპიტალიზმი, გაუმარჯოს სოციალიზმს.

5. კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში სიმშილს უქადის რამდენიმე ათეულ მილიონ უმუშევარს. საბჭოთა კავშირში მოსპობილია უმუშევრობა და განუწყვეტლივ მაღლა იწევს მშრომელთა საარსებო დონე. ყველა ქვეყნის პროლეტარებო, დაამხვეთ კაპიტალიზმი, გასწით საბჭოთა კავშირის მუშათა გზით.

6. საპყრობილეებში გამომწყვდეულ კაპიტალის ტყვეებს — ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ - კლასობრივ ძმებს — საბჭოთა კავშირის მუშათა პროლეტარული სალამი.

7. იმპერიალისტები აწყობენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ბლოკადას. ისინი ამზადებენ ახალ ომს საბჭოთა კავშირის მუშების წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის პროლეტარებო დაიცავით საბჭოთა კავშირი მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლო, გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციონურ ბრძოლას იმპერიალისტების წინააღმდეგ.

8. ყველა ქვეყნის პროლეტარებო, მეორე ინტერნაციონალი — კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდნობია. თავიდან მოიცილეთ სოციალ - დემოკრატიის ბელადები და მათი „მემარცხენე“ აგენტურა, დაირაზმეთ ლენინური კომუნისტური ინტერნაციონალის დროშების ქვეშ.

9. იაპონიის, ევროპის და ამერიკის იმპერიალისტები ანხორციელებენ ჩინეთის დაყოფის და ჩინეთის რევოლიუციის ჩახშობის პოლიტიკას. მთელი მსოფლიოს პროლეტარებო, დაიცავით ჩინეთის რევოლიუცია, გაუმარჯოს რევოლიუციას ჩინეთში, ძირს იმპერიალიზმი.

10 გაუმარჯოს ჩინეთის საბჭოებს და გმირულ წითელარმიას.

11. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია იხსნას ქვეყანა ომებისა და იმპერიალიზმისაგან. ძირს ომის ცეცხლის დამნთებნი იმპერიალისტები და სოციალ - დემოკრატია, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელ მსოფლიოში.

12. მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მშვიდობიანობის ნამდვილ მტკიცე ბურჯს. გაუმარჯოს საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკას.

13. კაპიტალიზმის ქვეყნებში იზრდება გაფიცვების ტალღა, ძლიერდება უმუშევართა მოძრაობა, იზრდება რევოლიუციონური მოძრაობის ახალი აზვირთება. ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები კომუნისტური პარტიების გარშემო.

14. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის წითელარმიას — სოციალისტური მშენებლობის შეიარაღებულ ბურჯს, საბჭოთა საზღვრების ფხიზელ გუშაგს.

15. ხუთწლიანი გეგმის წარმატება — საშინელი ლახვარია მსოფლიო კაპიტალიზმისათვის, დავამთავროთ გამარჯვებით ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში.

16. დავეწიოთ და გავუსწროთ უმოკლეს ვადაში ტეხნიკური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. გაუმარჯოს ბოლშევიკურ ტემპებს.

17. ტეხნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს სწყვეტს. გაუმარჯოს ბოლშევიკურ ბრძოლას ტეხნიკის დაუფლებისათვის.

18. შევამოწმოთ მუშათა საწარმოო-ტეხნიკური კვალიფიკაცია, მოვამზადოთ ახალი სპეციალისტები მუშათა კლასის წრიდან.

19. მეტალურგიის მუშებო, განამტკიცეთ ფოლადითა და თუჯით სოციალისტური ინდუსტრიის სიმძლავრე; ბოლშევიკური ტემპებით მიაღწიეთ გამარჯვებას ლითონისათვის დიად ბრძოლაში.

20. სალამი დონბასის მუშებს, რომლებიც განუწყვეტლივ ადიდებენ ქვა-ნახშირის ამოღებას. ქვა-ნახშირის რაიონების მუშებო, მიბაძეთ დონბასის მაგალითს.

21. რკინის გზის მუშებო, წინ გაუპიროვნების ლიკვიდაციისა და მოძრაობის გაუმჯობესებისათვის, რკინისებური დისციპლინის დანერგვისათვის, ტრანსპორტის სრული წარმატებისათვის.

22. დაუდევრობის, ბიუროკრატიზმის და უძრაობის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლით მივაღწევთ გადამწყვეტ წარმატებას ტრანსპორტის მუშაობაში.

23. ბოლშევიკური სალამი დამკვრელებს, მოწინავე მებრძოლთ სოციალიზმის საქმისათვის. გაუმარჯოს სოციალისტურ შეჯიბრებას.

24. სირცხვილი სოციალისტური მშენებლობის დეზერტირებს, მოხეტიალეებს, წამგლეჯებს და სამუშაო დღის გამცდენებს. გაუმარჯოს პროლეტარულ დისციპლინას მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

25. კოლმეურნეობათა ორგანიზაციული — სამეურნეო განმტკიცებით ახალ საფეხურზე ავიყვანოთ საკოლმეურნეო მოძრაობა და მოვსპოთ კულაკობა, როგორც კლასი, გაუმარჯოს კოლმეურნე გლეხობას — საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენს. გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების კავშირს, რომლებიც აწყობენ და ამტკიცებენ კოლმეურნეობებს.

26. ბრძოლა პურისათვის — სოციალიზმისათვის ბრძოლაა, უფრო მაგრად დავცხოთ კულაკებს და წამგლეჯებს — პურის დამზადების დეზორგანიზატორებს, არც ერთი ცენტნერი პური კერძო ვაჭარს. შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა.

27. განვავითაროთ საქალაქო მეურნეობა. გავაუმჯობესოთ მშრომელთა ყოფა-ცხოვრება. გადავაქციოთ ქალები კულტურულ და სამეურნეო მხრით განვითარებულ პროლეტარულ ცენტრებად.

28. პროფკავშირებო, უფრო ახლოს მასებთან, სამქროსთან ბრიგადასთან და ჯგუფთან.

29. წვრილბურჟუაზიული გათანაბრებას მოსპობით, სატარიფო სისტემის გარდაქმნით და სამეურნეო ანგარიშის დანერგვით უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების ძლავრი გადიდება.

30. გადავაქციოთ სასადილოები კვების სანიმუშო სამქროდ, გავაუმჯობესოთ საზოგადოებრივი კვება.

31. დავამთავროთ კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნა პირით წარმოებისაკენ; გავაშალოთ საბჭოთა ვაჭრობა და გავაუმჯობესოთ მუშათა მომარაგება.

32. ჩავაბათ მუშათა და კოლმეურნეთა მილიონები სახელმწიფოს მართვა - გამგეობაში, აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმის ნაშთები სახელმწიფო აპარატიდან.

33. უფრო მაღლა ავსწიოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დროშა, გამოვიყენოთ მეცნიერება და კულტურის ყველა მიღწევები გაშლილი სოციალისტური შეტევისათვის.

34. ქვეყანაში, რომელიც სოციალისტურ პერიოდში შევიდა, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ უნდა იყვეს. გადავაქციოთ საბჭოთა კავშირი ისეთ ქვეყანად, სადაც ყველას ეცოდინება წერა - კითხვა.

35. კომუნისტური აღზრდის სკოლისა და პოლიტეხნიკური განათლებისათვის. განვახორციელოთ საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება — მოვამზადოთ აქტიური შეგნებული მებრძოლნი სოციალიზმისათვის.

36. ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის — საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობისა და ძმობისათვის.

37. ოქტომბრის რევოლიუციამ მონობიდან გაანთავისუფლა მუშა და გლეხი ქალი. გავაძლიეროთ მშრომელ ქალთა როლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში.

38. კომკავშირელებო, მოწინავე რიგებში იბრძოლეთ სოციალიზმისათვის, ინდუსტრიალიზაციისათვის, ტეხნიკის დაუფლებისათვის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციული — სამეურნეო განმტკიცებისათვის.

39. ნორჩო პიონერებო, ოქტომბრის ბავშვებო იყავით მზად განაგრძოთ და დაამთავროთ ლენინის დიადი საქმე, მსოფლიო ოქტომბრის საქმე.

40. გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ) ძლევამოსილ სოციალისტური რევოლიუციის ბელადს და ორგანიზატორს.

41. მუშებო, კოლმეურნეებო და ყველა მშრომელებო, უფრო შეამჭიდროვეთ რიგები საკავშირო კომპარტიის გარშემო, პარტიის გენერალური ხაზისათვის, ბოლშევიკური ტემპებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

42. ძირს სოციალისტური შეტევის დეზორგანიზატორები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები. გაუმარჯოს ბოლშევიკური რიგების ლენინურ მთლიანობას.

43. ბოლშევიკური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დროშით წინ ახალ - ახალ გამარჯვებისაკენ.—უფრო მაღლა ავსწიოთ საკ კ. პ. ოქტომბრის რევოლიუციის ორგანიზატორის—დროშა!

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებანი მასებში

მტკიცედ, ბოლშევიკურად გამოვასწოროთ ა.-კ. და ნაცკომპარტიების ხელმძღვანელობათა უხეში შეცდომები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი „რკინის გზის ტრანსპორტისა“ და „საბჭოთა ვაჭრობის გაშლის და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების“ შესახებ, აგრეთვე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილება, რომელიც შეეხება სპეციალურად ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს და მიღებულ იქნა „საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენებათა გამო“, წარმოადგენენ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ საერთოთ მთელი პარტიის და კერძოდ ა.-კ. ნაცკომპარტიების საბრძოლო გეგმას შემდგომი გაშლილი სოციალისტური შეტევისათვის.

ისტორიაში არნახული გაქანებით განვითარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისა უყენებს რკინის გზის ტრანსპორტს უდიდეს ამოცანებს, რომელთა წარმატებით გადაჭრისაგან ბევრად არის დამოკიდებული დიად სამუშაოთა გეგმის შესრულება. მიუხედავათ პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიღებულ სადირექტივო დადგენილებებისა, რომელთა შესრულება შეამოწმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, რკინის გზის ტრანსპორტი, თუმცა შესდგა თავისი მუშაობის გამოსწორების გზაზე და მან რამოდენიმედ კიდევაც გააუმჯობესა ის შარშანდელთან შედარებით, მაგრამ „მაინც კიდევ წარმოადგენს ვიწრო ადგილს და ერთ სერიოზულ დაბრკოლებათაგანს სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში“.

ძირითადი ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნა პლენუმმა რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში, არის ის, რომ მან კიდევ ვერ დასძლია გაუპიროვნება და თავის ძირეულ და ხელმძღვანელ ორგანიზაციების უპასუხისმგებლობა; ტრანსპორტზე არ სწარმოებს ჯერ კიდევ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა გაწყვილებული სვლისათვის; გარდა ამისა ვერ ვსარგებლობთ ტრანსპორტის ჯერ კიდევ უამრავ შინაური რესურსებით, ვერ ვახერხებთ გავატაროთ მტკიცე ეკონომია სახსრებისა და მასალების მოხმარებაში. ხოლო შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვის პროგრამა უდიდეს ამოცანებს უყენებს ტრანსპორტს. გაუპიროვნების მოსპობა, ორთქმავალებისა და ვაგონების პარკის გაჯანსაღება, დეპოების მუშაობის მოწესრიგება, გაწყვილებული სვლის ნამდვილად განხორციელება კაპიტალურ და მიმდინარე რემონტის ხარისხის გაუმჯობესება, ხელფასის დარგში არსებულ გათანაბრების მოსპობა, რკინიგზელთა მომარაგების გაუმჯობესება, რკინისგზის ტრანსპორტის ძირეულ და ხელმძღვანელ ორგანოების ბიუროკრატიზმის გადაჭრით დაძლევა, სატრანსპორტო პარტორგანიზაციების მუშაობის ბოლშევიკურად წარმართვა და სხვ. — აი ის მთავარი პირობები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს რკინისგზის მუშაობის ნორმალურად დაყენებას და შემოდგომა - ზამთრის ტვირთზიდვის პროგრამის წარმატებით შესრულებას.

რკინის გზის ტრანსპორტის განახლებული საკავშირო ხელმძღვანელობა ენერგიულად შეუდგა ამ ამოცანების შესრულებას პარტიის და ხელისუფლების დირექტივების საფუძველზე. ყველა რკინისგზელების, მუშებისა და ტეხნიკური ძალების, ყველა პარტორგანიზაციების (რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი ჩასთვლის პასუხისმგებლად ტრანსპორტის მუშაობის დარღვევებისათვის) გადაუდებელი დაკვრითი მოვალეობაა მთელი ძალებისა და ენერგიის ამოძრავება, მთელი უნარის გამოჩენა რკინისგზის განახლებულ ხელმძღვანელობასთან ერთად ამ უდიდესი ამოცანის გადასაჭრელად.

პლენუმმა მოისმინა ამხ. მიქოიანის, ზელენსკის მოხსენებები და ამხ. ზემლიაჩკას თანამოხსენება საბჭოთა ვაჭრობის გაშლისა და მუშათა მომარაგების გაუმჯობესების საკითხის შესახებ, რომლის გადაჭრა ერთ-ერთი ჩვენ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დღეს. მსუბუქი მრეწველობის პროგრამის წარმატებით შესრულების მსვლელობა, საბჭოთა და კოლმეურნეობათა განმტკიცება ჰქმნიან ხელსაყრელ პირობებს დამზადებისა და მომარაგების გაძლიერებისათვის. ამასთან ამოცანა სავაჭრო ქსელის გაფართოებისა მის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა, მის მიერ მომხმარებლის მომსახურეობის გაძლიერების და მის დაახლოვებისა მომხმარებელთან წარმოადგენს გადაუდებელ პირველხარისხოვან ამოცანას. თავის გადაწყვეტილებაში პლენუმი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა ვაჭრობის გაშლის მთავარ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ კოოპერატიულ სავაჭრო მუშაკების მნიშვნელოვან ფენას არ ესმის და არ შეუძლია გადავიდეს საქონლის მექანიკური განაწილებიდან საბჭოთა ვაჭრობის გაშლაზე. დღემდე არა თუ არ ამოიფხვრა ნეპმანური სული და ბიუროკრატიული ელემენტები სავაჭრო და კოოპერატიულ აპარატში, არამედ უკანასკნელ დროს ახალი სიძლიერით გამოაშკარავდა ნეპმანური სული, რაც გამოიხატება იმაში, რომ ნამდვილად არ ზრუნავენ მომხმარებლებზე, უხეშად არღვევენ ფასების პოლიტიკას, გატაცებული არიან კომერციული ვაჭრობით, ადიდებენ ფასებს და მისდევენ დიდ მოგებას. მუშაკთა ახალი კადრები, რომლებიც გაგზავნა პარტიამ სავაჭრო კოოპერატიულ აპარატში, ჯერ კიდევ ვერ დაეუფლნენ სავაჭრო საქმის ტეხნიკას და არ ახორციელებენ კოოპერატიული მუშაობის კონკრეტულ ხელმძღვანელობას, რის გამო სავაჭრო კოოპერატიული აპარატის მუშაობას ხშირად უძლევებიან ის ბიუროკრატიული და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენენ ამ აპარატში“. მთელი ძალებით უნდა დავარტყათ ჩვენი სავაჭრო ქსელის ამ ნაკლოვანებებზე და გავანადგუროთ ისინი თუ გვინდა, რომ პარტიის დირექტივები გავატაროთ ცხოვრებაში და გადავჭრათ მუშათა მომარაგების დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამასთან ხაზგასმით არის აღსანიშნავი, სხვა მითითებათა შორის, პლენუმის გადაწყვეტილება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მსუბუქი მრეწველობის გაერთიანებათა, მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობათა, კოლმეურნეობათა და სარეწაო კოოპერაციის მიერ საქალაქო ვაჭრობის განვითარების და ადგილობრივი რესურსების მობილიზაციის შესახებ, რაც უდიდეს სამსახურს გაუწევს მომხმარებელთა მომარაგების საქმეს.

ეჭვი არ არის იმაში, რომ, როგორც პარტიის სხვა ღონისძიებების, ისე ხსენებულ ღონისძიებათა წინააღმდეგაც გამოვლენ და უკვე გამოდიან ის ოპორტუნისტული ელემენტები, რომლებიც კლასიური მტრის ტრიბუნებათ გვევლინებიან პარტიაში და მუშათა კლასში. პარტიამ მათ გამანადგურებელი პასუხი გასცა წარსულში, ამავე მოიმკიან ისინი ახლაც. ჩვეული ლენინისებური ურყეობით, დაყრდნობილი სოციალისტური შრომის ენტუზიასტთა მილიონებზე, ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ხელმძღვანელობით, პარტია დასძლევს ყველა დაბრკოლებებს ჩვენი ზრდისას და გადაჭრის ამ უდიდეს ამოცანებსაც.

ამ ამოცანების გადაჭრა განსაკუთრებულ პირობებში უხდება ჩვენი პარტიის ა.-კ. ორგანიზაციებს, კერძოთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას. თუ ამ მიზნისათვის სადმე საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, მათი დარაზმვა და რკინის დისციპლინა — ხოლო ეს საჭიროა ყიილგან მთელი კავშირის მასშტაბით, — მით უფრო ითქმის ეს სწორედ ჩვენს ადგილობრივ ორგანიზაც., რომელთა ხელმძღვანელების მოხსენებანი — ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებანი მოისმინა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და გამოიტანა მათ გამო თავისი ისტორიული დადგენილება ოქტომბრის 31-ს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნავს რა, რომ ამიერ კავკასიის პარტორგანიზაციამ უკანასკნელ პერიოდში მიაღწია განსაზღვრულ წარმატებებს, სცნობს, რომ ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადი შეცდომა გლეხობის საკითხშია. ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომლებმაც საგრძნობი მუშაობა გაშალეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, უმთავრესად ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტეხნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველჰყვეს გლეხობის (ღარიბ - საშუალო მასების) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამან ჰპოვა თავისი ყველაზე მკაფიო გამოხატულება პურის დამზადებაში, — სადაც დაშვებული იქნა უაღრესად უხეში გადახვევები, განსაკუთრებით საქართველოში, — კოლექტივიზაციის გატარებაში მთელ რიგ რაიონებში საკმაოდ სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის და არსებულ კოლმეურნეობების ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცების გარეშე“.

უაღრესად უხეში გადახვევები პურის დამზადების ხაზით და ეს განსაკუთრებით საქართველოში — ასეთია ის შეფასება, რომელიც მისცა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობას საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა იმ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიაში, როგორსაც წარმოადგენს პურის, კერძოდ სიმინდის, დამზადება. მიუხედავათ საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არა ერთ გზობით მითითებებისა, ჩვენი ორგანიზაციები მთელ რიგ რაიონებში, ზოგჯერ თანახმად ნაციონალური კომპარტიების — კერძოთ და განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის — ხელმძღვანელობის დირექტივებისა, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ არც ფაქტიურ მდგომარეობას მასიურ პოლიტიკური წინასწარი მუშაობის ნაკლებობის მხრივ, არც გლეხობის სასურსათო უზრუნველყოფის პირობებს, მექანიკურად ატარებდნენ ამ დირექტივებს და ამნაირად ადგილი ჰქონდა უხეშ შეცდომებს. იგივე ითქმის კოლექტივიზაციის დარგში დაშვებულ შეცდომებზე, რომლიდანაც, მიუხედავათ 1930 წლის „თავბრუდახვევის“ პერიოდის მწარე გამოცდილებისა, ვერ გავაკეთეთ საბოლოოდ საჭირო პოლიტიკური დასკვნები, ვერ გამოვიყენეთ ისინი საკმაო პოლიტიკურ გაკვეთილებათ მომავალში მათი გამოსწორების მიზნით. ჩვენ გამოვეკიდეთ ისევ რაოდენობას ხარისხის ხარჯზე, ვატარებდით რა კოლექტივიზაციას ისევ მექანიკურად, საკმაო სერიოზულ მუშაობის ჩაუტარებლად, არსებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების გარეშე, რომელიც შექმნიდა საჭირო ხელსაყრელ პირობებს კოლექტივიზაციის წარმატებით გატარებისათვის. ორივე შემთხვევაში, როგორც პურის დამზადების, ისე კოლექტივიზაციის დარგში, ადგილი ჰქონდა პარტიული ხაზის უხეშად დამახინჯებებს, რაც ნიშნავს გადამახინჯებას გლეხურ საკითხში. ეს შეცდომები არა თუ დაუშვა ხელმძღვანელობამ რესპუბლიკებში, განსაკუთრებით საქართველოში, და ამიერ - კავკასიის პარტიულ ხელმძღვანელობამ, არამედ ვერ გამოვასწორეთ საკმაო სიჩქარით თვით იმის შემდეგაც, რაც მივიღეთ კატეგორიული გაფრთხილება პარტიის ბელადისაგან.

დიდ შეცდომებს, რომელნიც ამახინჯებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, ჰქონდა ადგილი ამიერ - კავკასიის პარტხელმძღვანელობის მხრივ ამიერ - კავკასიის ფედერაციის მშენებლობის, მისი სამეურნეო ბაზის განმტკიცების პროცესში, რომელიც სრულიადაც არ გულისხმობდა, ხსენებული დირექტივების თვალსაზრისით, ნაციონალური რესპუბლიკების ფართო დამოუკიდებლობის და სამეურნეო ინიციატივის გაშლის უარისყოფას და აღკვეთას, არამედ სახავდა მათ მის აუცილებელ პირობათ. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის დირექტივაში ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომი მუშაობის შესახებ, ნათქვამი იყო შემდეგი: „ამიერ - კავკასიის ფედერაციის ორგანოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ნაციონალური რესპუბლიკების მიმართ უნდა მიმდინარეობდეს ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალ ნაციონალური რესპუბლიკების ფართო თვითმოქმედების და სამეურნეო ინიციატივის გაშლასთან ერთად“. და მივიღეთ ის, რომ „ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტმა — როგორც ნათქვამია საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებაში — დაუშვა მეტის მეტი ცენტრალიზაცია ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც გამოიწვია მთელ რიგ დარგებში რესპუბლიკანური ორგანოების გაუპიროვნება“. აქ არის შეცდომა არა მარტო ამიერ - კავკასიის პარტხელმძღვანელობის, არამედ ნაცკომპარტიებისაც, რომლებმაც წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს „მეტისმეტ ცენტრალიზაციას“ და „ვერ უზრუნველჰყვეს დირექტივებთან შეფარდებით ამიერ - კავკასიის ფედერაციაში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკების ფართო დამოუკიდებლობის და სამეურნეო ინიციატივის გაშლა“. ეს შეცდომები უნდა იქნეს მტკიცედ გამოსწორებული, ზოგიერთი ამიერ - კავკასიის ორგანოების (ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი) ურაცენტრალისტური მოქმედება — აღკვეთილი, რიგი რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოები რესპუბლიკისათვის დაბრუნებული და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ისე უნდა იქნეს გატარებული, რომ არ ჩავარდეთ მეორე უკიდურესობაში და არ ვავნოთ ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცების ინტერესებს.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტთაგანს წარმოადგენს საკითხი ამიერკავკასიის პარტორგანიზაციის შინაური მდგომარეობის შესახებ. ცეკა, აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ პერიოდში ეს ორგანიზაცია გაიზარდა იდეურად, პოლიტიკურად და გამაგრდა პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე, ამავე დროს მასში არ არის დაცული საჭირო მონოლიტობა და ბოლშევიკური დარაზმულობა, რომ იქ აქვს ადგილი ცალკე პირების უპრინციპო ჯგუფურ ბრძოლას, ცალკე პირების ბრძოლას გავლენისათვის, „ატამანშჩინას“. ეს ბრძოლა უარყოფს კადრების შერჩევის დროს, ამა თუ იმ სამუშაოზე საქმიანი მიდგომის შესაძლებლობას და აწესრიგებს ამ საკითხს არა საქმისათვის სარგებლიანობის, არამედ — ამა თუ იმ პირის ჯგუფური ინტერესების თვალსაზრისით.

ამ უპრინციპო ბრძოლას უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი განმანადგურებელი ომი მის გადაჭრითა და საბოლოოდ აღსაკვეთად. ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს პარტიას მიმდინარე პერიოდში, ის საკითხები, რომლებიც უნდა გადასწყვიტოს კერძოდ ამიერ - კავკასიის ნაციონალურმა კომპარტიებმა საკავშირო კომპარტიის ცეკას დირექტივების თანახმად, რომლებზეც ცალკე გვექნება ლაპარაკი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან ორგანიზაციების მონოლიტობის, ბოლშევიკური დარაზმულობის, მტკიცე დისციპლინის, ლენინური პარტიულობის გადაჭრითა და ურყევათ გატარებას. ამიერ - კავკასიის პარტიული ორგანიზაციები და კერძოთ საქართველოს კომპარტია მტკიცედ და ერთსულოვნად გაატარებს საკავშირო კომპარტიის ლენინური შტაბის ამ კატეგორიულ მოთხოვნასაც დაუნდობელ ბრძოლაში „ატამანშჩინის“ ყველა ელემენტების წინააღმდეგ, — მიუჩენს რა მათ საკადრის ადგილს.

საქართველოს კომპარტია იწყებს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების დამუშავებას. ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ამიერ - კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, ბოლშევიკური სიმტკიცით გაატარებს ლენინური ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს და პარტიის გენერალური ხაზისათვის, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის დიად ბრძოლაში იქნება საკავშირო პარტორგანიზაციების მოწინავე რიგებში.

მანჯურიაში გრძელდება სამხედრო ოპერაციები

დრემონდი ერთა ლიგის სახელით მხარს უჭერს იაპონიის იმპერიალიზმს

ჟენევა. 4 ნოემბერი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჟენევაში სიგიმურამ აცნობა იოსიზავას, რომ ერთა ლიგის სახალხო ჯანმრთელობის კომისიის (ეს კომისია ჩინეთში მუშაობს) წევრმა რეიქმანმა შეატყობინა ერთა ლიგის მდივანს დრემონდს, რომ ნანკინის მთავრობა წესრიგის დასაცავად მანჯურიაში იაპონიის ჯარების ევაკუაციის შემდეგ, თავის ძალებს უყრის თავს ცინჯოუს რაიონში' რაზედაც დრემონდმა შემდეგი უპასუხა რეიქმანს:

„ჩინეთი სცდება, თუ ფიქრობს, რომ იაპონია ჯარებს გაიყვანს 16 ნოემბრამდე, ვინაიდან ერთა ლიგის საბჭოს მიერ წარდგენილი რეზოლიუცია არ არის მიღებული უფრო მეტი, ერთა ლიგის პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომ ჩინეთმა ჯარები მოამზადოს დაპყრობილი პუნქტების დასაკავებლად. გადაეცით ნანკინის მთავრობას, რომ ერთა ლიგა დიდი კედელის აქეთ ჩინეთის ჯარების თავმოყრა დაუშვებლად სცნობს“. (ადს).

სამხედრო ოპერაციები ჩრდილოეთისაკენ ვრცელდება

მუკდენი, 3 ნოემბერი. უცხოეთის გაზეთების ცნობით, სამხედრო ოპერაციები უფრო და უფრო ინაცვლებენ ჩრდილოეთისაკენ და უახლოვდებიან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას. ერთი უცხოელი მეთვალყურე შენიშნავს, რომ „იაპონია ცდილობს თავის თავი გასაღოს დასაყრდენად ბოლშევიზმის წინააღმდეგ აზიის ამ ნაწილში, რისთვისაც ავრცელებს და საბჭოთა კავშირს მიაწერს ყალბ პროვოკაციულ ხმებს, გამოგონილს თვით იაპონელების მიერ“.

საერთოდ უცხოეთის წრეებში შესაძლებლად თვლიან, რომ იაპონელები შეეცდებიან გააღრმავონ არსებული კონფლიქტი (ადს).

ლი ინ-ჩენი ტყვედ წაიყვანა ჩანსუე-ლიანმა

ტოკიო, 3 ნოემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ლი ინ-ჩენი, (იაპონიის აგენტი, რომელიც ხელმძღვანელობდა მოძრაობას მანჯურიის „დამოუკიდებლობის“ სასარგებლოდ) მთელი მისი შტაბით ტყვეთ ჩაუვარდა ჩან-სუე-ლიანს (ადს).

თურქეთი და საბჭოთა კავშირი

კმაყოფილი არიან ამხ. ლიტვინოვის განცხადებით

ანკარა, 3 ნოემბერი. თურქეთის პრესა დადებითად აფასებს ამხ. ლიტვინოვის განცხადებას თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. გაზეთი „ხაკიმიეთ მილიეთი“ ეხება რა ამხ. ლიტვინოვ-ს განცხადებას თურქეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესახებ, სიხარულს გამოსთქვამს საბჭოთა კავშირის წარმატების გამო, რამაც შესაძლებელი გახადა ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება საბჭოთა კავშირთან.

„ლიტვინოვის განცხადება,—სწერს გაზეთი,— ახალ ხანას წარმოადგენს ორივე ქვეყნის მეგობრობაში“ (ადს).

რეაქციის გამარჯვება ინგლისში

ლონდონი. 4 ნოემბერი. მუნიციპალური არჩევნების შედეგები მოწმობენ კონსერვატორების გამარჯვებას და ლეიბორისტების დამარცხებას, განსაკუთრებით ლონდონში. აქამდე მიღებული ცნობებით, ლეიბორისტებმა საერთოდ დაჰკარგეს 416 ხმა, აქედან—200-ზე მეტი—ლონდონში. არჩევნებამდე ლეიბორისტულ პარტიას უმრავლესობა ჰყავდა ლონდონის მუნიციპალურ საბჭოებში. ახლა მან მიიღო ხმების მხოლოდ ერთი მესამედი (ადს).

კონსერვატორების გამარჯვება მუნიციპალურ არჩევნებში

ლონდონი, 3 ნოემბერი. მუნიციპალური არჩევნების წინასწარი შედეგები მოწმობენ კონსერვატორების გამარჯვებას და ლეიბორისტების დამარცხებას. ლეიბორისტებმა იმ ქალაქებშიც კი განიცადეს მარცხი, რომლებიც აქამდე მათ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, ლეიბორისტებმა ლონდონში დაჰკარგეს 92 ადგილი (ადს).

დეპეშების გაგრძელება მე-2 გვ.

გვალვის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ბრძოლას მოსავლისათვის

ამხ. მოლოტოვის სიტყვა გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის საკავ. კონფერენციაზე

ჩვენი გეზი გვალვის წინააღმდეგ ბრძოლაში

მოსკოვი, 3 ნოემბერი. ამხანაგებო, ნება მომეცით, პირველ ყოვლისა, მივესალმო კონფერენციას ჩვენი პარტიის ც. კ-ისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს სახელით (ტაში).

ამხ. იაკოვლევისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივა, რომ ეს კონფერენცია მოეწვიათ, უეჭველია, მეტად დროულად უნდა ჩაითვალოს. დროა ნამდვილად ხელი მოვკიდოთ გვალვასთან ბრძოლის საქმეს. გვალვასთან ბრძოლის საკითხის ბოლშევიკურად დაყენებამ ჩვენს ქვეყანაში არ შეიძლება არ მიიპყროს მუშათა კლასისა და გლეხობის ფართო მასების ყურადღება. ამ საკითხის მნიშვნელობა შემდეგიდან ჩანს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ გვალვასთან ბრძოლის შესახებ საბჭოთა კავშირში, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს უდიდეს ტერიტორიასთან რამდენიმე ათეული მილიონი ჰექტარის რაოდენობით საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარესა და უკრაინის სამხრეთ ნაწილში. ეს რაიონები საშუალო მოსავლის დროს გვაძლევენ ჩვენ არა ერთ მილიარდ ფუთ პურს. კარგი მოსავლის დროს ეს რაიონები დამატებით მოგვცემენ რამდენიმე ას მილიონ ფუთ პურს. სამაგიეროდ გვალვიან წლებში ქვეყანა ჰკარგავს რამდენიმე ას მილიონ ფუთ პურს. მაშასადამე, არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ გვალვასთან ბრძოლის საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოფლის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობისათვისაც. ჩვენ პირველად როდი გვაქვს საქმე გვალვასთან საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში. რევოლუციის წლებში არა ერთხელ გვიხდებოდა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში გვალვის შედეგებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა. ეხლა დადგა დრო, დასმულ იქნას ეს საკითხი გვალვასთან ბრძოლის შესახებ როგორც საჭიროა, ბოლშევიკურად. ამასთან შეფარდებით ეხლანდელი მუშაობის მასშტაბი უფრო სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე წინად. უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენ გადამწყვეტ ღონისძიებებს უნდა მივმართოთ ამ საკითხების გადაჭრაში, რომელთაც კავშირი აქვთ გვალვის წინააღმდეგ ბრძოლასთან. რამდენადაც ეს კონფერენცია ითვლება ინიციატორად გვალვასთან ბრძოლის პრობლემების წამოყენებაში, იმდენად მისი მნიშვნელობა საერთოდ მეტად რთული და ძნელია.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ გვალვის პრობლემის ნამდვილად სერიოზული და მეცნიერული დამუშავებისათვის ოდნავადაც არ არის საკმარისი ის, რაც ამდენ ხანს გაკეთდა. კიდევ უფრო ნაკლებია გაკეთებული იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს მეცნიერებისა და პრაქტიკული მშენებლობის იმ მუშაკთა ღონისძიებანი, რომელთა მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში. ამიტომ, წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე კონფერენციის მუშაობაში არა ერთ და ორ ნაკლს ექნება ადგილი, რომ მისი მუშაობის ერთგვარი გაკრიტიკება არც თუ ისე ძნელი იქნება. მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც არ ამცირებს იმ დიდ მნიშვნელობას, არა მარტო სამეურნეოს, არამედ პოლიტიკურსაც, რომელიც აქვს ამ კონფერენციას. ამ კონფერენციის მუშაობით ვერ დამთავრდება გვალვასთან ბრძოლის პრობლემის დამუშავება.

ამ კონფერენციას, სადაც საკმაოდ არიან წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის მეცნიერების სათანადო დარგთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც, ამასთან ერთად, მონაწილეობას იღებენ იმ რაიონების სასოფლო მეურნეობის ყველაზე უფრო ცნობილი და კომპენტენტური მშენებელი პრაქტიკოსები, სადაც გვალვები იცის,— ბევრი რამე შეუძლია გააკეთოს გვალვასთან ბრძოლის პრობლემის გადაჭრისათვის ნამდვილი მეცნიერული ნიადაგის მოსამზადებლად. მაგრამ, გარდა იმ მუშაობისა, რაც ჩატარებულ იქნება თვით კონფერენციაზე, საჭიროა ამ ძირითადი საკითხების შემდგომი სერიოზული დამუშავება, რომლებიც დაკავშირებული არიან გვალვასთან ბრძოლის საქმესთან, როგორც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და საბჭოთა მეურნეობების სისტემაში, ისე კოლმეურნეობათა ცენტრისა და ტრაქტორცენტრის სისტემაშიაც, ამასთან არა მარტო ცენტრში, არამედ ადგილებზედაც. საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოვალეობას შეადგენს მთელი ამ საქმის დამუშავების სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, და ეს უნდა ჩაითვალოს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

ამ მუშაობის შედეგები უნდა წარედგინოს განსახილველად სახკომსაბჭოს, რომელმაც უკვე ახლო მომავალში უნდა მოისმინოს მიწსახკომის სათანადო წინადადებები. ჩემი ამოცანა ამ შემთხვევაში ისე მესახება, რომ გავაშუქო ძირითადი გეზი გვალვასთან ბრძოლის საკითხში. რასაკვირველია, გვალვასთან ბრძოლის საკითხის სერიოზული დაყენება მოითხოვს საქმისადმი ყოველმხრივ და მეცნიერულ მიდგომას, ე. ი., პირველ ყოვლისა, გვალვის მიზეზების გამოკვლევას. ეს მოითხოვს, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს გვალვის საკითხის სამეცნიერო-ფიზიკურ მხარეს. საჭიროა წარსულთან შედარებით ყოველ მხრივ და უფრო მეტად შეუწყოთ ხელი სათანადო მუშაობას. თუ ყოველმხრივ არ იქნა დამუშავებული გვალვის საკითხები სამეცნიერო - ფიზიკური თვალსაზრისით, არაფრის თქმა არ შეიძლება გვალვის მიზეზებზე და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება, როგორც საჭიროა ისე, მივუდგეთ გვალვასთან საბრძოლველად ზომების მიღების საკითხს. მაგრამ გვალვის საკითხის სამეცნიერო - ფიზიკური დამუშავება საქმის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. ამასთან ერთად უნდა ხდებოდეს დამუშავება გვალვასთან ბრძოლის საკითხების, როგორც უდიდესი ეკონომიური პრობლემის. ამ მხრივ კი ჯერ-ჯერობით მეტად ცოტა არის გაკეთებული.



ცარიზმის დროს, როცა სოფლად ბატონობდნენ მემამულეები, როცა მიწა კერძო საკუთრებას შეადგენდა, გვალვასთან ბრძოლის საკითხს არ აყენებდნენ, როგორც უდიდეს საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანას. ბატონი მემამულეები და კულაკები ყოველთვის ცხოვრობდნენ გლეხების დაუძლურების ხარჯზე. გვალვა იწვევდა მილიონების, ხოლო ზოგჯერ ათეული მილიონების საყოველთაო დამშევას. მემამულეები და ყოველი ჯურის კაპიტალისტები გაორკეცებით და გასამკეცებით ყვლეფდნენ მშიერს სოფელს და გვალვისაგან მიყენებულ ზარალს ფარავდნენ ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების მოხერხებული ექსპლოატაციის გაძლიერებით. ცარიზმისათვის უცხო იყო გვალვასთან ბრძოლის საკითხის დაყენება, როგორც საერთო - სახალხო ამოცანა. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს ეს საკითხი მოექცა პირველხარისხოვან ზოგად-სახელმწიფოებრივ ამოცანებს შორის. ეს მოხდა იმიტომ, რომ სოციალიზმი თავის ძირითად ამოცანად სახავს ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველ მხრივ გაშლა-განვითარებას. მაშასადამე, როგორ სდგას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე გვალვასთან ბრძოლის საკითხი? ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ეს საქმე არ ნიშნავს მხოლოდ თავდაცვითი ზომების მიღებას გვალვის წინააღმდეგ. გვალვასთან ბოლშევიკური ბრძოლა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის მთელ საქმესთან. ბოლშევიკებისათვის გვალვასთან ბრძოლა — ეს არის ნამდვილად, საბჭოთა სისტემის შესაფერისად მოწესრიგებული ბრძოლა მოსავლიანობის გასადიდებლად. ასეთი გეზი ერთად-ერთი სწორი გეზია, თუნდ მარტო იმიტომაც, რომ სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების საკითხი შეუძლებელია განხილულ იქნას ცალკე გვალვიანი წლების ვიწრო თვალსაზრისით. იმ ზოლშიაც კი, სადაც ხშირი გვალვები იცის, ძალზე შემცირებული მოსავალი (გვალვა) უფრო იშვიათია, ვიდრე მოსავალი, რომელიც საშუალო დონეს უახლოვდება.

სოფლის მეურნეობის აღორძინების წინასწარი პირობები

რევოლუციის წლებში ჩვენმა სოფლის მეურნეობამ უდიდესი გზა განვლო. რამდენადაც მიხვეულ - მოხვეულიც არ უნდა იყოს ეს გზა, ფაქტები მოწმობენ, ჩვენი სოფლის მეურნეობის შეუწყვეტელ ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ მომხდარა სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების განმტკიცება და გაშლა ისე, როგორც ეს საჭიროა არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ცალკე რაიონებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დაქვეითების ელემენტები,—საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი გზა მტკიცედ მიიმართება ზრდისაკენ, რადგან ჩვენი სოფლის მდგომარეობა წლითიწლობით უკეთესი ხდება. რას ემყარება სოფლის მეურნეობის განვითარების ეს წარმატება? იმას, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა არსებობს და იზრდება საბჭოთა პირობებში, სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში. ორ წინასწარ პირობას, თუ უშუალოდ სოფლის მეურნეობის შესახებ ვილაპარაკებთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი სოფლის საწარმოო ძალების ზრდისათვის. დავიწყოთ პირველი პირობიდან. ის მოცემულია თვით ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისიდანვე. ეს პირობაა —მიწის ნაციონალიზაცია და მემამულეების განდევნა. მიწის ნაციონალიზაციამ, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მსხვილი მრეწველობისა და ტრანსპორტის წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციასთან, გზა გაუხსნა გლეხთა მასებს უკეთესი ცხოვრებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ეყრდნობა მის ხელში მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და რკინის გზების გადასვლას, უზრუნველჰყო გლეხთა მასების ცხოვრების გაუმჯობესება. როგორც ვიცით, ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ, რომელიც შესდგა ოქტომბრის რევოლუციის პირველი ათი წლის გასულს, მოიწონა და აღნიშნა ეს ფაქტი. პარტიამ აღნიშნა მაშინ ის ფაქტი, რომ იმ საშუალო გლეხთა მეურნეობების ზრდასთან ერთად, რომელნიც მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს, ადგილი აქვს ღარიბ გლეხთა საგრძნობი ნაწილის მეურნეობის გაუმჯობესებას. იმ პერიოდშიაც კი, როცა სოფელი ჯერ კიდევ თითქმის მარტო წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათაგან შესდგებოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ სოფლის ღარიბთა ფენა ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით მცირდებოდა. ბოლშევიკები თანამიმდევრობით ატარებდნენ კულაკურ მეურნეობათა ზრდის შეზღუდვისა და სოფლის ღარიბ-საშუალო მასისათვის ყოველმხრივ მხარის დაჭერის პოლიტიკას.

ამის შედეგად და იმის გამო, რომ შეიზღუდა კულაკური ელემენტების ზრდა, იზრდებოდა საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა, განსაკუთრებით საშუალოთა რიგში ღარიბ მეურნეობათა განსაზღვრული ნაწილის გადასვლის ხარჯზე. ასეთია ფაქტები, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა ხელისუფლების პირველი ათი წლის შედეგების თვალსაზრისით. ეხლა ძნელი არაა ამ ფაქტების დადასტურება და აღიარება. მაგრამ რამდენიმე წლის წინად, ამ ფაქტების ცნობა არც თუ ისე ადვილი იყო ჩვენი პარტიის ერთი ნაწილისათვისაც კი. ტროცკისტებს მათი მენშევიკური განსაზღვრულობით არ სურდათ ამ ფაქტების დანახვა. ისინი შეიპყრო პანიკამ ამ გარდატეხის პერიოდში გაშლილი კლასობრივი ბრძოლის სიძნელეთა წინაშე და, როგორც ნამდვილი მეშჩანური დემოკრატები, ისტერიულად ვარდებოდნენ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში. და გაჰკიოდნენ კულაკის ვითომც ძლევამოსილი შეტევის, საზ. ტერმიდორის შესახებ და სხ. ამ პოლიტიკური უბერებმლობისათვის მათ დაჰკარგეს ყოველგვარი ნდობა მუშათა კლასში. ეს მათ დაიმსახურეს.

მაგრამ ჩვენი პარტია არასოდეს არ განსაზღვრავდა თავის ამოცანებს სოფლად წვრილი გლეხური მეურნეობის განმტკიცებით. პარტიის მუშაობაში ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა მსხვილი სოციალისტური წარმოების ბატონობის უზრუნველყოფას მთელს სახალხო მეურნეობაში. რევოლუციის პირველ წლებში, როცა ჩვენი ქვეყნის მეურნეობა მოშლილი იყო, ჩვენს მრეწველობას ჯერ კიდევ არ შეეძლო გამხდარიყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის მტკიცე დასაყრდენად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლების პირველი ათი წლის დამლევისათვის მდგომარეობა ერთობ შეიცვალა. ამ დროისათვის ჩვენ უკვე მივაღწიეთ უდიდეს წარმატებას სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის საქმეში. სწორედ ამ საფუძველზე ბოლშევიკებმა დაისახეს ახალი ამოცანები სოფლის მიმართ. სოფლის სოციალისტური გარდაქმნა შეტანილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დღის წესრიგში. მით უმეტეს, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა თვითეულ ნაბიჯზე აფერხებდა ჩვენს ინდუსტრიას, მთელს ჩვენს მშენებლობას. დასასრულ, საკითხის სიმწვავე გაიზარდა იმასთან დაკავშირებით, რომ წინა წლებში სოფლად წამოზრდილი კაპიტალისტური ელემენტები (კულაკობა) სულ უფრო აშკარად ხდებოდნენ ცდას, რომ ჩაეშალათ ჩვენი მშენებლობა, მაგალითად, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საბოტაჟის (შეწყვეტის) საშუალებით და სხვ. (გამოტოვებულია).

სოფლის კოლექტივიზაცია გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ. პარტია გადავიდა ისეთ პოლიტიკაზე, როგორიცაა, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. და ამჟამად კოლმეურნე გლეხობა უკვე გადაიქცა არა მარტო ჩვენი მტკიცე დასაყრდენად, არამედ ნამდვილად გაბატონებულ ძალად სოფელში. ამ რიგად, გლეხობის მშრომელმა მასამ იპოვა თავისი ერთადერთი გზა სოფლის მეურნეობის და სოფლის საწარმოო ძალთა გაძლიერებისაკენ. ის მტკიცედ დადგა სოციალიზმის გზაზე. იგი წავიდა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. მემარჯვენე ოპოზიცია, განსაკუთრებით 1928—1929 წლებში, ძალიან ცდილობდა დაეშინებია პარტია იმით, რომ იმ პერიოდში გაშლილი შეტევა კულაკზე დასტოვებდა მუშებს უპუროდ. ჩვენ მაშინ გვეუბნებოდნენ, რომ ჯერ კიდევ დიდხანს დაგვჭირდება კულაკის პური, ურომლისოდაც ცხოვრება არ შეგვიძლია. მემარჯვენეები თავიანთ ამოცანას ხედავდნენ იმაში, რომ ჩვენ შეგვეჩერებინა შეტევა კულაკის წინააღმდეგ და შეგვემცირებინა დახმარება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათათვის. ბოლშევიკები პურის საკითხს სულ სხვანაირად უდგებოდნენ. ბოლშევიკები ამ საკითხის გადაჭრის დროს ეყრდნობოდნენ ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაციას კულაკთან ბრძოლაში და აძლევდნენ ყოველმხრივ მუშაობას სოფლის მეურნეობის გადაყვანისათვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა რელსებზე.

უკვე ცნობილია, თუ რა შედეგი მოიღეთ: მემარჯვენეები სავსებით გაკოტრდნენ. ცხოვრებამ სულერთიანად დაამხვრია მათი შეხედულებები. მტკიცედ და საბოლოოდ გაიმარჯვეს სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზაციამ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობამ. მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლამ და საბჭოთა მეურნეობების გაშლილმა მშენებლობამ შექმნეს მთელი, და მასთან ერთად გადამწყვეტი პირობები სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა გადიდებისათვის. ამ საფუძველზე წარმატებით ხორციელდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა. სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება შევიდა ახალ ეპოქაში, როდესაც ექსპლოატატორ - კაპიტალისტების უკანასკნელ კლასს სწრაფად ეცლება ნიადაგი ფეხქვეშ. სასოფლო - სამეურნეო წარმოება დადგა თავისუფალი განვითარების გზაზე, სოციალიზმის გზაზე. ამის პირველ შედეგებს ჩვენ ეხლა უკვე ვხედავთ. სულ ორმა სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სოფელმა იწყო გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე, ხოლო საწარმოო ძალთა განვითარებისათვის უკვე გაიხსნა ახალი, ჯერ გაუგონარი სარბიელი. განსაკუთრებით ეს უფრო სჩანს ამ წლიდან.

1931 წელი წარმოადგენს გვალვიან წლიწადს სამხრეთ-აღმოსავლეთის მთელ რიგ მსხვილ რაიონებისათვის. რამდენიმე მილიონი ჰექტარი ცოტად თუ ბევრად დაზიანებულია გვალვისაგან. ამით ჩვენ ვიზარალეთ რამდენიმე ასეული მილიონი ფუთი პური. და, მიუხედავად ამისა, წლის შეგროვებული პურის მთელი რაოდენობა მაინც არ არის ნაკლები შარშანდელისაზე. განა ეს არ არის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამარჯვება სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე? გვალვის მიუხედავად, ადგილი აქვს შემოდგომის ნათესის ზრდას შარშანდელთან შედარებით. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ 1932 წლის გაზაფხულის ნათესიც ფართობით უფრო მეტი იქნება, ვინემ მიმდინარე წლის გაზაფხულის ნათესი. ამ რიგად, ჩვენ მივდივართ წინ და ვადიდებთ ნათეს ფართობს გვალვის შემდეგ მთელ რიგ რაიონებში.

პურის დამზადების მიმდინარეობა აგრეთვე მოწმობს, რომ ჩვენ წარმატებით ვასრულებთ პურის დამზადების გეგმას. ჩვენ უკვე დავამზადეთ მეტი პური, ვიდრე გასული წლის შესაფერ პერიოდში. ჩვენ არ შეგვიძლია ეჭვი, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებული პურის დამზადების გეგმა, რომელიც აღემატება გასული წლის შესაფერ გეგმას, მთლიანად იქნება შესრულებული. და ამაში ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ, თუ რამდენად განმტკიცდა ჩვენი პოზიციები სოფლის მეურნეობაში და რამდენად დიდია კოლექტივიზაციის უპირატესობა სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. დამახასიათებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენში, გვალვის მიუხედავად, არამც თუ არა აქვს ადგილი უმუშევრობას, არამედ ჩვენ არ გვყოფნის მუშა-ხელი. და ეს იმ დროს, როდესაც რევოლუციამდე გვალვა ქმნიდა უმუშევართა უდიდეს არმიას და იწვევდა მილიონების, ხოლო ზოგჯერ კი ათეული მილიონების, პირდაპირ დამშევას. მაშასადამე, მთელ რიგ რაიონებში გვალვის მიუხედავად, ჩვენში არამც თუ არ შემცირდება ნათესი ფართობი და პურის დამზადების გეგმა, არამედ არ არსებობს უმუშევრობაც. კიდევ მეტი, ჩვენში გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესი. მაგრამ ზემოთ ნათქვამი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვქონდეს დიდი ზარალი ამ წლის გვალვისაგან. რამდენიმე ასეული მილიონი ფუთი დაკარგული პური წარმოადგენს უდიდეს დანაკლისს სოფლის მეურნეობისათვის, სოციალიზმისათვის. ამიტომ გვალვასთან ბრძოლის საკითხი დასმული უნდა იქნას მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

ამხ. მოლოტოვის სიტყვის დასასრული შემდეგ ნომერში

ეკონომიური თავდაუსხმელობის

პაქტის საბჭოთა პროექტის განხილვა

ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვა

ჟენევა, 3 ნოემბერი. ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტის საბჭოთა პროექტის განსახილველად მოწვეულ კონფერენციაზე სოკოლნიკოვმა თავის სიტყვაში სთქვა:

„ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტის დადება არ არის ახალი. მას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო პროექტს, აღნუსხულია ამხ. **ლიტვინოვის** სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა საკოორდინაციო ქვეკომისიის სხდომაზე. საბჭოთა დელეგაციამ მესამე სესიაზე მსოფლიო ეკონომიურ კრიზისს გაუკეთა დეტალური ანალიზი, რომელიც სავსებით დაადასტურა კრიზისის შემდგომმა განვითარებამ. კერძოთ, საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ კრიზისის გამწვავების ერთ-ერთ არსებითი ელემენტს წარმოადგენს გაძლიერება ეკონომიური ბრძოლის, რომელიც სწრაფად ვრცელდება მთელ რიგ ქვეყნებზე და იწვევს ეკონომიური აგრესიის გეგმებს და აქტებს. საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი, რომელშიც მოკლედ არის აღნუსხული პრინციპი ერთი ქვეყნის მიერ მეორის დისკრედიტაციის დაუშვებლობისა ეკონომიურ დარგში.

იცავს რა პაქტის საბჭოთა პროექტს, **საბჭოთა დელეგაცია არ გამოდის ექიმის როლში, რომელსაც სურს კაპიტალისტური რეჟიმის განკურნება მის სნეულებათაგან.** ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ რეჟიმის სნეულებანი და ბოროტებანი განუკურნავია, **რომ მხოლოდ კაპიტალისტური ანარქიის შეცვლას სოციალისტური გეგმიანი მეურნეობით შეუძლია უზრუნველჰყოს იმ საწარმოო ძალების სწრაფი და მძლავრი განვითარება, რომელიც მოეპოება კაცობრიობას.** საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა არ არის მიმართული იქითკენ, რომ როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ, მიზნად ჰქონდეს უდიდესი უწესრიგობის შეტანა მსოფლიო მეურნეობაში. საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა საბჭოთა მეურნეობის სწრაფ განვითარებას იცავს მავნე გავლენისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შემოჭრა ულმობელი კრიზისით შეპყრობილ კაპიტალისტურ მეურნეობიდან“.

აღნიშნავს რა შემდეგ, რომ ეკონომიური თავდაუსხმელობის პაქტს მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესების, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესების თვალსაზრისით, სოკოლნიკოვი განაგრძობს:

„საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო რეალურად გრძნობს თავის თავზე ეკონომიური აგრესიის შედეგებს; ზოგიერთ ქვეყნებში იღებენ ეკონომიურ ღონისძიებებს, რომლებიც უშუალოდ მიმართულია საბჭოთა კავშირის დისკრედიტაციისაკენ. ღონისძიებები, მიმართული სპეციალურად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში, სახელდობრ: ბელგიაში, სამხრეთ - სლავიაში, რუმინეთში და უნგრეთში, აქამდე არ არის გაუქმებული. ასევე არ არის გაუქმებული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიმართული ზომები ოკეანეს იქეთა მხარეში. უკანასკნელ ხანებში ოკეანეს იქეთა ერთ-ერთ მხარეში ადგილი ჰქონდა აშკარა მტრულ გამოსვლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირსა და ამ ქვეყნებს შორის, იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ სწყდება. უკანასკნელ ხანებში ჩვენ იძულებული ვართ აღვნიშნოთ ცილისწამების ახალი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: ავრცელებენ ყალბ ცნობებს, თითქოს საბჭოთა კავშირმა დაჰკარგა კრედიტების განაღდების შესაძლებლობა. ვინაიდან მთელმა რიგმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა დაჰკარგეს საკრედიტო უნარი, ეს, როგორც სჩანს, საკმაო საბუთს წარმოადგენს ხმების გასავრცელებლად, რომ საკრედიტო უნარმოკლებული აღმოჩნდება სოციალისტური მეურნეობის ქვეყანაც. ივიწყებენ, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემა, რომელიც გულისხმობს აგრეთვე სავალიუტო ანგარიშების მტკიცე მოწესრიგებასაც, წარმოადგენს საუკეთესო გარანტიას საკრედიტო უნარის დაკარგვის წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილი და უდავოა ის ფაქტი, რომ საგარეო ბრუნვის საერთო დაცემის პირობებში მხოლოდ საბჭოთა დაკვეთები იზრდება შეუჩერებლად, რაც სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის პროდუქციის საერთო ზრდას“.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, სოკოლნიკოვი აცხადებს, რომ საბჭოთა დელეგაცია მზად არის შეიტანოს პროექტში ცალკე დელეგაციების შენიშვნები, იმ პირობით, რომ ეს შენიშვნები არ ეწინააღმდეგებიან პროექტის იდეას.

სოკოლნიკოვის სიტყვის შემდეგ იწყება საერთო კამათი.

კამათი

ჟენევა, 3 ნოემბერი. ესპანეთის წარმომადგენელმა გაილაშქრა საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. მან აშკარად აღიარა აგრესიისა და დისკრიმინაციის არსებობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

შვეიცარიის დელეგატმა შტუკიმ ჩამოსთვალა მთელი რიგი დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობება პაქტის გატარებას ცხოვრებაში. შტუკი ყოველმხრივ ცდილობს დაამტკიცოს, რომ შვეიცარია წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებს არა იმიტომ, რომ იგი გამომდინარეობს საბჭოთა კავშირისაგან, შვეიცარია ამგვარი წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრებდა იმ შემთხვევაშიც, რომ იგი რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანას წამოეყენებია.

შტუკის სიტყვის შემდეგ შეიქმნა უხერხული მდგომარეობა, რადგან არავინ არ იღებდა სიტყვას. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი ასოთა რიგით გამოიწვევს დელეგატებს და სთხოვს მათ მისცენ შეკითხვები საბჭოთა დელეგაციას.

შემდეგ ასოთა რიგის მიხედვით გამოვიდნენ გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, ჩილის, ესპანეთის, ესტონის, ფინეთის, საფრანგეთის, იაპონიის, ლატვიის, პოლონეთის რუმინეთის, თურქეთის, სამხრეთ-სლავიის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლები. არც ერთ მათგანს საკამათოდ არ უცდია სოკოლნიკოვის სიტყვაში წამოყენებული დებულებები. თავიანთ გამოსვლებში ისინი ზღუდავდნენ შეკითხვებით, რომლებიც შეეხებოდა პაქტის პრინციპებისადმი უფრო მკაფიო ხასიათის მიცემას. მიცემულ კითხვების რაოდენობა ოცს აღემატება. არც ერთ ორატორს, გარდა ესპანეთის და შვეიცარიის წარმომადგენლებისა, არ გამოსულა პაქტის წინააღმდეგ, რომელსაც „პრინციპიალურად მისაღებად“ სცნობდნენ. საფრანგეთის, რუმინეთის და პოლონეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მიიღონ პაქტის პირველი მუხლი, რომელშიც ლაპარაკია საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მიერ 1927 წ. ორი სისტემის კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის თანაარსებობის შესახებ, მიღებული პრინციპის დადასტურებაზე. ამ ორატორებმა აღნიშნეს, რომ ამგვარი თანაარსებობის შესაძლებლობა დამტკიცებულია სინამდვილეში. არც ერთ ორატორს, გარდა ფინეთის წარმომადგენელი ხოლდსის, არ გაულაშქრებია პაქტის პროექტის დაუყოვნებლივ დეტალურად განხილვის წინააღმდეგ. ხოლდსმა წინადადება შეიტანა პაქტი განსახილველად გადაცემოდა სპეციალურ ორგანოს. მას მხედველობაში ჰქონდა ერთა ლიგის ეკონომიური კომიტეტი.

ხოლდსს არავინ დაუჭირა მხარი.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ელბელმა სოკოლნიკოვის სიტყვის იმ ნაწილის საპასუხოდ, რომელიც შეეხებოდა ფინანსიური აგრესიის ახალ ფორმებს, აღნიშნა, რომ შეუძლებელია კრედიტის ერთნაირი აღრიცხვა ყველას მიმართ და ხაზი გაუსვა, რომ კრედიტების ვადის გაუგრძელებლობა და მოკლევადიანი კრედიტებისათვის გრძელვადიანი კრედიტის ხასიათის მიცემაზე უარის თქმა არ წარმოადგენს აგრესიას.

თავისი სიტყვა ელბელმა დაამთავრა მითითებით, რომ საბჭოთა კავშირი სცდილობს მის წინააღმდეგ კომერციული მოსაზრებით მიღებული ზომები დახატოს პოლიტიკურ აქტებად, რასაც, მისი სიტყვით, სინამდვილეში ადგილი არა აქვს.

ჯამი გაუკეთა რა კამათს, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პაქტის იდეა მისაღებია ყველა დამსწრეთათვის და რჩება მხოლოდ დაცდა საბჭოთა დელეგაციის პასუხისათვის ყველა შეკითხვებზე (ადს).

„შეიარაღების დროებით შეჩერების“ გარშემო

ბერლინი, 3 ნოემბერი. 2 ნოემბერს „შეიარაღების დროებით შეჩერების“ წინადადების მიღებაზე თანხმობა განაცხადა 37 სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა, გერმანიამ, იაპონიამ, შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და პოლონეთმა. (ადს)

საბჭოთა კავშირი

დამთავრდა საავტომობილო ქარხნის მშენებლობა

ამხ. სტალინის და მოლოტოვის მისალმება

მოსკოვი, 3 ნოემბერი. **ნიჟნი-ნოვგოროდი. ავტო-ქარხანა. ამხ. დიბეცს, ცარევსკის, და კუზნეცოვს.**

მხურვალე სალამი მშენებლობის მუშებს და ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალს ქარხნის საამშენებლო სამუშაოების წარმატებით დამთავრების გამო. მოგილოცავთ გამარჯვებას, ამხანაგებო! გისურვებთ შემდგომ წარმატებებს მონტაჟის, მოწყობის და ქარხანა - გიგანტის ამუშავების საქმეში; ეჭვი არ გვეპარება, რომ შესძლებთ ყველა სიძნელეთა დაძლევას და ღირსეულად შეასრულებთ თქვენს მოვალეობას ქვეყნის წინაშე.

ი. სტალინი.
ვ. მოლოტოვი.

„ვატმა“ აამუშავა ახლად აგებული სააპარატურო ქარხანა

ბრძანება საბჭოთა კავშირის სმუს-ის მიმართ

მოსკოვი, 3 ნოემბერი. დღეს მოსკოვში სრულიად საკავშირო ავტო-სავაგონო ტრესტმა „ვატ“-მა აამუშავა ახლად აგებული სააპარატო ქარხანა ავტო-სავაგონო მრეწველობისათვის სამსახურის გასაწევად.

ქარხანა აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მან უნდა დააკმაყოფილოს აპარატურის მთელი საჭიროება გაზის საშუალებით შედუღებისა და მოჭრისათვის ეს ქარხანა აგებულ იქნა „ვატ“-ის მიერ დაწესებულ ვადაზე, თვით მშენებლობა დაკვრითი არ ყოფილა. ადმინისტრაციამ, ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალმა და ქარხნის ყველა მუშებმა განსაკუთრებული ენერგია და ენტუზიაზმი გამოიჩინეს ქარხნის მშენებლობაში, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ ქარხნის დირექტორს ამხ. **დრეიცერს**, მის თანაშემწეს ამხ. **შნეიდერს** და ინჟენერ **ფალკევიჩს**.

ბრძანება

1. საბჭოთა კავშ. სმუს-ის საგარეო განყოფილებამ შესწყვიტოს გაზის აპარატურის შემოზიდვა საზღვარგარეთიდან და გააუქმოს ჯერ კიდევ გაუცემელი შეკვეთები.
2. ვავალებ გამგეობის თავმჯდომარეს ფუტორიანს სამი თვის განმავლობაში ყოველ მეხუთე დღეს პირადად მომახსენოს მე ამ ქარხნის მიერ საწარმოო პროგრამის შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სმუს-ის თავმჯდომარე—**ორჯონიკიძე**.
მოსკოვი, 1931 წ. 4 ნოემბერი.

მზადება ოქტომბრისათვის

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების გარნიზონისადმი

ბრძანება № 32

1931 წ 5 ნოემბერი.
ქ. თბილისი.

§ 1.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წლის თავის აღსანიშნავად ა-წ. 7 ნოემბერს დილის 10 საათზე რუსთაველის პროსპექტზე ვნიშნავ გარნიზონის ჯარების პარადს.

§ 2.

პარადში მონაწილეობა მიიღონ გარნიზონის ყველა ნაწილებმა, დღე-ღამის განრიგის, მორიგე ნაწილების და ახალგაზრდა წითელარმიელების გამოკლებით.

§ 3.

პარადს მიიღებს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭო ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის და საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის მთავრობებთან ერთად.

§ 4.

პარადს სარდლობა გაუწიოს ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზიის უფროსმა ამხ. ბუაჩიძემ.

§ 5.

ტანისამოსის ფორმა — საგუშაგო, მაუდის ტანთსაცმელი, დახვეული მაზარა.

§ 6.

ჯარი დაეწყოს პარადის ადგილზე 9 საათსა და 30 წუთზე საბრძოლო დროშებით და ორკესტრებით, ქალაქის კომენდანტის მითითებით.

§ 7.

ნაწილების უფროსებმა 7 საათისათვის გაგზავნონ პარადის ადგილზე შტაბის უფროსთან თანაშემწეები (ადიუტანტები) ორი ხაზიანი და სამწყობრო ბარათებით.

§ 8.

გარნიზონის სამხედრო - საჰაერო ძალებმა 10 საათსა და 30 წუთიდან აწარმოონ ფრენა ქალაქზე.

§ 9.

წესრიგის დაცვის საერთო მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას ვაკისრებ ქალაქ თბილისის კომენდანტს ამხ. ბელოვს და მუშურ-გლეხური მილიციის უფროსს ამხ. ხმალაძეს.

გარნიზონის უფროსი, კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდლის თანაშემწე
სმოლინი

მაქს ჰელცი თბილისში

ამხ. მაქს ჰელცი, რომელიც სამკურნალოდ წყალტუბოში იმყოფებოდა, დაბრუნდა თბილისში.

ამხ. მაქს ჰელცი დარჩება თბილისში რამდენიმე დღეს და მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის ზეიმში. ამხ. მაქს ჰელცი დაესწრება თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომას, რომელიც შედგება 6 ნოემბერს ოქტომბრის მე-14 წლის თავის აღსანიშნავად (ადს).

გერმანელ მეზღვაურთა დელეგაცია

6 ოქტომბერს დილით ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანელ მეზღვაურების დელეგაცია 20 კაცის შემადგენლობით.

დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ოქტომბრის ზეიმში (ადს).

აკადემიკოსი ნ. მარი, ვოლგინი და ბუში თბილისში

გუშინ, 5-ნოემბერს, ღამის 12—საათზე, ტფილისში ჩამოვიდა საკ. სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **აკად. ნ. მარი**, საკ. სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივანი **აკად. ვოლგინი** და ცნობილი ბოტანიკოსი **აკად. ბუში**.

სტუმრებს სადგურში დახვდნენ ამიერ-კავკასიის საარქეოლოგიო-საისტორიო ინსტიტუტის, საქ. განსახკომის, საქ. სახ. პედინსტიტუტის წარმომადგენლები, პედინსტიტუტის **აკად. ნ. მარის სახელობის** საენათმეცნიერო წრის მთელი შემადგენლობა და სტუდენტები.

აკად. მარი, ვოლგინი და ბუში თბილისში დარჩებიან ათ დღეს. გაეცნობიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებების მუშაობას, საბჭოთა აღმშენებლობას და სხვ. **აკადემიკოსი ნ. მარი** წაიკითხავს სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებს, იაფეტიდოლოგიის უახლოეს მიღწევებზე ამიერ-კავკასიის საარქეოლოგიო-საისტორიო ინსტიტუტში, პედინსტიტუტის თავისივე სახელობის საენათმეცნიერო წრეში.

ერთი მოწინავეთაგანი

(შავი ქვის მრეწველობა ოქტომბრის 14 წლის თავზე)

მისტერ ჰარიმანს, გართულს სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებში დაბანდებულ თავის კაპიტალების გადარჩენის საქმეში (ბანკები კოტრდება, ვალიუტა უფასურდებისაკენ მიექანება!), შესაძლოა არც კი ახსოვს მის მიერ 6 წლის წინად საბჭოთა მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება ჭიათურის შავი ქვის საბადოების ექსპლოატაციის შესახებ. არც ჩვენი მიზანია გავახსენოთ მას ეს ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა კი უნდა იცოდნენ იმ გმირული ბრძოლის ამბავი, რომელიც გადაიტანეს და რომელსაც აწარმოებენ ჭიათურელი მაღაროელები ომის, მენშევიკების და კონცესიონერის „მოღვაწეობის“ შედეგად გაპარტახებულ შავი ქვის მრეწველობის ფეხზე დასაყენებლად, მის გადასაქცევად ინდუსტრიის მძლავრ კერად.

სამი წლის განმავლობაში კონცესიონერს არ შეუსრულებია საკონცესიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პირობა: არც მადნის ამოღების გადიდების, არც მარგანეცის გასარეცხი ახალი ქარხნების გაუმჯობესების, არც წარმოების მექანიზაციის და არც სხვ. შესახებ. საბჭოთა მთავრობა იძულებული შეიქნა გაეუქმებია ხელშეკრულება. წავიდა კონცესიონერი და მის შემდეგ დარჩა მის მიერ ჩამოყვანილ უცხოელთა შტატის „კეთილმოწყობისათვის“ საჭირო ნივთები, რამოდენიმე პატარა კოხტა სახლი,—იმავე უცხოელებისათვის, გაჩერებული ქარხნები, თითქმის შეჩერებული წარმოება.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტს, რომელიც კონცესიის ნანგრევზე მოეწყო, მოუხდა წარმოების თითქმის მთელი საქმის თავიდანვე დაწყება. მაგრამ ჭიათურის მაღაროელთა მასამ პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი ინჟინერ-ტეხნიკოსთა მასასთან ერთად ფეხზე დააყენა დანგრეული მრეწველობა და დაიბრუნა კონცესიონერის მიერ დაკარგული პოზიციები მარგანეცის მსოფლიო ბაზრებზე. მართალია კაპიტალისტურ ქვეყნებში გაჩენილმა ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია მსოფლიო ლითონის მრეწველობის საგრძნობლად შეკვეცა, მარგანეცის გატანა უცხოეთში თვალსაჩინოდ შემცირდა, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში მსოფლიო ლითონის წარმოების შემცირების ციფრებს, მასთან შეფარდებით ჩვენს მარგანეცს უცხოეთის ბაზრებზე კვლავ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

შავი ქვის ტრესტის ადმინისტრაციამ, მემაღაროელთა მთელმა მასამ, პარტიულ და პროფორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ბოლშევიკურად ჩაატარეს მთელი სორგანიზაციო პერიოდი მუშაობის განსახლებლად (კონცესიონერთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ) და უზრუნველჰყვეს პირობები საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლების მიხედვით. ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებენ 1930 წ. და მიმდინარე წლის 9 თვის მასალები.

ავიღოთ თუგინდ წარსული წლის ციფრები:

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებული იქნა 104,8 პროცენტით, ე. ი. ნაცვლად 747.000 ტ. საექსპორტო მარგანეცისა დამზადებული იქნა 782.000 ტონა. ამასთან ერთად აღსანიშნავია პროდუქციის ხარისხის ზრდა, თუ 1928-29 წ. მარგანეცის შემადგენლობა გარეცხილ მადანში უდრიდა 52,48 პროცენტს, ჩვეულებრივში (ე. ი. მადანში, რომელიც გარეცხას არ საჭიროებს) კი—48,58 პროც., 1930 წ. შესაფერი ციფრები უდრიდა 52,51 და 48,60, ე. ი. პროდუქციის ხარისხი 1930 წ. გაუმჯობესდა გარეცხილი მადნისათვის 0,07 პროცენტით, ჩვეულებრივისათვის—0.04 პროცენტით. ეს გარემოება, რასაკვირველია, თვალსაჩინოდ ზრდის ჩვენი მარგანეცის როლს მსოფლიო ბაზარზე, რადგან მადანი მარგანეცის მეტი შემადგენლობით უფრო ძვირი ფასობს.

სურათი დაახლოვებით მაინც არ იქნებოდა სრული, რომ არ შევეხებოდით შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც ასეთ სურათს იძლევა:

	მაღაროს მუშის შრომის ნაყოფიერება	ქარხნის მუშის შრომის ნაყოფიერება
პირვ. კვარტ.	1,33 ტონა	2,68 ტონა
მეორე კვარტ.	1,53 ტონა	3,07 ტონა
მესამე კვარტ.	1,55 ტონა	3,40 ტონა
მეოთხე კვარტ.	1,68 ტონა	3,00 ტონა

გეგმით მაღაროს მუშის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ უნდა ყოფილიყო 1,41 ტონა, ფაქტიურად კი, სოციშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის შედეგად გამოვიდა 1,47 ტონა, ე. ი. გეგმით გათვალისწინებულზე 4,3 პროცენტით მეტი. რამდენადმე ვერ შესრულდა მადნის გასარეცხი ქარხნების მუშის შრომის ნაყოფიერების გეგმა. საშუალო 3.05 ტონას ნაცვლად ქარხნის მუშის შრომის ნაყოფიერება უდრიდა 2,97 ტონას (ე. ი. 97.40 პროც.).

წარსული წლის მიღწევებმა მოამზადეს ნიადაგი ახალი მორიგი გამარჯვებებისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების ფრონტზე 1931 წელს.

	გეგმა (ტონებში)	შესრულება (ტონებში)	პროცენტი
პირვ. კვარტ	128.200	134.215	104,7
მეორე კვარტ.	151.398	145.409	96
მესამე კვარტ.	137.290	152.465	111,1
სულ 3 კვარტ.	416.888	432.090	103,6

ჭიათურელმა მაღაროელებმა გასარეცხი მადნის ამოღების გეგმა სამ კვარტალში გადაჭარბებით შეასრულეს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალში მათ გარღვევა ჰქონდათ.

არადამაკმაყოფილებელია ჩვეულებრივი (საექსპორტო) მადნის ამოღება. აქ გეგმის შესრულება კვარტალების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

	გეგმა (ტონებში)	შესრულება (ტონებში)	პროც.
პირვ. კვარტ.	21.000	18.920	90,1
მეორე კვარტ.	24.600	24.376	99,1
მესამე კვარტ.	19.187	18.830	98,1
სულ	64.687	62.133	95,9

მადნის გარეცხვის გეგმები კი გადაჭარბებით იქნა შესრულებული, მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალში აქაც გარღვევას ჰქონდა ადგილი:

	გეგმა (ტ.)	შესრულება (ტ.)	პროც.
პირვ. კვარტ.	69.000	70.550	102,2
მეორე კვარტ.	81.000	77.150	95,2
მესამე კვარტ.	70.015	82096	117,3
სულ	220.015	229.796	104,4

ზემომოყვანილი მაჩვენებლების მნიშვნელობა უფრო ცხადი იქნება, თუ გავეცნობით შრომის ნაყოფიერების ციფრებს (სამი კვარტალის საშუალო):

შრომის ნაყოფიერება:	გეგმით	ფაქტიურად:	პროც.
მაღაროს მუშის	1.66 ტონა	1,77	106,6
ქარხნის მუშის	3.19 ტონა	3,40	108,5

თუ გავიხსენებთ, რომ 1930 წ. მაღაროს მუშის საშუალო (კვარტალური) შრომის ნაყოფიერება უდრიდა 1,52 ტონას, ქარხნის მუშისა კი—3,04 ტონას, ცხადი შეიქნება ჭიათურის მაღაროელთა მნიშვნელოვანი მიღწევები შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში. ეს მიღწევები კიდევ უფრო დიდი იქნებოდა იმ ნაკლოვანების აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში და რომლებზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჭიათურის მაღაროელები, მუშაობის მძიმე პირობებისა და მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, პირნათლად, გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭ. ქვეყნის წინაშე და მათ უსათუოდ ერთი პირველი ადგილთაგანი დაიმსახურეს ამიერ-კავკასიის მრეწველობის იმ დარგებს შორის, რომლებიც მთლიანად ასრულებენ თავიანთ საწარმოო-საფინანსო გეგმებს.

მაგრამ ჭიათურელი მაღაროელები არ კმაყოფილდებიან მიღწეული შედეგებით. მათ წამოაყენეს შემხვედრი გეგმა 1931 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისა 11 თვეში. — 1931 წ. 1-ლ დეკემბრისათვის, მუშების რიცხვის გაუდიდებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ორ თვეში (ოქტომბერი - ნოემბერი) უნდა ამოიღონ 120.028 ტონა გასარეცხი მადანი, 23.967 საექსპორტო მადანი და გარეცხონ 59.704 ტონა მადანი.

ჭიათურის პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ახდენენ ყველა ძალების, ყველა საწარმოო შესაძლებლობათა გენერალურ მობილიზაციას, რომ უზრუნველჰყონ ჭიათურის მაღაროელთა ამ მასიური შემხვედრი გეგმის წარმატებით შესრულება.

ჭიათურის მუშების წარსული გმირული ბრძოლა, მათი წარსული გამარჯვებები უდაო საწინდარია იმისა, რომ თავიანთ შემხვედრ გეგმას ისინი არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულებენ პარტიულ - პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სპეციალისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული.

⁂

ასეთია ჭიათურელ მაღაროელების გამარჯვებების ამბავი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ყველაფერი რიგზეა, რომ შეიძლება დაკმაყოფილება მიღწეული შედეგებით და გულხელდაკრეფილი ყოფნა. ბევრი გაკეთდა, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. ჭიათურის მთელი პარტორგანიზაციის, პროფორგანიზაციების, მთელი მუშათა საზოგადოებრიობის, ინჟენერ-ტეხნიკური პერსონალისა და ადმინისტრაციის ყურადღება იქითკენ უნდა იქნას მიპყრობილი, რომ უმოკლეს დროში აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან ჭიათურის მრეწველობის სავსებით გაჯანსაღებას, შრომის ნაყოფიერების კიდევ მეტ ზრდას, თვითღირებულების კიდევ უფრო შემცირებას და სხვ.

პირველ რიგში საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის დაწყება ამხ. სტალინის ექვსი მითითების მთლიანად და სისწორით განსახორციელებლად. უნდა ითქვას, რომ ჭიათურა ამ მხრივ ჩამორჩა. გაუპიროვნებას, ხელფასის გათანაბრებას, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილების დავიწყებას ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ყველა ამ ნაკლოვანებების არსებობას აღნიშნავს ჭიათურის პარტრაიკომის ბიურო თავის 22 ოქტომბრის დადგენილებაში, რომელშიაც ამასთანავე ერთად დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნის გამოცდილებამ მთელ რიგ საწარმოებში დაამტკიცა, რომ ამ პირობების შესრულება წარმოადგენს წარმატებების მიღწევის გადამწყვეტ საწინდარს. დონბასმა შესძლო ნახშირის ამოღების საგრძნობლად გადიდება მხოლოდ თავისი მუშაობის ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე გარდაქმნის შედეგად. ამრიგად ამ ექვსი პირობის განხორციელება წარმოადგენს გადამწყვეტი გამარჯვებების საწინდარს. აქედან დასკვნა: ეს ექვსი პირობა დაყვანილი უნდა იქნეს ძირეულ საწარმოო ერთეულამდე, იგი უნდა შეითვისოს და პრაქტიკის ენაზე გადაიყვანოს ჭიათურის მრეწველობის თითეულმა მუშაკმა მთელი წარმოების, ცალკე საწარმოო ერთეულის — სექციის, ქარხნის, მაღაროს, უბნის, ლავის მასშტაბით. ჭიათურაში ყველაფერ ამის გაკეთება ჯერ მხოლოდ იწყება. ეს მუშაობა ბოლშევიკური ტემპებით უნდა იქნას მიყვანილი ბოლომდე. ცხადია, რომ მთლიანად ყოფილიყო ცხოვრებაში გატარებული ამხ. სტალინის ექვსი მითითება, ჭიათურელ მაღაროელებს ექნებოდათ კიდევ უფრო მეტი მიღწევები ყველა მაჩვენებლების მიხედვით.

მთავარი, რასაც პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება და რაც პირველ რიგში უნდა იქნას აღმოფხვრილი — ეს არის გაუპიროვნება და ხელფასის გათანაბრება. მაღალი მაჩვენებლების მიღწევის რა იმპულსზე შეიძლება ლაპარაკი, როცა, მაგ., მაღაროში № 25 არავითარი განსხვავება არ არსებობს კვალიფიციური და არაკვალიფიციური მნგრეველის ხელფასს შორის ან როცა იმავე მაღაროში კვალიფიციური და არაკვალიფიციური დურგლები ერთნაირ ხელფასს ღებულობენ იმ დროს, როცა პირველთ ხელფასი უნდა მიეცეთ მეცხრე თანრიგით, მეორეს კი—მეშვიდეთ; ანდა როცა მადნის მტვირთავი მომუშავენი და შიკრიკები ერთნაირ ხელფასს იღებენ ცხენის მომვლელი, მიწის ზედაპირზე მომუშავე, მეტს იღებს, ვიდრე მგრეველი, ღამის ყარაული მეტს იღებს, ვიდრე იგივე მნგრეველი, თუმცა პირველი და მიწის ქვეშ მუშაობის პირობების შედარებაც არ შეიძლება უკანასკნელის სიძნელის გამო. ხელფასის ამგვარი მოუწესრიგებლობის წყალობით ისპობა იმპულსი მიწისქვეშ მუშაობისა, და მუშების ნაწილი ცდილობს თავი აარიდოს მიწის ქვეშ მუშაობას თუგინდ მიწის ზედაპირზე რამდენიმეთ ნაკლები მიიღოს, ვიდრე მიწის ქვეშ იღებდა. ხელფასის ამგვარი გათანაბრების შემთხვევები, რაც უარყოფითი გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, შეიძლებოდა კიდევ მრავლად მოგვეყვანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ბოროტება, რომელსაც ჯერ კიდევ ფართოდ აქვს გადგმული ფესვები ჭიათურის სინამდვილეში, ეს არის გაუპიროვნება. ჭიათურის ისედაც ვიწრო ტეხნიკურ შესაძლებლობათა პირობებში გაუპიროვნება საშინელ ბოროტებას წარმოადგენს. ავიღოთ თუნდაც ერთი მაგალითი. ჭიათურაში, ტრანსპორტის უქონლობის გამო, გასარეცხი მადანი ნაწილდება ქარხნებში, რომლებიც ახლოა რკინის გზის ლიანდაგთან, დანარჩენი ქარხნები უქმად დგას. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საფრთხე იქმნება მადნის გარეცხვის გეგმის შესრულებისათვის, როცა გაუპიროვნების არსებობის გამო ქარხანა № 17 ტყდება მანქანა და ქარხანა იძულებული ხდება თითქმის ერთი თვით შეაჩეროს მუშაობა. გაზით „ჭიათურის მაღაროელი“-ს ნომერს ვერ ნახავთ რომ არ იყოს მოყვანილი რამდენიმე ფაქტი გაუპიროვნების ნიადაგზე მომხდარი ავარიისა, ცხენების და ვაგონების გადაჩეხვისა კლდეზე და სხვ. გაუპიროვნება ხელს უშლის ბრძოლას დისციპლინის განმტკიცებისათვის, მანქანების მოვლა-პატრონობისათვის.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლას არ აქვს გეგმიანი ხასიათი. სექციები ყოველდეკადურად ვერ იღებენ თვითღირებულების მაჩვენებლებს. მართალია, თვითღირებულების დაკლების გეგმა საერთოდ შესრულებულია, შესრულებულია გადაჭარბებით, მაგრამ თვითღირებულების ცალკე ელემენტები გადიდებულია (ელექტრო-ენერგია. ამორტიზაციის ხარჯები, მადნის გადმოზიდვა ბაჭებზე და სხვ.). ის გარემოება, რომ წარმოების ცალკე დარგებმა ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა, შესაფერად ვერ გაშალეს ბრძოლა თვითღირებულების დაკლებისათვის, გავლენას ახდენს თვითღირებულების საერთო მაჩვენებელზე; რომ ამ მდგომარეობას არ ჰქონოდა ადგილი, თვითღირებულების შემცირების გეგმა კიდევ მეტი გადაჭარბებით იქნებოდა შესრულებული.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე. 50-დან მხოლოდ 12 ბრიგადა არის გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე და ამ ბრიგადების გამოცდილება არ არის ჯერ კიდევ შესწავლილი. თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა მოწინავე მუშების, წარმოების ენტუზიასტების, დამკვრელების და სპეციალისტების დაჯილდოებას. საჭიროა ტრესტის ადმინისტრაციამ ეს ნაკლი სასწრაფოდ გამოასწოროს.

ტრანსპორტი ჭიათურის ერთი ვიწრო ადგილთაგანია. ურმებისა და მუშა-საქონლის სიმცირის გამო, საჭირო ხდება წარმოების კონცენტრაცია რკინის გზის ლიანდაგის ახლო. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელობა ეძლევა მუშა-საქონლის არსებული რაოდენობის კარგად შენახვას და მოვლა-პატრონობას. ამ მხრივ მდგომარეობა კატასტროფიული თუ არა, მეტად ცუდია. კარგა ხნის განმავლობაში ტრესტს სრულიად არ მოეპოვებოდა საქონლის საკვები. მცირეოდენ რაოდენობას შოულობდნენ სოფელ-სოფელ. რამდენიმე ცხენი შიმშილისაგან მოკვდა. ამჟამად მიღებულია თივა, ქერი კი კვლავ არ არის. მუშა-საქონელი მეტად დაუძლურებულია. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება მუშა-საქონლის უზრუნველსაყოფად სავსებით საკმაო რაოდენობით.

პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაშია ბიგების (საყრდენების) საქმე. გეგმით გათვალისწინებულ 110.000 ბიგიდან მიღებულია მხოლოდ 10.000. ორგანიზაციები, რომლებიც ვალდებული არიან ჭიათურის შავი ქვის ტრესტისათვის ბიგების მიწოდებას („ლესტრესტი“, „სევკავლესტრესტი“) მიუხედავად მთელ რიგ მითითებებისა და მოგონებებისა, არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას. დაწყებულია ბიგების ადგილობრივ დამზადება არტელების საშუალებით, მაგრამ, გარდა იმისა, რომ ეს ბიგები ხარისხით არადამაკმაყოფილებელია, მათი რაოდენობა ისე მცირეა, რომ მოთხოვნილების მცირე ნაწილსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

ბიგების უქონლობა, გარდა იმისა, რომ აძლიერებს უბედური შემთხვევების საფრთხეს, ქმნის მაღაროების ჩამონგრევის შესაძლებლობას, და თუ ამ მხრივ მდგომარეობა სასწრაფოდ არ გამოსწორდა ტრესტის მუშაკების სიტყვით აუცილებელი შეიქმნება მუშაობის შეჩერება ზოგიერთ მაღაროში მაინც.

საჭიროა ყველა ზომების მიღება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მუშაობის შეჩერების საქმე. საჭიროა გადაღებული იქნას გადამჭრელი ზომები იმ ორგანიზაციების ბიუროკრატიული, დანაშაულებრივი უყურადღებობისათვის ბოლოს მოსაღებად, ჭიათურის მიმართ რომლებმაც იკისრეს ჭიათურის მრეწველობის უზრუნველყოფა ბიგებით.

შავი ქვის მრეწველობის ტეხნიკური შეიარაღება და მუშაობის მოწესრიგება არის შავი ქვის მრეწველობის „აქილესის ტერფი“, ყველაზე მტკივნეული საკითხი, რომლის წარმატებით უმოკლეს ვადაში გადაჭრაზე დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის გადიდება და მისი თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება და სხვ. მექანიზაციის მხრივ ჭიათურის მრეწველობა ჯერ თითქმის „ხელუხლებელია“. საკმაოა აღინიშნოს, რომ ტრესტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკის, მექანიზაციის ენტუზიასტის ინჟინერ ლევეძის ცნობით ნახშირის მექანიზირებული წესით ამოღება აღწევს რაღაც 6 ნაწ.—7 პროცენტს. დანარჩენი მოდის ხელით ამოღებაზე.

მექანიზაციის გეგმები კი იყო. მერე როგორი გეგმები! 1928-29 წელს მექანიზირებული წესით უნდა ყოფილიყო ამოღებული მადნის 13 პროც., 29-30 წელს—25 პროც., 1931 წელს—60 პროც. განზრახული იყო სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის მოწყობა ჭიათურის შავი ქვის სხვადასხვა რაიონებში მარგანეცის ფენების და მათი განაწილების შესასწავლად... ყველაფერი ეს იყო განზრახული, მაგრამ მექანიზაციისათვის საჭირო მთელი მოწყობილობის ხარჯები მოიხსნა. მხოლოდ ამჟამად, მეოთხე კვარტალში, შესთავაზეს ტრესტს დაბალი თანხა (80.000 მან.) მექანიზაციის საჭიროებისათვის. ეს იმ დროს, როცა მთელი მექანიზაციის მოწყობილობა უკვე განაწილებულია და მისი შოვნა ახალ სამეურნეო წლამდე შეუძლებელია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელი სამეურნეო ორგანიზაციები ასეთ გულგრილობას იჩენდნენ შავი ქვის მრეწველობის მექანიზაციის საკითხებისადმი, ტრესტი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ საკუთარი საშუალებით ნაწილობრივ მაინც მოეგვარებინა საქმე, თუმცა ძლიერ მცირედი შედეგებით: მოხერხდა მხოლოდ რამდენიმე საბურღავ ჩაქუჩის და ერთი გამომკვეთი მანქანის **„Врубовая машина“** შოვნა.

რომ ჭიათურის მრეწველობის მექანიზაციის საკითხში დანაშაულებრივ უყურადღებობას აქვს ადგილი, ამას ამტკიცებს თუგინდ რგანის საჰაერო კანატის გზის მოწყობის ისტორია. ეს გზა, რომელსაც სამსახური უნდა გაეწია ჭიათურის მრეწველობის ერთ-ერთი უმძლავრეს — რგანის რაიონისათვის, მზად უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 1-ლ მაისს, მაგრამ

„…საქართველოს ლითონტრესტის, საქ. სამრეწველოს და „ტრანსტექპრომის“ გზა ჯერაც არ არის მზად და ჩვენ ვეჭვობთ, რომ იგი მზად არ იქნება მომავალ წელსაც და ამ შემთხვევაში ექსპლოატაციის გამოირიცხება მთელი რგანის რაიონი, რომლის ხვედრითი წონა ჩვენს საერთო პროდუქციაში 35 პროცენტს შეადგენს. ჩვენი შიში გამოწვეულია იმით, რომ „ლიტექმშენმა“ უარი სთქვა შესრულებაზე ჩვენი დაკვეთა 200 ურიკას („ტელეჟკა“) დამზადებაზე საჰაერო გზისათვის, ამავე დროს კი გზის პირველი უბანი მზად იქნება 1932 წ. 1-ლ იანვრისათვის, მთელი გზის მონტაჟი კი დამთავრდება ისავე წლის თებერვლისათვის. ურიკების უქონლობა მოგვისპობს საშუალებას დავიწყოთ გზის ექსპლოატაცია 1932 წ. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ჩვენ ვერ შევძლებთ მადნის გატანას რგანიდან, იძულებული შევიქნებით, დავხუროთ ამ რაიონის მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ვერ შევასრულებთ საწარმოო პროგრამას და ჩავშლით ხუთწლედის გეგმებს“...

ამას სწერენ თავის მიმართვაში ჭიათურის მუშები და საქართველოს სამთომადნო მრეწველობის ინჟინერ-ტეხნიკოსები.

რგანის საჰაერო გზა ჭიათურის მრეწველობის მექანიზაციის ერთი ელემენტთაგანია. პირველ რიგის სამუშაოა. საჭიროა ჭიათურის მუშების მიმართვა გაგონილ იქნას და უზრუნველყოფილ იქნას გზის ვადაზე ადრე თუ არა, ვადაზე მაინც (თუმცა გადაცილებულ ვადაზე) ამუშავება. საჭიროა საერთოდ ბოლო მოეღოს „კუსტარობას“ შავი ქვის მრეწველობაში. ჭიათურამ დაიმსახურა მეტი ყურადღება.

სურათი არ იქნებოდა სრული, რომ არ შევეხებოდით მუშათა მომარაგების და კულტ-საყოფაცხოვრებო საკითხებს.

მუშათა მომარაგება საერთოდ გაუმჯობესებულა, მაგრამ დამაკმაყოფილებელი კიდევ არ არის. ეს აიხსნება იმით, რომ კოოპერაციამ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა, ვერ შეჰქმნა მოქნილი, ცოცხალი აპარატი. მარტო ის რად ღირს, რომ ვერ მოუხმარიათ სახელმწიფო მეურნეობის მოსავალი, რომელიც მთელს ჭიათურის მუშებს დააკმაყოფილებდა. კოოპერაციამ კი, წესიერად ვერ დაუყენებია სურსათ-სანოვაგის მიწოდება პუნქტებში, მიწოდებულს დროზე ვერ ანაწილებენ, სანოვაგე ლპება, ფუჭდება. ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ უყურადღებობას მუშათა კვებისადმი. ამ ერთი თვის წინ მაღარო № 11-ში. გაიგზავნა უვარგისი ქონი. და გაფუჭდა 500 კაცის სადილი.

სრულიად არ არსებობს დამკვრელების სპეციალური მომარაგება და სხვ.

სულ სხვანაირად უნდა მოეწყოს საბინაო მშენებლობა. ამჟამად შენდება საერთო საცხოვრებლები, სადაც ცხოვრობენ მხოლოდ უშუალოდ წარმოებაში მომუშავენი. მუშის ოჯახი კი სხვაგან ცხოვრობს სადმე სოფელში. მუშა ბევრს დროს აცდენს წარმოებიდან სოფელში მოგზაურობაზე. ესეც რომ არ იყოს, ცხოვრების ასე ორ ნაწილად გაყოფა ხელს უშლის მუშათა მკვიდრი კონტინგენტის შექმნას. საჭიროა აშენდეს ბინები, სადაც მუშა იცხოვრებს თავის ოჯახთან ერთად და უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება წარმოებას.

მუშათა კულტმომსახურება არ არის დამაკმაყოფილებელი. ჭიათურის მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც ტონის მიმცემი უნდა იყოს ადგილობრივ კულტმუშაობისათვის, ფაქტიურად უსახსროდ არის დარჩენილი. საჭიროა მას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ მუშაობის გასაშლელად.

⁂

ასეთია ამჟამად ჭიათურის მრეწველობის მდგომარეობა. როგორც დაინახეთ, მას მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, აქვს მრავალი ნაკლი. ჭიათურის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მთელმა მუშათა საზოგადოებრიობამ, ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალმა და შავი ქვის ტრესტის ადმინისტრაციამ შეურიგებელი ძალღონით ბოლშევიკურად უნდა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებები. მუშაობის გარდაქმნით ამხ. სტალინის მითითებების საფუძველზე, პირველ რიგში გაუპიროვნებისა და ხელფასის გათანაბრების აღმოფხვრით, მექანიზაციის გატარებით, მუშათა მომარაგების და კულტ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებით შექმნან ხელსაყრელი პირობები 1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

ჭიათურის მაღაროელებმა დაამტკიცეს რომ მათ შეუძლიათ ბოლშევიკურად ბრძოლა გეგმების შესასრულებლად. ისინი შესძლებენ მათ წინაშე მდგომ სიძნელეების გადალახვას და წარმატებით იბრძოლებენ ხუთწლედის უკანასკნელი—მეოთხე წლის გეგმების შესასრულებლად.

ე. წულაძე.

მუშგლეხკორებო! ჩადექით „პრავდას“ მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსის მოწინავეთა რიგებში

კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცებისათვის ბრძოლა—საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა გაზეთების საბრძოლო ამოცანაა

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის

მებრძოლთა მოწინავე რიგებში

პარტიის ცენტრალურმა ორგანო „პრავდა“-მ გამოაცხადა ძირეული, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების და სამანქანო სატრაქტორო სადგურების გაზეთების საკავშირო კონკურსი.

ამჟამად, როდესაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით კოლმეურნეობებში გაერთიანდა საშუალო-ღარიბ გლეხობის ძირითადი მასები, მისი უმრავლესობა, საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობის წარმოების სწორი ორგანიზაცია, მისი სამეურნეო მოძრაობის ორგანიზაციული განმტკიცება, რომელშიაც სოფლის კორესპონდენტებმა და პრესამ უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

სოფლკორი — დამკვრელი, რომელიც პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე სდგას, დღეს კოლმეურნეობის სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში უნდა ჩადგეს.

საკოლმეურნეო შრომის სწორი, გეგმიანი ორგანიზაცია, შრომის აღრიცხვის საქმის გაუმჯობესება, ბრძოლა სანარდო სისტემის დანერგვისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და სასაქონლო ფერმების შესაქმნელად — აი ძირითადი საბრძოლო ამოცანები, რომელთა გადაჭრისათვის უნდა დაირაზმოს მთელი ძირეული, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პრესა.

„სოფლკორი — კოლმეურნეობის სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცებისათვის მოწინავე მებრძოლია“ („პრავდა“) — აი ძირითადი ლოზუნგი, რომლის გარშემო უნდა დაირაზმოს ძირეული პრესის ყველა დამკვრელები, მუშაობაში გაუპიროვნების აღმოსაფხვრელად, ამხ. სტალინის მითითებათა გატარებისათვის, პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის.

„კომუნისტი“ იღებს რა პარტიის ცენტრალური ორგანიზაციის ინიციატივას, ებმება კონკურსში და ყველა ცენტრალურ, რაიონულ, საფაბრიკო - საქარხნო, საკოლმეურნეო და ძირეული პრესის ყურადღებას მიაქცევს იმ უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებისაკენ, რომელთა გადაჭრის გარშემო მტკიცედ უნდა დაირაზმოს მათი ყურადღება, ამოცანებისაკენ, რომელთა წარმატებით გადაჭრა უზრუნველყოფს კოლმეურნეობის სამეურნეო - ორგანიზაციულ განმტკიცებას.

განსაკუთრებული ყურადღება ამიერ - კავკასიის და კერძოდ კი საქართველოს ძირეული პრესამ უნდა მიაქციოს საშემოდგომო ხვნის, ბამბის აკრეფა - ჩაბარების, სოციალისტური მესხოველეობის განვითარების, ტექნიკური კულტურების გაშლის და სხვა საკითხებს, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაშია აღნიშნული.

სოფლკორების ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს კერძოდ საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლა და მათ ყოველი ღონე უნდა იხმარონ რომ მივაღწიოთ ამ შეცდომების ბოლშევიკური გამოსწორების საფუძველზე კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციულ განმტკიცებას, საკოლმეურნეო წარმოების სწორ ორგანიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება კონკურსის დროს უნდა მიექცეს ხარისხისათვის ბრძოლას. კონკურსის მონაწილეთა საბრძოლო ლოზუნგი უნდა იყოს: „რეკონსტრუქტიულ პერიოდის სოფლკორი — მაღალი მოსავლისათვის მებრძოლია“ („პრავდა“). მოსავლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის, 1932 წელში კოლმეურნეობების სამუშაო გეგმების შედგენის მზადების, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გამოყენების და განვითარების გზით—საკავშირო კონკურსში უნდა ჩაებან სოფლკორთა ათასიანი ლეგიონები, რომლებმაც უნდა მიაღწიონ არსებულ ეტაპზე საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრობლემის ბოლშევიკურ გადაჭრას. კონკურსმა უნდა გამოსჭედოს და წამოაყენოს სოფლკორთა მოწინავე დამკვრელების ახალი ასეულები, რომლებსაც ნათლად და გარკვევით ექნებათ წარმოდგენილი საკოლმეურნეო მშენებლობის ახალი და დიდი ამოცანები და ბოლშევიკურად გაშლიან ბრძოლას მათი გადაწყვეტილებისათვის.

კონკურსში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საქარხნო - საფაბრიკო პრესამაც. მან უნდა გააძლიეროს კოლმეურნეობის ძირეულ პრესაზე საშეფო დახმარება, გადასცეს მას თავისი მუშაობის ბოლშევიკური გამოცდილება და ხელი შეუწყოს მასების ბოლშევიკურ იდეურობით აღზრდას, მათ დარაზმვას ოპორტუნიზმთან ბრძოლაში.

ყველა ცენტრალურ, რაიონულ, ადგილობრივ და ძირეულ პრესის დამკვრელ მუშკორებმა, რომელთა წინაშე კონკურსი აყენებს უდიდესი მნიშვნელობის სამეურნეო პოლიტიკური ხასიათის ამოცანებს, პრესის ადგილობრივ ბრიგადებთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აქტივთან ერთად ფართოდ უნდა გაშალონ თავიანთი მუშაობა. გამოცდილების გაზიარების, რეიდების მოწყობის, ბრიგადების გაგზავნის, ჩამორჩენილთა ბუქსირზე აყვანის და სხვა გზით და დაეხმარონ სოფლკორებს და საკოლმეურნეო და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების გაზეთებს — ბოლშევიკურად გადასჭრან კონკურსში წამოყენებული ამოცანები, მიაღწიონ მის გამარჯვებით შესრულებას.

საკავშირო კონკურსი, რომელშიც საბჭ. და კოლექტიური მეურნეობების, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დამკვრელ მუშკორთა ასეული ათასები ჩაებმებიან, უნდა გადაიქცეს პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლის საფუძველზე კოლმეურნეობის სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცების მძლავრ ბერკეტად.

პარტიის გენერალური ხაზისათვის, ორ ფრონტზე, მემარჯვენე გადახრის, როგორც დღევანდელი ეტაპის და „მემარცხენე“ ნახტომების წინააღმდეგ დაუნდობელი და თანმიმდევარი ბრძოლის საფუძველზე საკავშირო კონკურსმა უნდა დარაზმოს ახალი მილიონები კოლმეურნეობის სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცების გარშემო.

რესპუბლ. საკონკურსო კომისია

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ძირეული გაზეთების კონკურსის ჩასატარებლად.

1. საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების იმ კონკურსის მიმდინარეობის საერთო ხელმძღვანელობა, რომელსაც გაზ. „პრავდა“ აწყობს საქართველოში დაეკისროს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

2. კონკურსის ჩასატარებლად გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციასთან მოეწყოს რესპუბლიკანური საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. კიკნაძე (თავმჯდომარე), თ. სიხარულიძე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება), მელიქაძე („მუშა“), ახვლედიანი (?) ახალგაზრდა კომუნისტი“), ატრიანი („პროლეტარ“-ი), კაპანაძე (საქ. ა. ლ. კომკავშირის ც. კ.-ი), ცხოვრებაშვილი (სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირი) და მიწსახკომის, საკოლმეურნეო ცენტრის და ტრაქტორცენტრის თითო წარმომადგენელი.

3. ადგილებზე კონკურსის მიმდინარეობაზე პარტხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით, მიენდოს ც. კ.-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას დაუგზავნოს პარტიის ყველა რაიკომებს ცირკულიარული წერილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი პ. მელაძე.

დღეს 1-ლ საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე რედაქტორის კაბინეტში შესდგება საკონკურსო შტაბის სხდომა.

დასწრება შტაბის წევრების სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ა/წ. 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში მოწვეულია

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების მე-8 მოწვევის

საბჭოს საზეიმო პლენუმი

პარტიულ. ა.ლ.კ.კ-ს პროფესიონალური და წითელ არმიის ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად

ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლ. თავის აღსანიშნავად.

პლენუმზე შედიან სათანადო მანდატებით: ა/კ. და საქართ ც. ა. კ.-ბის, ს. კ. პ. (ბ) ა/კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. ც. კ.-ს, ა/კ და საქ. პროფსაბჭოების პლენუმები, ა/კ. და საქ ა. ლ. კ. კ.-ს ც. კ.-ბის, ქალაქის საბჭოს და რაიონული საბჭოების (მობაგრებული აქტივიც) წევრები.

წითელ არმიის პროფესიონალური და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები განსაკუთრებული მოსაწვევი ბილეთებით.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ძირეული გაზეთების კონკურსი

კონკურსის ჩატარების ამოცანები და წესი

მთელ რიგ სარაიონო და საქალაქო გაზეთების და გლეხკორების ინიციატივით, რომელთაც მიმართეს „პრავდა“-ს წინადადებით—დაიწყო კამპანია გლეხკორებისა და საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობებში ბეჭდვითი სიტყვის დასარაზმავად საკოლმეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანების საბრძოლო შესრულებისათვის,—„პრავდა“ რედაქცია აცხადებს:

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ძირეული გაზეთების (კედლის, მინდვრის, მრავალტირაჟიან გაზეთების) სრულიად საკავშირო კონკურსს საუკეთესო მუშაობაზე კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის

კონკურსის ამოცანები

გლეხკორებმა და ძირეულმა პრესამ უნდა:

ა) დარაზმონ მასები პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ივნისის პლენუმის, საბჭოების მე-6 ყრილობის) იმ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში არსებულ ყველა მიღწევების და გამოცდილების განსამტკიცებლად, რომელნიც შეეხებიან სანარდო სისტემას თითეული კოლმეურნის შრომის სწორი აღრიცხვის ორგანიზაციას შრომა-დღეების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით მოსავლის განაწილებას გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

აწარმოონ გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ, კულაკურ მისწრაფებებთან, რომელთა მიზანია გამომუშავების ნორმების შემცირება, შემხვედრი ნორმების განვითარების შეფერხება, სანარდო სისტემის და შრომის ზუსტი ორგანიზაციის ჩაშლა და სხვ.

აგრეთვე დაუზოგავად ამხილონ ახალი მანევრები კულაკის და კულაკობის აგენტურის ოპორტუნისტებისა, რომელნიც პროპაგანდას ეწევიან წვრილბურჟუაზიულ, „მომემარცხენო“ გათანაბრების სასარგებლოდ და ატარებენ მას შემოსავლის განაწილების, ნატურალური ავანსების გაცემის, დაჯილდოვების საქმეში და სხვ.

ბ) მიაღწიონ ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრას კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციაში, განამტკიცონ სანარდო სისტემა (საბრიგ. და ინდივიდუალური), მოსპონ გათანაბრება შრომაში, ხელი შეუწყონ ძალების სწორად განაწილებას უბნების, ბრიგადების, და სხვათა მიხედვით, დაუზოგავად ამხილონ გაუპიროვნების კულაკური პროპაგანდა, როგორც კოლმეურნეობათა წარმოების დეზორგანიზაციის ცდა, გარდაიქცნენ პარტიის ხელმძღვანელობით სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის, შემხვედრი გეგმების ორგანიზატორებად, ამასთან გაზეთები გახადონ შრომის სოციალისტური ფორმების მებრძოლ ორგანიზატორებად.

გ) დარჩენილ ვადებში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მიიღონ ყველა ზომები ანეულის გეგმის მთლიანად შესრულებისათვის (შეავსონ დანაკლისი, გაადიდონ გამომუშავების ნორმები, გადაჭარბებით შეასრულონ გეგმები, გამოიყენონ ყამირი მიწის ახალი ნაკვეთები).

დ) უმოკლეს ვადაში მიაღწიონ პურის დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, აგრეთვე ტექნიკური კულტურების დამზადების გეგმების უსწრაფეს შესრულებას, ამასთან დარაზმონ კოლმეურნეთა მასები შემხვედრი გეგმების წამოსაყენებლად, წითელი ქარავნების მოსაწყობად, შორეულ პუნქტებიდან პურის გამოსატანად და სხვ. დარაზმონ გლეხკორები დამზადების გეგმების მთლიანად შესასრულებლად ინდივიდუალურ სექტორში, კულაკებისა და კულაკურ აგენტების მიერ პურის გადამალვასთან საბრძოლველად.

გასწიონ გადამჭრელი ბრძოლა წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის გამოხატულებასთან, კულაკურ სამომხმარებლო ტენდენციებთან ცალკე კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ცალკე ხელმძღვანელთა ბურჟუაზიულ ტენდენციებთან პროლეტარულ სახელმწიფოს მიმართ (პირუტყვის საკვების დასაზღვევი და სხვა ფონდების შექმნა პურის დამზადების ხარჯზე, დაკონტრაქტებულ პურის ხარჯზე და სხვ.).

ე) ფართოდ გააშუქონ პარტიის და მთავრობის დირექტივები გარე სამუშაოზე გასვლის შესახებ, ამასთან მაქსიმალურად შეუწყონ ხელი გარე სამუშაოზე გასვლის გეგმების შესრულებას, განუმარტონ მასებს სოციალისტური მრეწველობის მუშა-ხელით მომარაგების ახალი ფორმების მთელი მნიშვნელობა. იბრძოლონ სამუშაო დღის მაქსიმალური შემჭიდროებისათვის კოლმეურნეობებში შრომის რაციონალიზაციისათვის და ამით მიაღწიონ ჭარბი მუშა-ხელის გამოყოფას მრეწველობისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

ვ) მიიღონ აქტიური მონაწილეობა 1932 წლისათვის ახალი სახ.-სამეურნეო გეგმების შედგენაში, ამასთან ეცადონ რათა კოლმეურნეობების მთელმა მასამ გამოიჩინოს მაქსიმალური ინიციატივა ბრძოლაში დიდი მოსავლისათვის. თესლბრუნვისათვის, ბრძოლაში გვალვასთან აგროტექნიკის დაუფლების საფუძველზე.

ზ) ხელი შეუწყონ პარტორგანიზაციებს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა მასებს შორის მარქსისტულ-ლენინური სწავლების გაშლაში, ამასთან ეცადონ, რომ მათ მიერ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლება დაუკავშირდეს მთელ მათ ყოველდღიურ პრაქტიკას საწარმოო გეგმების სავსებით და გადაჭარბებით შესრულების საქმეში, რათა ეს სწავლება დაეხმაროს კოლმეურნეობათა ზრდას და განმტკიცებას.

ამ ამოცანებს გარდა, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და საკოლმეურნეო ფერმების გლეხკორებმა და ძირეულმა პრესამ უნდა:

ა) გააშუქონ ფართო მასებს შორის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის და სახკომსაბჭოს მიმართვა მეცხოველეობის შესახებ.

ბ) უზრუნველყონ გაუპიროვნების და გათანაბრების ლიკვიდაციის და სამეურნეო ანგარიშის შესახებ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება. ნამდვილად მიაღწიონ თითეული კოლმეურნის პასუხისმგებლობას პირუტყვის მოვლის, მისი კვების გაუმჯობესების, პირუტყვის საკვები ბაზის უზრუნველყოფის (დასილოსების გეგმის მთლიანად შესრულება), დასაზამთრებლად პირუტყვის მომზადების საქმეში და სხვ.

გ) მიაღწიონ სასაქონლო პროდუქციის ზრდას, ძროხის, წველადობის გადიდებას და სხვა.

დ) საბჭოთა მეურნეობების მუშკორებმა და ძირეულმა პრესამ უნდა გაშალონ ბრძოლა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განმტკიცებისათვის ამხ. სტალინის ექვსი პირობის განხორციელების საფუძველზე, აგრეთვე ფართოდ გააშუქონ საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები, ამასთან დარაზმონ საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასები კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის დასახმარებლად.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშები და ძირეული პრესა უნდა დაეხმარონ ამ სადგურებს, რათა გააძლიერონ მათი ხელმძღვანელი როლი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში.

ქარხნების, ფაბრიკების, დაწესებულებების მუშკორები და ძირეული პრესა კონკურსში ებმებიან საკოლმეურნეო გაზეთებისათვის საშეფო დახმარების აღმოჩენის ხაზით (მათ უნდა გადასცენ საწარმოთა ორგანიზაციულ-საწარმოო მუშაობის გამოცდილება, პრესის დამკვრელობის და საქარხნო გაზეთების მასიური მუშაობის საუკეთესო ფორმები და მეთოდები). კოოპერაციის პრესა კონკურსში მონაწილეობას ღებულობს მომარაგების საუკეთესოდ ორგანიზაციისათვის, კოოპერაციის (სოფლის მომხმარებელი საზოგადოებანი) და სახვაჭრობის ორგანოებში მასიური მუშგლეხკორული მოძრაობის გაშლისათვის.

კონკურსის ჩატარების წესი

კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ: კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ყველა ძირეულმა გაზეთებმა.

ეს გაზეთები აწყობენ კონკურსს უშუალოდ თავიანთ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

კონკურსის გასაშლელად ძირეული გაზეთები (კედლის და მრავალტირაჟიანი გაზეთები):

ა) პარტუჯრედებსა, სოფლის საბჭოსა, კოლმეურნეობის გამგეობასა და სხვებთან შეთანხმებით, ფართოდ აცნობებენ კოლმეურნეობებს „პრავდა“-ს კონკურსს და მის ამოცანებს (გაზეთებით, პლაკატებით, განცხადებებით, საუბრებით და სხვ.), აგრეთვე იმას, თუ თვითონ ისინი როგორ ჩაატარებენ კონკურსს თვით კოლმეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურში).

ბ) აწყობენ „რეიდებს“ კონკურსით დასახულ ცალკე საკითხებზე, რეიდებში მონაწილეობის მისაღებად აბამენ კოლმეურნეთა მასებს (პრესის ბრიგადებს), რეიდების მონაწილეთა დასკვნებს სვამენ კოლმეურნეთა კრებების, კოლმეურნეობათა გამგეობების, საწარმოო თათბირების და სხვათა განსახილველად, გაზეთებში ათავსებენ რეიდების მასალებს და დასკვნებს; მათში აღნიშნავენ მოწინავე დამკვრელ-კოლმეურნეებს, ასწერენ საუკეთესო საწარმოო გამოცდილებას აწყობენ ბუქსირებს ჩამორჩენილ უბნებისათვის, ატარებენ კონკურსებს ცალკე ბრიგადებს შორის, ანვითარებენ ორგანიზაციულ-მასიურ მუშაობის სხვადასხვა დანარჩენ ფორმებს (დათვალიერება გამოძახება, წინადადებათა შეგროვება; სარაციონალიზაციო ანგარიში; ლაშქრობა და სხვ.).

მთელ ამ მუშაობაში იზიდავენ კოლმეურნეობებს, ამასთან უმართავენ მათ გლეხკორების; როგორც პარტიის აქტიური თანაშემწეების, როლს; ეხმარებიან მათ სწერონ გაზეთში; მიუთითებენ შეცდომებზე და სხვ.

გ) ცდილობენ, რომ კედლის გაზეთები ხშირად გამოდიოდეს, ჰქმნიან მათ ბრიგადებისა და უბნების მიხედვით, რედკოლეგიების მუშაობაში აბამენ დამკვრელებს, აგროტექნიკურ მუშაკებს, ბრიგადებს და სხვ.

ცენტრალური გაზეთები („კრესტიანსკაია გაზეტა“, „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“, „სელსკო-ხოზიაისტვენნი რაბოჩი“, „სნაბჟენიე“, „კოოპერაც.“, „ტორგოვლია“); ხელმძღვანელობენ კონკურსს რაიონების და კოლონების მიხედვით.

მათი ამოცანებია:

ა) კონკურსის მიმდინარეობის მიხედვით დასახონ კონკრეტული მაჩვენებლები, რომლებისათვის საჭიროა ამა თუ იმ მომენტში იბრძოლოს ძირეული პრესის სათანადო კოლონამ;

ბ) გაგზავნონ ბრიგადები რაიონული და ძირეული პრესისათვის დახმარების გასაწევად კონკურსის ჩატარებაში.

გ) პრესის მიმოხილვებში გააშუქონ და გააკრიტიკონ კონკურსის მიმდინარეობა;

დ) პერიოდულად აღნუსხონ კონკურსის შედეგები, ამასთან აღნიშნონ კონკურსში წინ მიმავალი და ჩამორჩენილი.

რესპუბლიკანური სამხარეო და საოლქო გაზეთები კონკურსებს აწყობენ თავიანთ რესპუბლიკების, ოლქების და რაიონების ფარგლებში, ამასთან თავიანთ შორის ანაწილებენ მუშაობას სათანადო ოლქებისა და რაიონების მიხედვით.

მათი ამოცანებია:

ა) თვალყური ადევნონ კონკურსის მიმდინარეობას რაიონებში რაიონული და ძირეული გაზეთების მიმოხილვებით, ადგილებზე ბრიგადების გაგზავნით, ცალკე დარგების და რაიონების მიხედვით თათბირების მოწვევით და სხვ.

ბ) ინსტრუქტაჟი გაუწიონ ძირეული გაზეთებს, სისტემატიურად გააშუქონ კონკურსის მიმდინარეობის დროს წარმოშობილი საკითხები, ამასთან გვიჩვენონ მუშაობის ნიმუშები და მოაწყონ შეჯიბრება ერთმანეთს შორის. გ) მოიწვიონ მუშგლეხკორთა რაიონული და ჯგუფური შეკრება.

„პრავდა“-სთან ეწყობა ცენტრალური საკონკურსო კომისია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების, „პრავდა“-ს, ცენტრალური გაზეთების, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს, მიწსახკომის, საკოლმეურნეო ცენტრის, მარცვლეულის ტრესტის, ტრაქტორცენტრის და სხვათა წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისია უხელმძღვანელებს კონკურსის მიმდინარეობას.

ასეთივე საკონკურსო კომისიები უნდა მოეწყოს რესპუბლიკანურ საოლქო (სამხარეო) და რაიონულ გაზეთებთან, უშუალოდ კი კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში კონკურსს ატარებენ ძირეული გაზეთების რედკოლეგიები ადგილობრივი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საკოლმეურნეო და სოფლის საბჭოების მონაწილეობით.

კონკურსის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში საკონკურსო კომისიები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

აღნიშნავენ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის ძირეული გაზეთების ბრძოლის მოწინავე გამოცდილებას გაზეთების ფურცლებზე, სპეციალურ ბიულეტენებში, კონკურსის დაფებზე ოპერატიულ ცნობებში და სხვ.:

აწყობენ მოწინავე გამოცდილების გადაცემას სპეციალურ შეკრებათა, თათბირების, დელეგაციათა გაცვლა-გამოცვლის და სხვა გზით;

აღნუსხავენ კონკურსის მოწინავეებს—გლეხკორ დამკვრელებს, მათ საწარმოო მიღწევებს, აყენებენ მათ წასახალისებლად საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოვებას საერთო ფონდიდან.

პირობების პირველობაზე (საკავშირო, საოლქო, რაიონულ პირველობაზე) წამოსაყენებლად.

საუკეთესო ძირეულ გაზეთებად შეიძლება ჩაითვალონ ისეთები, რომელნიც:

ა) ნამდვილად დაეხმარენ პარტორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს და სოფლის საბჭოებს კოლმეურნეობების ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცებაში. ამასთან მხედველობაში მიიღება რა კამპანიები ჩაატარა გაზეთმა, რა საკითხები წამოაყენა; რა შედეგებია მიღწეული.

ბ) ყველაზე უფრო ხშირად გამოდიოდნენ, რომელთაც გლეხკორთა რიგებში მიიზიდეს კოლმეურნეთა ყველაზე მეტი რაოდენობა, პრესის ბრიგადებში და „რეიდებში“ ჩააბარეს კოლმეურნეთ მაქსიმალური რაოდენობა.

გ) რომელთაც გაშალეს მასიური მუშაობის ახალი ფორმები (პრესის ბრიგადები, ბუქსირები, სარაციონალიზაციო ანგარიშები, ლაშქრობა ტექნიკისათვის და სხვ.), მიაღწიეს კოლმეურნეთა შენიშვნების მაქსიმალურ შედეგიანობას, კოლმეურნეთა მასებში გაავრცელეს არსებით ორგანოები.

საუკეთესო დაჯილდოვების წესი

ცენტრალური საკონკურსო კომისია გამოყოფს 20 მრავალტირაჟიან საკოლმეურნეო გაზეთს 20 მრავალტირაჟიან და 15 კედლის საბჭოთა მეურნეობის გაზეთს, 1 სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გაზეთს, 60 საკოლმეურნეო და საბრიგადო კედლის გაზეთს, 15 ძირეულ კოოპერატიულ გაზეთს და 15 საფაბრიკო-საქარხნოს (გამოცდილების საუკეთესო გადაცემისათვის) საკავშირო პირველობისათვის მათი პირველი, მეორე და მესამე თანრიგის პრემიებით დაჯილდოვებით.

პირველი პრემია:

ა) წითელი დროშები: „პრავდა“-ს სახელობის და კოლონების მიხედვით: შემდეგი გაზეთების სახელობის: „კრესტიანსკაია გაზეტა“, „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“, „სელსკოხოზიაისტვენნი რაბოჩი“, „სნაბჟენიე, კოოპერაცია, ტორგოვლია“, „გუდოკ“-ი, „რაბოჩაია გაზეტა“, „კომსომოლსკაია პრავდა“, რესპუბლიკანური და სამხარეო გაზეთები.

ბ) მოძრავი სტამბის მოწყობა, აპარატები—გამამრავლებელნი და რადიო-გაზეთის მოწყობილობა

გ) ბიბლიოთეკის მოწყობილობა რედკოლეგიისა და მუშგლეხკორებისათვის (ლენინის და სტალინის თხზულებანი, მუშგლეხკორული ჟურნალები და წიგნები, გაზეთმცოდნეობის ლიტერატურა, პროლეტარული ლიტერატურის ახალი გამოცემები და სხვ.).

დ) დასაჯილდოვებლად წარდგენა უმაღლესი საბჭოთა ორგანოების ხაზით.

ე) გამგზავრება საბჭოთა კავშირის უმსხვილეს მშენებლობებზე.

მეორე პრემია—ა, ბ, და გ პუნქტებში აღნიშნული.

მესამე პრემია—გ პუნქტში აღნიშნული.

გამოიყოფა 15 სანიმუშო რაიონული გაზეთი მათი დაჯილდოვებით ზევით აღნიშნული წესით. დაჯილდოვებულ გაზეთები გამოცდილება განზოგადოებულ იქნება საკოლმეურნეო-საბჭოთა მეურნეობების პრესის „წითელ წიგნში“.

კონკურსი გაგრძელდება 1-ლ ნოემბრიდან 1932 წლის 1-ლ თებერვლამდე.

კონკურსის დამთავრების შემდეგ „პრავდა“-სთან მოწვეულ იქნება საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების გაზეთების რედაქტორთა მთელი რიგი თათბირები კონკურსის გამოცდილების განზოგადოებისათვის და მის გამოსაყენებლად 1932 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიაში.

ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის ბრძოლა ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე

უზრუნველვყოთ თვითშემმოწმებელ ბრიგადებში სპეციალისტების აქტიური მონაწილეობა

ამხ. სტალინის მითითებათა მასიური თვითშემოწმების წინასწარი შედეგების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სამდივნოს 1931 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება

1. აღინიშნოს, რომ ამხ. სტალინის ექვსი მითითების მასიური თვითშემოწმების კამპანიამ მძლავრი გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მუშათა ფართო მასებს შორის. ამ თვითშემოწმებას თან სდევს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ახალი ზრდა, სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მოწყობა, ცვლის—შემხვედრი გეგმის შემოღება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის რაოდენობის გადიდება, ხარისხის გაუმჯობესება და პარტიაში წარმოების მოწინავე დამკვრელების ახალი ლტოლვა.

2. ამასთან ერთად ც. კ-ის სამდივნო აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა ცალკე რაიონებმა (ტყიბული, სტალინისი და სხვ.) გააჭიანურეს საორგანიზაციო-მოსამზადებელი პერიოდი, რომ ეს რაიონები ჩამორჩნენ თვითშემოწმების გატარებაში და გვიან გადავიდნენ ამხ. სტალინის დირექტივების უშუალო რეალიზაციაზე.

3. ცალკე საწარმოები და, განსაკუთრებით, დაწესებულებები და ორგანიზაციები ფორმალურ და შაბლონურ მიდგომას იჩენენ თვითშემოწმებისადმი (ავტოშემკეთებელი სახელოსნოები) ან კიდევ აქცევენ ამ თვითშემოწმებას „მორიგ კამპანიად“; ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები და ადმინისტრატორები კი იჩენენ ამხ. სტალინის მითითებათა გადამწყვეტი მნიშვნელობის სრულ ოპორტუნისტულ შეუფასებლობას (სარემონტო ქარხნის საქვაბო საამქრო და შემკრები საამქრო).

4. მრავალ ხელმძღვანელ სამეურნეო და პროფესიონალურ ორგანიზაციას (სმუს-ი, 26 კომუნარის სახ. ქარხანა, ზოგიერთი კავშირი) არ უზრუნველუყვია საკმაო ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა თვითშემოწმებისათვის, რის შედეგადაც ადგილებზე არ ტარდება ის ღონისძიებანი, რომლებიც შეადგენენ კამპანიის კონკრეტულ შინაარსს (ბრძოლა სამეურნეო ანგარიშისათვის, ეკონომიის რეჟიმი და შინა-სამრეწველო დაგროვება, ლიკვიდაცია გაუპიროვნების, „მომემარცხენო“ გათანაბრებისა და ა. შ.).

5. ცენტრალური და ადგილობრივი პრესის არასაკმაო (განსაკუთრებით უკანასკნელ დროს) მონაწილეობა მუშათა მასების მობილიზაციის წარმატების უზრუნველყოფაში ამხ. სტალინის მითითებათა შესასრულებლად. განსაკუთრებით გაზეთები არ ამახვილებენ ბრიგადების, საამქროების, სახელოსნოებისა და სხვათა ყურადღებას თვითშემოწმების კონკრეტული ამოცანების გარშემო.

6 მასიური თვითშემოწმების გატარების პროცესში ძალიან მცირე ყურადღება ექცევა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა ბრძოლა მუშა-ხელის ცვალებადობასთან და მუშა-ხელის მოწესრიგებული შეგროვება. მსხვილ საწარმოებისა და ახალშენებათათვის ხელშეკრულებათა დადების საფუძველზე კოლმეურნეობებთან, მუშების საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა. ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის ტემპები მეტად სუსტია. ადგილი აქვს სანარდო სისტემის არასწორ გაგებას, სამეურნეო ანგარიშის შემოღება-დანერგვაში ჩამორჩენ რკინის გზა და დანარჩენი საწარმოები; ცუდად ტარდება სარაციონალიზატორო ხასიათის ღონისძიებანი.

ზემოაღნიშნულის გამო ც. კ-ის სამდივნო ადგენს:

1) ყველა საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და პარტუჯრედებმა დაუყოვნებლივ შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ ამხ. სტალინის დირექტივები ნამდვილად იქცნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური, კომკავშირული და დანარჩენი ორგანიზაციების მთელი მუშაობის ღერძად. გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მიმდინარე თვითშემოწმების მნიშვნელობის ოპორტუნისტული შეუფასებლობის ყოველგვარ გამოხატულებას და შაბლონური მიდგომის გამოჩენას მისდამი.

2) წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, ცენტრალურ და რაიონულ დაწესებულებებსა და საწარმოებს, რომელთაც სუსტად გაშალეს მასიური თვითშემოწმების კამპანია ან, რომლებიც სრულიად არ იღებენ მონაწილეობას ამ კამპანიაში,—დაუყოვნებლივ მოახდინონ გადაჭრითი გარდატეხა ამ საქმეში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ზემდგომი პარტიული ორგანოების დირექტივების არა დროზე და არამთლიანად შესრულება ამხ. სტალინის ექვსი მითითების მასიური თვითშემოწმების ორგანიზაციის საქმეში ჩაითვლება, როგორც ჩაშლა უმნიშვნელოვანესი პარტიული დირექტივისა, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით.

3) ც. კ-ი განმარტავს, რომ ექვსი მითითების რეალიზაციის ვადა არ გადის ლაშქრობის დამთავრებისთანავე, რომ იმ სამეურნეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარებამ, რომლებიც დასახულია ამხ. სტალინის მიერ და რომელთაც ატარებს პარტია, უნდა უზრუნველყოს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის მეოთხე კვარტალის ყველა ამოცანის შესრულება, რომ მან უნდა უზრუნველჰყოს მთელ რიგ საწარმოებში (ანდეზიტი, ტყიბულის მაღაროები, საქნავთი, ნავთის გადამმუშავებელი ქარხნები და სხვ.), არსებულ ჩამორჩენათა დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის საფუძველზე, სამრეწველო-საფინანსო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ხარისხობრივ და რიცხვობრივ მაჩვენებელთა მიხედვით, უზრუნველჰყოს მუშებისათვის კულტურული და საყოფაცხოვრებო სამსახურის გაწევის ხარისხის ამაღლება, შრომის ხელფასისა და შრომის წესიერი ორგანიზაცია, წვრილბურჟუაზიული გათანაბრების ლიკვიდაციის მიხედვით, გადამჭრელი ბრძოლის წარმოება, ტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლება და სამეურნეო ანგარიშის სავსებით და საყოველთაოდ დანერგვა.

4) წინადადება მიეცეს ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაუყოვნებლივ გარდაქმნან და გააძლიერონ მუშაობა მასიური თვითშემოწმების მიმდინარეობის შესამოწმებლად და ამისათვის ძირითად ამოცანებად დასახონ: სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა, გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, ჩვენება, ამ გაცვლა-გაზიარების საფუძველზე, საწარმოთა კარგი მუშაობის მაგალითების, როგორც ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების შედეგის, ჩამორჩენათა მიზეზების გადაჭრით გამოაშკარავება, დაუნდობელი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მასების მობილიზაცია სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის საბრძოლველად, ბრიგადების მუშაობის შესამოწმებლად.

5) ც. კ-ი არასაკმაოდ სთვლის თვითშემოწმების კამპანიისათვის კულტურული სამსახურის გაწევას და წინადადებას აძლევს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს—უზრუნველჰყოს ამ მუშაობის გაძლიერება ყოველგან, მასიურ კულტურულ ღონისძიებათა (ესტაფეტა, სპეციალური საღამოები მუშათა კლუბებში, სასადილოდ მუშაობის შეწყვეტის გამოყენება) გატარების საშუალებით.

6) საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ სმუს-თან ერთად:

ა) დააწესოს პრემიები (გარდამავალი დროშა, მოძრავი ბიბლიოთეკები) საწარმოების მიერ თვითშემოწმების ჩასატარებლად წარმოებული მუშაობის საუკეთესოდ დაყენების უზრუნველყოფისათვის—სოცშეჯიბრების მეთოდების ფართოდ გაშლის საფუძველზე.

ბ) მიიღოს ზომები თვითშემამოწმებელი ბრიგადების ინსტრუქტაჟის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც საწარმოებში ინჟინერ-ტექნიკოსებისა და პროფკავშირული ძალების საშუალებით მოეწყოს თვითშემამოწმებელი ბრიგადების კონსულტაციები და თათბირები მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

გ) გახსნას უახლოეს ვადაში ექვსთვიანი კურსები მნორმავებისა და აღმრიცხველების კადრების მოსამზადებლად.

7) წინადადება მიეცეს საქართველოს სმუ-ს—გამოჰყოს არა ნაკლებ 25 პასუხისმგებელ მომუშავისა მსხვილ საწარმოო ერთეულებზე და ცალკე სამრეწველო რაიონებზე მისამაგრებლად ადგილებისათვის დახმარების გასაწევად თვითშემოწმების წარმატებით დამთავრებაში.

ჯილდო ამხ. სტალინის 6 მითითების საუკეთესოდ შესრულებისათვის

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშის დაარსების შესახებ იმ საწარმოს დასაჯილდოებლად, რომელმაც საუკეთესოდ შეასრულა ექვსი დირექტივა ამხ. სტალინისა და საქართველოს ს. ს. რ. შრომის წითელი დროშის ორდენით იმ დამკვრელ მუშათა და საინჟინერო - სატექნიკო დარგში მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით თავი იჩინეს შრომის ფრონტზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1.

1. იმ საწარმოთა დასაჯილდოებლად, რომელთაც სავსებით შეასრულეს (რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების მიხედვით) ექვსი დირექტივა ამხ. სტალინისა, დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი წითელი დროშა.

2. გარდამავალ წითელ დროშას მიანიჭებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვითეული კვარტალის გასვლის შემდეგ იმ საწარმოს, რომელმაც უკეთ მოახერხა:

ა) თავის თავის უზრუნველყოფა მუშა ძალით კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებით, და საჭირო კულტურულ - საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების შექმნით ახლად მიღებული მუშებისათვის:

ბ) უპიროვნებობის სრული ლიკვიდაცია — მუშების ცალკეულ დაზგებზე და მექანიზმებზე მიმაგრებით, მუშა-ძალის წესიერი განრიგებით და სხვა ამისთ;

გ) სამუშაო ხელფასის სისტემის გარდაქმნა -სარეკონსტრუქციო პერიოდის პირობების შესაბამისად:

ე) მუშათა მატერიალური, კულტურულ - საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების გაუმჯობესება;

ვ) ახალი საწარმოო-სატექნიკო კადრების შექმნა მუშათა კლასიდან და დაწინაურებული საწარმოს მუშათა წრიდან; სპეციალისტებისათვის მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა და მათი მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესება.

3. გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოებული საწარმო მიიღებს ფულად პრემიას 5.000 მან. რაოდენობით.

2.

ის დამკვრელი მუშები და საინჟინერო - სატექნიკო დარგში მომუშავეები, რომელთაც განსაკუთრებით იჩინეს თავი შრომის ფრონტზე, დაჯილდოვდებიან შრომის წითელი დროშის ორდენით.

ასეთ პირებად იგულისხმებიან ის დამკვრელი მუშები და საინჟინერო- სატექნიკო დარგში მომუშავეები, რომელნიც თავიანთი თავდადებული მუშაობით და სოციალისტური წარმოებისადმი უაღრესად შეგნებული მოპყრობით იძლევიან ბოლშევიკური ტემპების საუკეთესო ნიმუშებს და სამაგალითო ორგანიზატორები არიან მასებისა მორიგ სამეურნეო- პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

აღნიშნული პირნი დასახელებულ უნდა იქნენ საწარმოთა მუშების ფართო კრებებზე და საწარმოო თათბირებზე და, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დასკვნითურთ, წარედგინონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს შრომის წითელი ორდენით დასაჯილდოებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია

1931 წ. ნოემბრის 4. ტფილისი.

გაძლიერდეს ბამბის აკრეფა-ჩაბარების ტემპები

ბამბა

„მიეთითოს საქ. კ.პ. (ბ) სიღნაღის, გარე-კახეთის, ვანის და მარტვილის რაიკომებს, რომელთაც არ შეუსრულებიათ ოქტომბრის გეგმა, გააძლიერონ ოპერატიული ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება ბამბის აღების და დამზადების ჩამორჩენილ უბნების მიმართ სისტემატიური კონტროლის, შრომის სწორი ორგანიზაციის და პროგრესიულ სანარდო სისტემის გატარების გზით“.

(საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სამდივნოს 3 ნოემბრის დადგენილებიდან)

ბამბის აკრეფის გეგმას არ იცნობენ

(გიუარ-არხის საბჭოთა მეურნეობა)

გიუარ-არხის საბჭოთა მეურნეობას წელს ბამბა დათესილი აქვს 205 ჰექტარზე. ბამბის მოსავალი აქ საშუალოზე გაცილებით დაბალია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ნათესები კარგათ ვერ იქნა დამუშავებული მუშახელის სიმცირის გამო.

პირველი აკრეფა მეურნეობამ ოქტომბრის შუა რიცხვებში დაამთავრა და მაშინათვე შეუდგა მეორეთ აკრეფას.

1 ნოემბრისთვის მეორეთ ასაკრეფი იყო კიდევ 50 ჰექტარი, ამავე რიცხვისათვის გიუარ არხის საბჭოთა მეურნეობას აკრეფილი ქონდა სულ 680 ცენტნერი ბამბა, ანუ გეგმის 34,5 პროც., ხოლო შემსყიდველ პუნქტისთვის ჩაბარებული ქონდა 610 ცენტნერი—გეგმის 31 პროც.

ბამბის აკრეფაზე მეურნეობაში უმთავრესად მუშაობს ადგილობრივი მოსახლეობა. ბამბის მკრეფავთა შემადგენლობა მეურნეობაში ცვალებადია, მუშების თვითეული პარტია სამუშაოზე რჩება 3—5 დღეს, შემდეგ მოდის ახალი პარტია და ასე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბამბის აკრეფა მეურნეობაში მთლიანად თვითდინებაზეა დაყრდნობილი. აკრეფის გეგმას არ იცნობენ არამც თუ მკრეფავი მუშები, არამედ ბამბაზე მომუშავე სპეციალისტი—აგროტექნიკოსიც კი.

ამასთან ერთად მეტად დაბალია, შრომის დისციპლინა და შრომის ნაყოფიერება; ხშირია ისეთი მუშა,—რომელიც დღეში 1,5-2 კილოგრამ ბამბას კრეფს.

ეს გარემოება მხოლოდ იმითი უნდა აიხსნას, რომ მუშებს შორის არავითარი ახსნა განმარტებითი მუშაობა და წამახალისებელი ზომების მიღება არ სწარმოებს, რაც პარტიულ და განსაკუთრებით პროფესიონალური ორგანიზაციების სუსტი მუშაობის შედეგია.

კ—ძე.

წინწასულები ჩამორჩენილებს ეხმარებიან

რაიონის კოლმეურნეობების ნაწილმა ბამბის პირველი მოკრეფა უკვე დაამთავრა, ნაწილს კი ჯერ კიდევ ასაკრეფი აქვს. ამიტომ ბამბის აკრეფაში წინწასულმა კოლმეურნეობებმა გადასწყვიტეს დაეხმარონ ჩამორჩენილებს მუშა-ხელის გადაგზავნის გზით.

სოფ. ოფრეთის კოლმეურნეობა უგზავნის სოფ. ულაშლოს კოლმეურნეობას 25 კაცს; სადახლოს კოლმეურნეობა სოფ. ბეითარაფჩის კოლმეურნეობას 20 კაცს; ხაჯორნის კოლმეურნეობა კარსუმლოს—მუშას, სოფ. დამიას კოლმეურნეობა კორჩლო - მუღანლოს კოლმეურნეობას 10 კაცს და სხვ.

ამრიგად ზემოხსენებული წინწასული კოლმეურნეობები ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს აწვდიან 174 მუშა-ხელს, ორი კვირის ვადით, რაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

კ. ტ.

შესყიდულია 5171 ტონა ბამბა

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის ცნობით, 5 ნოემბრისათვის ა.-კ.-ში შესყიდულია სულ 91.097 ტონა ნედლი ბამბა, შესყიდულია გეგმის 47,3 პროც., აქედან აზერბეიჯანში შესყიდულია 78.874 ტონა, რაც გეგმის 50,2 პროც. შეადგენს, სომხეთში შესყიდულია 6.552 ტონა, გეგმის 25,4 პროც., ხოლო საქართველოში — 5.677 ტონა—გეგმის 60.3 პროც.

რაიონების მიხედვით ბამბის შესყიდვა ასეთ სურათს გვაძლევს:

ბორჩალოს რაიონში შესყიდულია—3.268 ტონა—გეგმის 47 პროცენტი, ლიუქსემბურგის 93,4 ტონა, ყარაის—1448 ტონა, გეგმის 65,8 პროც., სიღნაღის—401 ტ., გეგმის 49 პროც., გარე-კახეთის—39 ტონა, გეგმის 47,6 პროც., გურჯაანის—420 ტ., გეგმის 126 პროც.

ამრიგად ბამბის შესყიდვა მებამბეობის ძირითად რაიონებში ისევე ნელი ტემპებით მიმდინარეობს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ შემსყიდველ პუნქტებს თავისი მუშაობა კიდევ არ გარდაუქმნიათ და ბამბის მიღებას მხოლოდ განსაზღვრულ საათებში აწარმოებენ.

ბამბის აკრეფა 5 ნოემბრისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

5 ნოემბრისათვის აკრეფილი იყო სულ 72.672 ცენტნერი ბამბა, შესრულებული იყო გეგმის 53 პროც., აქედან კოლმეურნეობებს აკრეფილი ჰქონდათ 32.920 ცენტნერი (გეგმის—61,8 პროც.). ღარიბ და საშუალო გლეხებს 25.880 ცენტნერი (გეგმის 68 პროც.), კულაკებს 3.293 ცენტნერ (გეგმის 73,8 პროც.) და საბჭოთა მეურნეობებს 10.571 ცენტნერი, გეგმის—25,7 პრ.

რაიონების მიხედვით აკრეფილია:

ბორჩალოს	რაიონში	37.696	ცენტნერი	გეგმის 61,6	პროც.
ყარიას	„ „	15.350	„ „	68,2	„
სიღნაღის	„ „	12.214	„ „	27,9	„
გარე-კახ.	„ „	375	„ „	45,7	„
ლიუქსემ.	„ „	1.318	„ „	78,9	„
გურჯაანის	„ „	4.070	„ „	121,5	„
ქუთაისის	„ „	550	„ „	76,4	„
სამტრედიის	„ „	56	„ „	10,9	„
მარტვილის	„ „	171	„ „	26,7	„
ვანის	„ „	877	„ „	45,4	„

ამრიგად ბამბის აკრეფა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ლიუქსემბურგის ქუთაისის, ყარაიას რაიონებში. აკრეფაში პირველი ალაგი უჭირავს გურჯაანის რაიონს, ბორჩალოს რაიონში მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება, თუმცა ბამბის აკრეფის ტემპი აქ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან სამტრედიის (10,9 პროც.), მარტვილის (26,7 პროც.) და სიღნაღის (27,9 პროც.) რაიონები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ სიღნაღის რაიონში სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენენ კულაკურ მეურნეობების მიმართ, რომლებსაც 5 ნოემბრისათვის შესრულებული ჰქონდათ ბამბის აკრეფის გეგმის მხოლოდ 42,3 პროც. ეს მდგომარეობა სიღნაღის რაიონმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს; ყოველ მიზეზს გარეშე უნდა აიძულონ კულაკები, რომ მტკიცე დავალება მათ უახლოეს დღეებში შეასრულონ.

ბამბის აკრეფა დიდათ არის ჩამორჩენილი აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში (ყარაიას საბჭოთა მეურნეობების გარდა); ბორჩალოს რაიონის საბჭოთა მეურნეობებს 5 ნოემბრისათვის შესრულებული ჰქონდათ გეგმის 30,1 პროც., ხოლო ალაზნის საბჭოთა მეურნეობას—22,2 პროც.

550 სტუდენტი-ალაზნის ველზე

(საფ. ეკონ. ფაკულტეტი)

პირველ ნოემბერს შესდგა საფინანსო და საგეგმო ინსტიტუტების სტუდენტების გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ინფორმაცია ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში გარღვევების და ბამბის კრეფაში მონაწილეობას მიღების შესახებ კრებამ გამოიტანა დადგენილება ბამბის ფრონტზე გამგზავრების შესახებ. 2 ნოემბერს საღამოთი 550 სტუდენტი უკვე გაემგზავრა ალაზნის ველზე ბამბის საკრეფის საქმეში დასახმარებლად. სტუდენტები ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში დარჩებიან 15 დღეს.

ბ. უჩანეიშვილი

მოხალისე ექიმთა ბრიგადა გაემგზავრა ბამბის რაიონში სამუშაოდ

მედსანშრომის მუშაკთა კავშირში გამოცხადდა ექიმთა ბრიგადა ექ. სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც განუცხადა კავშირის ცენტრალური გამგეობას, რომ ორიკვირით მიემგზავრებიან ალსტაფის მებამბეობის რაიონში სამუშაოთ.

გუშინ ბრიგადა გაემგზავრა დანიშნულებისამებრ. გარდა აღნიშნული ბრიგადისა, საქ. მედსანშრომის მუშაკთა კავშირი ბამბის რაიონებში სამუშაოთ ამისთვის კიდევ 15 ექიმს. საექიმო ბრიგადებს თან მიაქვთ მედიკამენტები და ქინაქინა.

კულტურული მშენებლობა

გარდავქმნათ სკოლების მუშაობა

საკ. კ. პ. (ბ) და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებების საფუძველზე

აჭარისტანის და ქიათურის რაიონებში სკოლების მუშაობის გარდაქმნას ფორმალურად უდგებიან

გარდავქმნათ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრის „დაწყებითი და საშუალო სკოლების შესახებ" ცნობილი დადგენილების შემდეგ ორი თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საგრძნობი გარდატეხა უნდა მომხდარიყო ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობაში, მაგრამ ნამდვილად ჯერ ჯერობით მუშაობა კვლავ ძველი წესით მიმდინარეობს. (რაც მთავარია ცეკას ეს ისტორიული დოკუმენტი ზოგიერთი რაიონებში ფორმალურად დაამუშავეს და მის დამუშავებას არ მოჰყოლია არავითარი პრაქტიკული საკითხები სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის (აჭარისტანი), ზოგიერთი რაიონებში დადგენილება მხოლოდ მოხსენებით „დაამუშავეს" (ქიათურა) და მთელი მუშაობა ამით ამოიწურა და სხვ. რას უნდა მიეწეროს ასეთი უყურადღებობა ამ მეტად საყურადღებო საკითხისათვის? რაც მთავარია პირველად ყოვლისა იმას, რომ რაიგანათლების ორგანოები არ არიან სათანადოთ მოქნილი და მასთან უზრუნველყოფილი კვალიფიკაციური მუშაკებით და ინსტრუქტორებით. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 11 ოქტომბრის დადგენილება „გარდავქმნათ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობა" ნათქვამია, რომ სათანადო ორგანოებმა უნდა „გარდაქმნან სახალხო განათლების რაიონული ინსპექტურა რაიონულ განათლების განყოფილებებად და გაითვალისწინონ შტატში არა ნაკლები ერთი გამგისა და ორი ინსტრუქტორისა"-ო, მაგრამ ამ მხრივ ჯერჯერობით ბევრი არაფერი არის გაკეთებული.

დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე მუშაობა პროგრამების გადასინჯვისათვის. და მზადება ახალი პროგრამების შედგენისათვის. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრის დადგენილებაში „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ". ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „დაუყოვნებლივ უნდა მოვაწყოთ პროგრამების მეცნიერული მარქსისტული დამუშავება, ამასთან ამ პროგრამებში უზრუნველყოს სისტემატიზებულ ცოდნათა ზუსტად შემოხაზული წრე (მშობლიური ენა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია და ისტორია) იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის 1 იანვრიდან დაწყებული იქნას სწავლება გადასინჯული პროგრამების მიხედვით. განსახკომებმა პროგრამის გადასინჯვასთან ერთად უნდა მიიღონ მთელი რიგი ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სწავლების ნამდვილ შესაძლებლობას ახალი პროგრამებით (მასწავლებლებისათვის ინსტრუქციების მიცემა, სათანადო მითითებათა გამოცემა და სხვ.").

საქ. განსახკომმა ამ მხრივ თავის დროზე შეუდგა მუშაობას, მაგრამ რაიგანათლების განყოფილებები ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

საჭიროა განათლების ორგანოების მთელი ყურადღების მობილიზაცია დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაობის გარდაქმნისათვის საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრისა და საქ. კ. პ. (ბ) 11 ოქტომბრის დადგენილებათა საფუძველზე. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა, კომკავშირულმა და სამეურნეო-კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა დაეხმარონ სკოლებს თავიანთი მუშაობის გარდაქმნაში და უზრუნველჰყონ ოპერატიული ხელმძღვანელობა მათზე. სამეურნეო მშენებლობის ახალი ვითარება სკოლების წინაშე გარკვევით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ სკოლების მუშაობა უნდა შეუფარდდეს თანამედროვე პერიოდის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

„სკოლა უნდა იყოს არა მარტო კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი საერთოდ არამედ მისი იდეის და მშრომელი მასების პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ფენებზე პროლეტარიატის ორგანიზაციული და აღმზრდელობითი გავლენის გამტარებელიც ისეთი თაობის აღზრდის მიზნით, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ დამყარებას".

ძირშივე უნდა აღიკვეთოს ყოველგვარი ოპორტუნისტული დამოკიდებულება დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაობის გარდაქმნის საქმეში. საჭიროა უზრუნველვყოთ ოპერატიული ხელმძღვანელობა სკოლების მუშაობის გაჯანსაღებისათვის და მაღალი ტემპები სასკოლო მშენებლობისათვის.

ა. ლ.

მოხსენების ჩატარებით დაკმაყოფილდენ

(ქიათურა)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრის დადგენილება „დაწყებითი და საშუალო სკოლების შესახებ" ქიათურის რაისოცკულტგანყოფილებამ მხოლოდ მოხსენებით „დაამუშავა" და პრაქტიკულად ამ საქმეში მას არაფერი არ გაუკეთებია.

მთელ რიგ სკოლებში მასწავლებლების უყოლობის გამო სავალდებულო საყოველთაო სწავლების გატარება საფრთხეშია. მასწავლებელთა მომარაგებას ყურადღება არ ექცევა. ხშირია შემთხვევა ქიათურის მასწავლებლებს სამ თვეს უგვიანებენ ჯამაგირს, რის გამო მასწავლებლები იძულებული ხდებიან თავი მიანებონ მასწავლებლობას და სხვა სამსახურში გადავიდნენ. ქიათურის რაიკავშირი ცირკულიარებს უგზავნის სოფლის კოოპერატივებს, რომ „არც ერთი კილო ყველი და კვერცხი მასწავლებლებს არ მიეცეთ. ასეთი თუ გამოირკვა სასტიკ პასუხისგებაში იქნებით მიცემული"-ო. ასე ამარაგებს ქიათურის რაიკავშირი მასწავლებლებს. ფეხსაცმელების

აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლებში მეცადინეობა სათანადოთ არ არის დაყენებული. ბევრია შემთხვევა, რომ ერთ მასწავლებელს სამ-ოთხი ჯგუფი ჰყავს აყვანილი მთლიანად, რასაც ცხადია ვერ უხელმძღვანელებს სათანადოთ. ადგილობრივი ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბ. და საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას მასწავლებელთა მატერიალური უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სკოლების მუშაობის ხარისხის ამაღლების შესახებ. საჭიროა ასეთი უყურადღებობას სასკოლო მშენებლობისადმი ბოლო მოეღოს.

აპ. რამიშვილი.

სკოლების მუშაობა უნდა გარდაიქმნას

აჭარისტანის მთელ რიგ სკოლებში მუშაობა არ არის გარდაქმნილი საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 5 სექტემბრის „დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ" დადგენილების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს დადგენილება აქ თავის დროზე დამუშავდა—პრაქტიკულად მისი რეალიზაციისათვის ძალიან ცოტა არის გაკეთებული. მიმდინარე სასწავლო წელში გეგმით გათვალისწინებული იყო 43 ახალი სასკოლო შენობის აგება და რემონტი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებასთან დაკავშირებით. ამაზე გამოყოფილი იყო სპეციალური ფონდი ბიუჯეტიდან, მაგრამ ნამდვილად [illegible] თითქმის არც ერთი სკოლა არ არის დამთავრებული. უნდა აღ[illegible] სკოლები მოთავსებულია უვარგის, ბნელ და ნესტიან ბინებში. ასეთი მდგომარეობაა ქობულეთში, ქედაში, ჩახათში, ცხემუშში და სხვაგან. სოფ. მახინჯაურის სკოლას აგრეთვე ძალზე უვარგისი ბინა აქვს, რომელშიაც არ ეტევიან მთლიანად მოწაფეები და მასთან ბინა მოუხერხებელ ადგილზე არის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი მასწავლებლობის 40-50 პროც. აჭარისტანში პედაგოგიურად ნაკლებად მომზადებულებია, რაც თავის დაღს აჩენს მოწაფეების აკადემიურად მომზადებას.

სკოლებში აგრეთვე არ მიმდინარეობს ზამთრისათვის მომარაგება. არ არის შეშა, ფეჩები სკოლებში და სხვ.

საჭიროა ამ მდგომარეობას სათანადო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

ვ. კოკელი.

ბიბლიოგრაფია

ანტიმარქსისტული იდეოლოგია საბჭოთა პასპორტით

(ს. გაჩეჩილაძის „ქართული ლიტერატურის სამუშაო წიგნის" გამოცემის გამო)

ჩვენში მარქსისტულმა კრიტიკამ ამ ბოლო ხანებში გადამწყვეტი იერიშები მიიტანა რეაქციონურ იდეოლოგიის წინააღმდეგ სალიტერატურო კრიტიკაშიც. მარქსისტული კრიტიკა შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებს აბაშიძის, არ. ჯორჯაძის, ვ. კოტეტიშვილის, მ. ზანდუკელის და სხვების რეაქციონური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ადამიანთა ასეთ რიგს ეკუთვნის ს. გაჩეჩილაძე, რომელმაც ტექნიკუმებსა და მუშფაკების მსმენელებს „საჩუქრად უძღვნა" ანტიმარქსისტულ იდეოლოგიის თაიგულად შეკრული, „ქართული ლიტერატურის სამუშაო წიგნი".

გამოვიდა, რომ მისდა უნებურად ს. გაჩეჩილაძემ შეასრულა ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის სოციალური დაკვეთა და ანტიმარქსისტული იდეოლოგიის ქადაგი დაიწყო საბჭოთა სკოლაში.

ს. გაჩეჩილაძე იმავე შესავლის მე-5 გვერდზე სწერს:

„ზემოჩამოთვლილ საკითხების გამორკვევის შემდეგ, ხელახლა ვიწყებთ მხატვრული ნაწარმოების საერთო შეფასებას ფორმალურ-იდეოლოგიურ თვალსაზრისით".

რას ნიშნავს „ფორმალურ იდეოლოგიური"? საიდან ამოიკითხა გაჩეჩილაძემ ასეთი „სიბრძნე". გაჩეჩილაძის აზრით მხატვრული ნაწარმოები თურმე პირველად ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეაფასოთ და შემდეგ კი უნდა ვიმსჯელოთ მის იდეოლოგიურ მხარეზე.

როდის იყო, რომ ფორმა ჰქმნიდა იდეოლოგიას?

გაჩეჩილაძეს მხატრულ ნაწარმოებში აინტერესებს არა კლასიური ბრძოლა და იდეოლოგიური მხარე, არამედ უშინაარსო ფორმა.

ყოველივე ამით, რომ ამოიწურებოდეს ს. გაჩეჩილაძის შეცდომები, ჩვენ შეიძლება არაფერი გვეთქვა, მაგრამ ბოროტებად მიგვაჩნია გაჩუმება იმის შესახებ, როდესაც გაჩეჩილაძე, თავის წიგნში ნაციონალისტ კრიტიკოსების იდეალისტური აბდაუბდს ხელზე მოვაჭრედ გამოდის და ცდილობს ეს „საქონელი" საბჭოთა სკოლის მოწაფეებს „მიჰყიდოს".

გაჩეჩილაძე თავის წიგნს იწყებს შექსპირით და ამთავრებს აკაკი წერეთლით. მოჰყავს ყველა მწერლების დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი მხატვრული ფაქტები. მხატვრულ ფაქტებს კი უმატებს ქართული „კრიტიკოსების" შენიშვნებს. ესენი არიან: ა. ჯორჯაძე, კ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ზანდუკელი, დით. ბეგიაშვილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თურმე მათი კრიტიკული შენიშვნები ჩვენ მოგვცემს მარქსისტული კრიტიკის პრაქტიკულად გამოყენების ნიმუშების გაცნობის საშუალებას"-—სწერს ს. გაჩეჩილაძე წიგნის შესავალში. ნაცვლად იმისა, რომ გაჩეჩილაძეს იდეოლოგიური ბრძოლა გაეშალა ზემოდმოყვანილ კრიტიკოსების რეაქციონურ იდეოლოგიის წინააღმდეგ, იგი მათ იდეურ ტყვეობაში ვარდება. მარქსისტულ ახსნა-განმარტებას იგი არც ერთ კლასიკოსის შემოქმედების განხილვის დროის არ იძლევა. კმაყოფილდება მხოლოდ ზანდუკელის, კოტეტიშვილის, ბეგიაშვილის, კიტა აბაშიძის და სხვათა ციტატების მოყვანით. კერძოდ გაჩეჩილაძეს ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების დახასიათებლად მოყავს ილია ჭავჭავაძის და კიტა აბაშიძის შეხედულებანი. ასევე იქცევა გაჩეჩილაძე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შეფასებაშიაც.

131 გვერდზე ს. გაჩეჩილაძეს მოყავს გზადაბნეულ „კრიტიკოსის" ბეგიაშვილის განმარტება რეალიზმის შესახებ. ნუ თუ გაჩეჩილაძემ რეალიზმის განსამარტავად სხვა ავტორიტეტი ვერსად მონახა. სად გაქრა ფრიჩე, ლუნაჩარსკის და სხვების შესანიშნავი მოსაზრებანი ამ საკითხების შესახებ.

ს. გაჩეჩილაძემ, თავის წიგნში ქართველ კლასიკოსების შესახებ ვერ სთქვა იმაზე მეტი, რაც სთქვეს და რასაც ამბობენ დღეს ქართულ ნაციონალიზმის ლიტერატურული „ბურჯები". ყოველივე ამან თავისებური გავლენა მოახდინა „მარქსისტ" გაჩეჩილაძეზე და თავის წიგნს გაუკეთა იდეალისტური რეზიუმე (იხ. გვ. 215).

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ განსახკომის მეთოდბიუროს უპასუხისმგებლობა ამ საქმეში, სად იყო განსახკომი მაშინ, როდესაც პერევერზიანულ, ფორმალისტურ და რეაქციონურ წიგნს დასაბეჭდად აძლევდა რეკომენდაციას. სახელგამმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გამოსაცემ წიგნის იდეოლოგიურ მხარეს..

კ. მელაძე.

მწერლების მონაწილეობა ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში

ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავზე — 7 ნოემბერს გამართულ დემონსტრაციაში პროლეტარული და საბჭოთა მწერლები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას. მწერლების შესაკრებ პუნქტად დანიშნულია ეგ. ნინოშვილის სახ. მწერალთა სასახლე. მწერლები პუნქტზე უნდა გამოცხადდენ 7 ნოემბერს დილის 7 საათზე.

რკინისგზეზე

◆ გუშინ 3 საათსა და 40 წუთზე მატარებელი № 626 ორთქლმავალი № 1016, რომელსაც მართავდა მემანქანე ტურჩინი დიდი სისწრაფით მიუახლოვდა სადგურ ლიაკს. მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი იყო მატარებელი შევიდა სადგურის ტერიტორიაზე და დაეჯახა მატარებლის № 710. ორთქლმავალი № 1016 გადავარდა ლიანდაგიდან გარდა ამისა მატარებლიდან № 710 დაზიანდა ერთი სახალხო ვაგონი და ერთი მაზუთის ცისტერნა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ჩავარდნილ ორთქლმავლის ამოსაღებად განჯიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

—:—

◆ გუშინ, დღის 5 საათზე სადგურ ნავთლუღში ერთსა და იმავე დროს შემოვიდა კახეთის ხაზიდან მატარებელი № 911 და ბაქოს ხაზიდან მატარებელი № 714. ბაქოს ხაზიდან მოსული მატარებელი დაეჯახა კახეთის ხაზიდან შემოსულ მატარებლის კუდს. დაჯახების გამო მატარებლის № 714 ორთქლმავალი გადაწვა გვერდზე. გარდა ამისა დაიმტვრა ცხრა ვაგონი — 4 კახეთის მატარებლიდან და 5 ბაქოს მატარებლიდან. იმ კატასტროფის გამო მატარებლების მისვლა შეჩერებულია. სად. თბილისიდან კატასტროფის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. კეთდება შემოსავლელი გზა.

—:—

◆ ტაუზ-კოვლიარის (აზერბეიჯანი) მდებარე ასაქცევმა შეცდომით მიიღო მატარებელი № 20 ლიანდაგზე, რომელიც დაკავებული ჰქონდა მატარებელს № 711, მატარებლის ორთქლმავლები ერთი მეორის დაეჯახენ. დაზიანდა ორივე ორთქლმავალი, ხოლო მატარებლის № 20 ორთქლმავალი ასცდა ლიანდაგს. მოძრაობა შეწყვეტილია და აღდგენილი იქნება დღეს 11 საათისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს წითელ გვარდიელთა და პარტიზანთა კომიტეტი აცხადებს, რომ ყველა წითელ გვარდიელები — პარტიზანები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ კომიტეტში 7 ნოემბერს დილის 7 ნახ. საათზე დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

—:—

— 1931 წ. 6 ნოემბერს დღის 3 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი პარტგანათლების საკითხებზე. თათბირზე სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: გარსევანიშვილი (პროფსაბჭოს უჯრედი), მენთეშაშვილი (პროფსაბჭო), პაპიძე (პედინსტიტუტის უჯრედი), გვათუა (საქ. მიწსახკომი), ბეკუზაროვი (ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობა), მაზმანოვი (სახ. კავშირგაბმულობა), ჩხარტიშვილი (პედინსტიტუტი), ბურჭულაძე (განსახკომი), თოდუა (განსახკომი), პოჩტარევი (ა.-კ. ტყის და ქაღალდის ტრესტი), ახობაძე, გრიგორია (მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტი), მაილოვი (თბილისის განათლების განყოფილება), ბალანჩივაძე, მიქელაძე, ჩიკვაიძე, აბაშმაძე (ფინკოოპ. ინსტიტუტის ასპირანტურა), კირტაძე („წერაქთხვის" თბილისის საბჭო), მოსიავა (განსახკომი).

—:—

— საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი წინადადებას აძლევს ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს არა უგვიანეს 10 ნოემბრისა გამოცხადდენ ლენრაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში ამხ. მექვაბიშვილთან.

ბოკერია მიხეილი, ურუშაძე, ტრაპაიძე შალვა, ჩიკვაიძე დავით, აბაშმაძე თამარა, ცისკარიძე პელაგია (პედინსტიტუტი), ჩადიძე (რაიონული სატრანსპ. სამომხმარებლო საზ-ბა), ჯანჯღავა (მე-შრომის სკოლა), მახარაძე, ფილიაშვილი, ციციშვილი (მე-30 შრომის სკოლა), თვალჭრელიძე, ანდრიუშინი (საქ. მუშგლეხინი), ბალანჩივაძე ივანე (ფინკოოპ. ინსტიტუტი), ბალანჩივაძე (რკ. გზის საფაბ. საქარხნო სკოლა), ბალდასაროვა (მე-80 შრომის სკოლა), ენუქიძე ევგენი (მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტი), ხუნდაძე სიმონი (სახელგამი), სტეილია (ა.-კ. შრომის სახკომი), რეხვიაშვილი სერგო (მუშათა უნივერსიტეტი), კოჩაიაშვილი ილია (მედინსტიტუტი), ბარისენკო (გზათა მიმოსვლის ინსტიტუტი), ნადარიშვილი (პედინსტიტუტი) და ბურდილაძე (საბჭოთა აღმშენებ. და სამართლის ინსტიტუტი).

---

6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე,

საქ. კ. პ. (ბ) საკ. კომისია მუშგლეხინის საორგ საინსტრ განყოფილება, საქ. მუშგლეხინში (რუსთავ. პრ. № 24, მე-3 სართ. ოთ 4).

იწვევს საქ. ყველა სახკომ ტ., რესპუბლიკ. სამეურნეო, კოოპერატ. და საზოგადოებრივ დაწესებულ და-ორგანიზაციების კონტროლისა და შემოწმების სექტორების ხელმძღვანელთა და პას.-მგ. აღმასრულებელა თათბირს

თათბირის დღის წესრიგი:

კონტროლის და შემოწმების სექტორების მორიგი ამოცანების შესახებ.

დასწრება კონტროლისა და შემოწმების სექტორების ხელმძღვანელთა და პ/მგ. აღმასრულებელთა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

თათბირზე აგრეთვე მოწვეული არიან ამიერკავკ. მუშგლეხინის, საქ. პროფსაბჭოს, კომკავშირის ცეკას თბილისის საბჭოს მუშგლეხინის სექციის და გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კ. და მ/გ. ინსპექც.
საორგ საინსტრ. განყოფილება

სახელმწიფო საოპერო თეატრი 1931-32 წ. სეზონი.

1931-32 წ. სეზ.

დღეს, 6 ნოემბერს — თბილისის მე-8 მოწვევის ხაბჭოს **საზეიმო** სხდომა

შაბათს, 7 ნოემბერს — დახურული წარმოდგენა — **წითელი ყაყაჩო**

კვირას, 8 ნოემბერს — მე-10 აბონ. მე 3 წარმოდ. — **წითელი ყაყაჩო**

მე-4 აბონ. წარმოდგენა გადადებ. 11 ნოემბრისათვის ბილ. ძალაშია.

ბილეთებს ანაწილებს საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორი

წარმოდგენა იწყება საღამოს ზუსტად 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. გამოცხადებული წარმოდგენების საბონემენტო შეტანი მიიღება ყოველდღე 11 დან 2 საათამდე, ხოლო მიმდინარე წარმოდგენის საბონემენტო შესატანი საღამოს 6-დან 8 საათამდე. აბონენტები, რომელთაც არ გადაუხდიათ მესამე მორიგი საბ. შესატ., წარმოდ. არ იქნ. დაშვებულნი.

ნ. 3054

სახ. ცირკი

დასაწყ. 8-5 წ.

6 და 7 ნოემბერს

= **დიდი საზეიმო** =
წარმოდგენები

ქართულ და რუსულ ენაზე მონაწილეობს მთელი დასი

ტრამვაი ჩერდება ცირკთან.

11 ნოემბერს **დღის დიდი წარმოდგენა** დასაწყისი დღის 2 საათზე

ნ. 3046

რუსთაველის თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვან.

6 ნოემბერს — 2 აბონ. 2 წარმოდ. — **განგაში**

7 ნოემბერს — პროლ. რევოლ. 14 წელი — **ანზორ**

8 ნოემბერს — აბონემანტების გარეშე — **ანზორ**

დასაწყისი საღ. 8 ს. მესამე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება. ყველა წარმოდგენებზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია გასასყიდად. ბილეთები და აბონემენტები იყიდება თეატრის სალაროში ვისაც მეორე გადასახადი არ შეუტანია წარმოდ. დაშვებული არ იქნება. 2—2 ნ. 3053

სარეწაო კოოპერაციის
დამზღვევ სალაროს წევრ ერთეულ შინამრეწველთა
საყურადღებოდ

ა/წ. 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის მე-14 წლის თავზე დანიშნულია

მშრომელთა მასიური

დემონსტრაცია

რომელშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა სალაროს წევრებმა, შინამრეწველ ერთეულ ხელოსნებმაც.

დემონსტრაციაში მონაწილენი იკრიბებიან სარეწაო კოოპერაციის კლუბის ბაღში (პლეხანოვის პრ. № 65).

დემონსტრაციაზე დასწრება სავალდებულოა.

8969 სარეწაო კოოპ. დამზ. სალ. გამგეობა.

სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, 7 ნოემბერს — დახურული წარმოდგენა — **ანათემ ვარსკვლავნო**

კვირას, 8 ნოემბერს — აბონემენტის გარეშე — **სახლი მტკვრის პირას**

სამშაბათს, 10 ნოემბერს — მე-10 აბონ. 1 ლი წარმოდგ. — **სახლი მტკვრის პირას**

აბონემენტების მე-3 გადასახადი უნდა იყოს დაფარული 5—10 ნოემბრამდე. ნ. 3042

თბილისის საბჭოს საიჯარო საექსპლოატაციო განყ-ბა

= **აცხადებს** =

ყველა სავაჭრო სამრეწველო საწარმოების (დარაბების) მოიჯარადეების საყურადღებოდ, რომ თბილისის საბჭომ დარაიონებასთან დაკავშირებით საიჯარო-საექსპლოატაციო განყ-ბა

დაიყო ოთხ რაიონად:

1. ლენრაიონი მდებარე ძალაკის ქ. 14, რომელშიც შედის ყოფ. მე XI და ნაწილი მე-IX სამილიციო უბანი.
2. სტალინის—პლეხანოვის პრ. 78 შედის ნაწ. IX X, XII ყოფ. სამილიციო უბნები.
3. 26 კომუნარების სახ. (ლომის ქ. 32 შედის ნაწ. IV, V. VI, VII VIII ყოფ. სამილიციო უბნები.
4. ორჯონიკიძის—თავისუფლების მოედ. 2, ყოფ. თამამშევის ქარვასლა I, II, III და ნაწ. მე-IV ყოფ. სამილ უბ.

განყ-ბა აფრთხილებს ყველა მოიჯარადრეებს, რომ დარაბების საიჯარო ქირები შეტანილ იქნება დასახელებულ განაწილებით ან და გადარიცხვის შემთხვევაში ცალკე რაიონების მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ჩარიცხული არ იქნება დავალიანების ანგარიშში.

3-3 თბ. საბჭოს საიჯარო-საექსპლ. განყ-ბა. ნ. 3035

სახკინმრეწვ. თეატრები

ხმოვანი კინო — „ოქტომბერი" (ყოფ. აპოლო) სეანსები: 12, 2, 4, 6-30, 8 30, 10-30

საღამოს კინო სპარტაკი სეანსის დას. 7, 8-45, 10 30

დღის კინო სპარტაკი სეანსის დასაწყისი 12, 1-30, 3 ს.

როზა ლიუქსემბურგის სახელობის (ყოფ. მინიონი) სეანსების დასაწყ. 7, 8-45, 10-30

პალასი სეანსის დასაწ. 7, 8-45, 10-30

კინო „დარბაზი" სეანსის დასაწყ. 6 ს., 7-30, 9 30, 10 ს.

ახალი ხმოვანი პროგრამა:
1) ამხ: ლუნაჩარსკის სიტყვა, 2) ერთი მრავალთაგანი, 3) იხმინე ახალგაზრდობავ, 4) ცურვის ჩემპიონი (ამერიკული ფილმი)

მხატვრული ფილმი

= **ძმა ბიჭი** =

დღისით და საღამოთი.

სალორის ვარდი რეჟ. გალაჯევი. პროგრ. გარ.: შრომისა, პურისა და ხელისუფლებისათვის.

„ცეცხლოვანი რეისი" კუინჯის, ფერდინანდოვის და შტრაუხის მონაწილეობით.

ნაირის ქვეყანა ავტორი დადსახ. რეჟ. ნ. ბეკნაზაროვი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

სქესობრ. სისუსტის მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის ქ. № 5.

5—1 8198.

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება.

დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზირი № 116.

სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ ტელ. 12 67.

8004 25—2

პ. ი. ჯალალოვი

ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8—9 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე, მისამართი: კამოს ქუჩა № 19, ყოფილი დიდი მთავრის ქ, კარლ მარქსის მოედანთან მახლობლად. ნ. 65—1.

4328 25—4

ექიმი
ექ. ქ. თ. ცუმქლაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ მიღება (სიფილ. ვენერიულ კანის და შარდის სასქესო ორგან. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილით 8 ნახ. 9. საღამოთი 7—8 საათი

3ɪ 77886

ა.-კ. კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმთან გაიხსნება

5 თვიანი კურსები

ანტიორების და კლოკვერისტების მოსამზადებლად.

საჭიროა საბუთები: 1) განათლების (არა ნაკლებ 7 წლედის), 2) სოც. მდგომარეობის და საარჩევო ხმის უფლების 3) წლოვანობის და 4) ჯანმრთელობის.

მსმენელები დაკმაყოფილებული იქნებიან სტიპენდიით და დახურულ სასადილოთი. სწავლა რუსულ ენაზე განცხადებების მიღება სწარმოებს, კოჯორის ქ. № 1.

ნ. 3047

დადგენილება № 195

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმისა

1931 წ. ოქტომბრის 28.

ქ. თბილისის ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1929 წ. ოქტომბრის 22-ს 111 №-ით გამოცემულ სავალდებულო დადგენილების მე-46 პარაგრაფის შეცვლის შესახებ თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ქ. თბილისის ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგების თაობაზე გამოცემული № 111 სავალდებულო დადგენილების მე-46 პარაგრაფი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

§ 46. სრულიად აეკრძალოს ყველა სახის საბარგო ეკიპაჟების გამოუკლებლივ შემდეგი ქუჩებით მოძრაობა:

1) რუსთაველისა და 2) პლეხანოვის პრ. 3) აღმასკომისა, ლენინისა, ზემელის ყოფ. ავთიაკიდან – მელიქიშვილის ქ. დასაწყისამდე, მელიქიშვილის ქ. ნიკოლაძის ქუჩამდე, ჟორესისა (პლეხანოვის პრ ელბაქიძის აღმართამდე), საბჭოსი სადგურისა და რიყესი. აგრეთვე აკრძალულია საბჭოსა და კომინტერნის ქუჩებით ეტლების მოძრაობა.

თბ. საბჭოს თავმჯდომარე მაჩაიძე.
საქმეთა მმართველი არჯევანიძე

ნ. 3052

საქართველოს მეთესლეობის კოლმეურნკავშირი

აწყობს ოთხ თვიან აგრო. ტეხნიკოსთა გადასამზადებელ კურსებს მეთესლეობაში დასპეციალების მიზნით კურსანტებს მიეცემათ 90 მან. სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით მსურველებმა უნდა მიმართონ 10 ნოემბრამდე გამგეობაში ამხ. კვანტალიანს პირობების გასაგებათ.

8933 თბილისი—სასახლე.

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

ჩაითვალოს გაუქმებულად

მუშკოოპ. წიგნ.

თამარა გოციბერიძის, ნიკოლოზ ნებიერიძის № 69318 სიმონ ურბანერიშვილის № 184390, დავით ლოლაძის № 3135, კოწია მაღლაკელიძის № 408, მოსე ფხაკაძის № 779.

პირადობის მოწ.:

ალექსანდრე ელიავასი № 299. მარიამ მიქელთაძის № 225. გერმანე და აგრაფინა ჩიხორიების № ჩ/120

სამხედრო წიგნ.

თორე ჯანყარაშვილის № 616, ელიჟბა მიქელაძის, ვასილი სიდამონიძის, დავით ფხაკაძის.

მეტრიკული მოწმ.

გურამ გვინჩიძის № 890, იოსებ ხულელიძის.

კავშირის წიგნ.

მარიამ ბერძენიშვილის № 261, ნიკოლოზ ნებიერიძის № 9207, ეპიფანე ქართველიანის № 5246, ამბროსი ცოძიასი № 24, აკაკი ბუაჩიძის № 29731, აპოლონ ჩიტაიასი № 13/56012, ილია მგელაძის.

სხვა და სხვა:

სამხედრო კოოპ. წიგნაკი № 19143 აკაკი კასრაძის, ოპერის მეხუთე აბონემენტი №№ 116, 117, სამტრედიის პედტექნიკუმის დამთავრების მოწმობა № 435 დავით ლდინერიასი, ატესტატი 9 წლ. დამთავრების ვლადიმერ ქელიძის, ინვალიდობის მოწმობა თედორე ლომსაძის, ლომბარდი ბილეთი № 158854 კარლო დარახველიძის, პენსიის წიგნაკი № 106343 თედო ლამბაშიძის, მოწმობა ხიდისთავის სოფლის საბჭოს მიერ მოცემული № 2157 სერგო ჩიგოგიძის „ზაკტპოს" წიგნაკი № 39072 ბიქტორ ლომსაძის, [illegible] ჩეკი № № 28393 და 28396 გრიშა გოკავასი, სიღარიბის მოწმობა დავით ფხაკაძის, პენსიის წიგნაკი № 29 სიმონ ჭყუასელის, მიმოხილვა გაც. მარტვილის რაიკომის ა. ლ. ლ.ლ. მიერ № 75 გიორგი კეკელიასი.

№ 22

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ.

იღებს ავადმყ. დილის 8—9 საათ და საღ. 6—8 საათ.

მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ინდუსტრ ტექნიკუმის გვერდზე.

13—4 8620

ექ. მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკ. კაბინეთი პეტრიაშვილის ქუჩა (ყოფ. უდელ.) 62 № 11. იღებს საღამოს 7 - 8. 29 ტელ. № 21—45. —25

დოქტორი
ტერ-ოვაკიმოვი

სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობანი (ნერვიული)

ფსიქოტერაპია

მიღება 11—12 საათამდე და 6—8 საათამდე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ქ. № 22 (ველიამინოვის).

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. [illegible]—12

ნ. კონტოროვიჩი

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დე.

8179 25—1

გულდამწვარი, გაუბედურებული მშობლები მიშა ირაკლის ძე ჭუმბურიძე და ლიუდმილა ვიქტორის ასული ჭუმბურიძისა, მამიდა ანიკო, ბიძები: ვანიჩკა, კოლია და შალიკო ჭუმბურიძეები, ბიცოლები: მარუსია, ლიუბა და მარო, ბაბუა ირაკლი და ბებია ივლიტა დასტირიან

პატარა ნოდარიკოს

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება არსენალის ქუჩა № 13, 6 ნოემბერს, 4 საათზე. 8939

გულდამწვარი პაპა დ. რისპანი, ბაბუა ვიქტორი, ბებია იულია, დეიდები: ვარიჩკა, ნინა, ანიკო და დარიკო, ბიძები: დათიკო, კოლია, მიხაკო და გუტუნა ყანჩაველები დასტირით

პატარა ნოდარიკოს

უდროოდ დაკარგვას. 8939

სამუდამოდ დამწუხრებული მშობლები: მარიამი და სევასტი დოლიძეები, შვილები რეზიკო და ზურაბი იუწყებიან, რომ დღეს 6 ნოემბერს, 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

პაწია ნოდარის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8947

უნუგეშოდ მყოფნი: ბაბუა არჩილ, ბებია ბაბო. ბიძია ვახტანგი გორგაძეები და დეიდა ხუცა ქმარშვილით იუწყებიან უძვირფასეს და საყვარელ პატარა

თემიკო შალვას-ძე გორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს კუკიის სასაფლაოზე 5 საათზე. 8943

უნუგეშოდ მყოფნი დედ-ძმა თამარ და შალიკო, ბაბუა ანთიმოზი და ბებია ოლია იუწყებიან დაუვიწყარ

თემიკო შალვას-ძე გორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე დღეს, 5 საათზე, გამოსვენება ბინიდან, ახალციხის შეს. № 6. 8943

გაუბედურებული მშობლები: მართა და ისიდორე, ძმები: ალექსანდრე, გრიშა და ვანო. რძლები: პაშა და ოლია, ძმისწულები: ბაბუცა, ქეთო, ლეილა და ჟენგიზი ხაინდრავები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

თამარა ისიდორეს ასულ ხაინდრავას

გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ხონში. 8961

ხონის ტყის სახერხი ქარხნის თანამშრომლები: ქ. ბულიშვილი, პ. ჩხეკელი, გ. ბახტაძე, კ. ჩუთათელაძე, ი. ძუსელიანი, ს. ფარცხალაძე, კ. [illegible], კ. საბოთე და ვ. კუკაბაძე ცხარე ცრემლით იუწყებიან მათი ძვირფას ბუხჰალტერ ვანიჩკა ხაინდრავას დის

თამარა ისიდორეს ასულ ხაინდრავას

ტრაგიკულად დაკარგვას. დაკრძალვა ხონში. ნ. 3048

ბაბუა გრიშა, ბებია ნადია, დეიდები ვერა, ელენე და თამარა, ბიძები: მიშა და სიმონ კოჩერაშვილები [illegible] ყველასათვის საყვარელ, სიცოცხლით სავსე

ნოდარიკო მიხეილის-ძე ჭუმბურიძის

უდროოდ დაკარგვას. 8940

დამწუხრებულნი: ნესტორი, ბიქტორი, ალექსანდრე, სიკო, მარგო, მარგალიტა, იაღია და ნინა ესაკიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი სიძე

ირაკლი ოტიას-ძე ჩაჩავა

დაკრძალვა კვირას, 8 ნოემბერს ქ. ახალსენაკში 8972

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: ცოლი ქრისტინე, შვილები: თამარა და მიშა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ირაკლი ოტიას-ძე ჩაჩავა

დაკრძალვა კვირას, 8 ნოემბერს ქ. ახალციხეში. 8972

დამწუხრებულნი: ეფროსინე და ალექსი ძველაიები ქალიშვილებით, ხუცა ქმრით ერმილეთი, გუგულია ქმრით სამსონით. ვაჟიშვილი მიხეილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პირველის ძმა, მეორესი ცოლის ძმა, დანარჩენის კი ბიძა

ირაკლი ჩაჩავა

8965

დამწუხრებული შვილი ავქსენტი, რძალი ბაბო, შვილი შვილები: შოთა და მზია ჩხაიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა და ბებია

ელისაბედ ჩხაიძე

დაკრძალვა სოფ. ბახვში 8977

დამწუხრებული მშობლები: მარუსა და იოსები, ძმა კოლია ჩხეიძეები იუწყებიან, რომ შაბათს, 7 ნოემბერს, სოფელ ობჩაში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ნინა იოსების ასულ ჩხეიძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8974

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: ერმილე და ფენია გვილავები, დები: ლუბა და კლარა, ბიძები: ქეტატე და ვანო გვილავები, მამიდა ფედოსია, ბებიები: მაკრინე და ცაცუ და ბაბუა ალექსი ძაგანია იუწყებიან, რომ 31 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

პატარა არკადი ერმილეს-ძე გვილავა

8980

ნოსირის კოლმეურნეობის სკოლის მასწავლებლობა და ამავე სკოლის მოწაფეობა ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ და აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე სკოლის სიამაყე მეოთხე ჯგუფის საუკეთესო მოწაფე

მიშა ვასილის-ძე ბესელია

დასაფლავება სოფელ ნოსირში. ნ. 3049

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილები: სოფიო, მარო, სიძეები: ილია ძამაშვილი და სერგო ქავთარაძე, შვილი-შვილები: ნადია, ჟორა, შოთა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი იოსების-ძე ჯორჯიაშვილი

დაკრძალვა მოხდება 7 ნოემბერს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ორბელიანის ქ. № 5. 8973

ელენა და მელიტონ არეშიძეები შვილებით: ოლიკო, გოგი, ვახტანგი და თამარა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის დედა მეორეს კი სიდედრი

ოლღა ბესარიონის ას. ჯაფარიძისა

დაკრძალვა ქ. თბილისში 6 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე 8934

თინა და მიხეილ ცაგარეიშვილები ბავშვებით: ელიკო და ნუნუ მწუხარებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ოლღა ბესარიონის ასულ ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6 ნოემბერს ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება დავითაშვილის ქუჩიდან (ყ. [illegible] № 30) 8934

როსტ. ალექსანდრე, ელენე, მარიამი, ნიკოლოზი, ივანე, თინა და ოლღა ჯაფარიძეები იუწყებიან პირველის მეუღლის, დანარჩენთა დედის და [illegible]

ოლღა (ოლინკა) ბესარიონის ასულ ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 6 ნოემბერს, 4 საათზე დავითაშვილის ქუჩიდან № 30. 8939

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძაშვილი დომენტი, ბიცოლა ედუკია აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა ა/კ. რკ. გზის მთავარი სახელოსნოს ძველი მუშა-რევოლიუციონერი

ალექსანდრე მიქეს-ძე სურმავა.

დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ორჯონიკიძის ქუჩა № 105. 8975

მეუღლე ეფროსინე, შვილები: დომენტი, მიშა და ოქარი, ძმა ერასტი და პელაგია, რძალი თამარა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ 3 ნოემბერს საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა

ალექსანდრე მიქეს-ძე სურმავა

დაკრძალვა დღეს, 4 საათზე. 8975

მანია და ვანიჩკა ქუთელია. თამარა და პროკოფი ღლონტი, ლუბა და პავლუშა გოგოლაშვილი შვილებით იუწყებიან დაუვიწყარი ძმის

ვალოდია (ლაშა) ჩიქოვანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, ქუთაისში ნ. 3044

გაუბედურებული მშობლები: მოსე და ფებრო, დები: მარიამი, ელისო, ქსენია და ეფემია ციცქიშვილები, სიძე შალიკო ტატიშვილი ცოლით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ბენიამინ მოსეს-ძე ციცქიშვილი

დაკრძალვა 8 ნოემბერს, ვერე ყვიჭალაში 12 საათზე. 8953

რკ. გზის № 1 საქარხნო-საფაბრიკო 7 წლედის (ყოფ. მე-10 სკოლა) პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აღნიშნავს რკ. გზის მე-7 შრომის სკოლის მასწავლებელ

ეკატერინე ინწკირველის

გარდაცვალებას. 8956

ღრმად დამწუხრებულნი ბებია ეკატერინე, ბიძები ცოლშვილით: ერიოკა და ლევა, ნესტორი და ახეტა. ვალიკო და პუპულია. ვასიკო და ანიკო გოგსაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ უდროოდ დაგვეკარგა ჩვენი პატარა

ეთერი (ეთიკო) გოგსაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, გამოსვენება 8 ნოემბერს 4 საათზე, კომუნალური ქ. № 12, ავლაბრის სასაფლაოზე. 8945

გაუბედურებული და სამუდამოდ გულდამწვარი მშობლები კატუშა და ალიოშა პატარა გიგით აუწყებენ ნათესავთ-მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უდროოდ დაგვეკარგა ჩვენი პატარა

ეთიკო გოგსაძე

სამოქ. პანაშვიდი დღეს. 7 საათზე, გამოსვენება 8 ნოემბერს 4 საათზე კომუნალური ქუჩა № 127, ავლაბრის სასაფლაოზე 8945

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე სურბული შვილები: ალექსანდრა, მარო, კაკო, ნადია, აფრასიონი, დათიკო და იოლა, სიძეები: დ. ბაკურაძე, კ. დვალი, შვილიშვილები: კუკური და ინდიკო აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს

სოლომონ იოსების-ძე ტურძელაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას დაკრძალვა მოხდა ამბროლაურის რ. სოფელ ზნაკვაში 3 ნოემბერს. 8970

მუდამ თვალცრემლიანი მშობლები: ნინო ამბაკოს ასული ჩუნეშლიძე შანიძისა ამით აცნობებენ ნათესავებს. ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათი ერთად-ერთი [illegible] 2 წლის ვაჟის

ბიბი შანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ა/წ. 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე ჩაქვში. 8969

ლიდა და დიმიტრი თოდუები შვილით მერიკოთი მწარედ სტირიან ძვირფასი და საყვარელი, დაუვიწყარი, სიცოცხლით სავსე ახალ გაზრდის

ჟორჟი კოდუას

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება 6 ნოემბერს, სოფ. ძველ აბასთუმანში. 8960

ღრმად დამწუხრებული შვილები: კოლია, ვარლამ, მატდანი და მარო სარჯველაძეები, რძლები და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ

ელისაბედ ბოლქვაძის ასულ სარჯველაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 5 ნოემბერს ლესაში. 8955

დამწუხრებულნი: მეუღლე გრიგოლ ლოლობერიძე შვილებით: ზაქარია, გიორგი, ვალოდია, ვანიჩკა და გრიშა ცოლშვილით, ქალიშვილები: მარო და ნატაშა და ნინა ქმარშვილით იუწყებიან, რომ სოფელ ზოვრეთში შაბათს, 7 ნოემბერს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ოლინკა სპირიდონის ას. ლოლობერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად ნ. 3050

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მამა ექვთიმე, დედა მელანა ხეცურიანი და საშიკო, სიძე გიორგი მესხაძე, ბიძაშვილი ცოლით ხეცურიანი აუწყებენ მეგობართ და ნათესავებს ძვირფას

არტემ ექვთიმეს-ძე ხეცურიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 31 ოქტომბერს. 8980

დამწუხრებული მეუღლე პარმენი, შვილები: ლილი და მერი სარდალაშვილები, ძმა იონა, დები: ქეთევანა და ეკ[illegible]ნა გელეიშვილები, მამიდა ნინა და ძია იოსები გაგლოევი იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ლიუბა რაჟდენის ას. სარდალაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება მოხდება ბინიდან, საბჭოს ქუჩა 202 კვირას, 8 ნოემბერს, 5 საათზე. 8981

უახლოესი მეგობრები: ნინა იოსელიანი, მანია და ჰეჰიკო ტყემალაძეები. ბაბუცა და ვალერიან წულუკიძეები, ვარდიკო და გიორგი ფრანგიშვილები, საშა და ჟორა ჯაფარიძეები, თამარა და ვალერიან მუჯირიები, ტატიანა და ქსენია მელაძეები აუწყებენ საზოგადოებას მათი მეგობრის კატუშა და ალიოშა გოგსაძის შვილის

პატარა ეთერის

უდროოდ დაკარგვას. 8978

ქ. სამტრედიის სარეწაო კოოპერატიული არტელი „მხერხავი"-ს მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე არტელის წევრის მოსე სტურუას ვაჟის

სერგოს

უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა სამშაბათს 3 ნოემბერს 4 საათზე. ნ. 3045

გაუბედურებული დედა პელაგია შვილებით: გიორგი, გრა და კატო მათი იუწყებიან მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

ვალოდია (ლაშა) ნიკოლოსის-ძე ჩიქოვანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში დღეს. ნ. 3044

---

2 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გუმბრინის ქარხნის გამგე ამხანაგი

ვლადიმერი ნიკოს-ძე ჩიქოვანი

რასაც ვაუწყებთ საზოგადოებას [illegible] წარმოების მუშა მოსამსახურენი. დაკრძალვა დღეს ქუთაისში ნ. 3044

დამწუხრებულნი მეუღლე ნინა შვილებით: რიმა, კაკო, დათიკო ოჯახობით ჯაფარიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

საშა ჯაფარიძე

გამოსვენება დღეს, 4 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 8952

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტი № 904